

მსოფლიო
ანტიდოპინგური
კოდექსი

2015



**WORLD
ANTI-DOPING
AGENCY**

play true

არაოფიციალური თარგმანი

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შემუშავებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ და გამოქვეყნებულია მის ვებ გვერდზე. ტექსტის ინტერპრეტაციისას ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

*აღიარება:

მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს სურს მადლიერება გამოხატოს საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიმართ მისი მნიშვნელოვანი წვლილის გამო მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ქართული ვერსიის შემუშავების საქმეში. ეს იძლევა მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ქვეყანათა შორის გლობალურად გამოყენების საშუალებას, ისე რომ მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და სპორტულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთობლივად იმუშაონ დოპინგისაგან თავისუფალი სპორტსმენების დასაცავად.

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი პირველად მიიღეს 2003 წელს, ძალაში შევიდა 2004 წელს, შემდგომ კი, 2009 წლის 1 იანვრიდან, მასში მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანეს. ქვემოთმდებარე დოკუმენტი მოიცავს მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც დაამტკიცა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) დამფუძნებელმა საბჭომ იოჰანესბურგში (სამხრეთი აფრიკა), 2013 წლის 15 ნოემბერს. შესწორებული 2015 მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი ძალაში შევა 2015 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნებულია:
მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ.
Stock Exchange Tower
800 Place Victoria (Suite 1700)
PO Box 120
Montreal, Quebec
Canada H4Z 1B7

URL: www.wada-ama.org
Tel : +1 514 904 9232
Fax: +1 514 904 8650
E-mail: code@wada-ama.org

სარჩევი:

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა	9
კოდექსი	9
მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა	10
საერთაშორისო სტანდარტები	10
საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები და გაიდლაინები	11
მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფუნდამენტური საფუძვლები	11
ნაწილი პირველი დოპინგ კონტროლი	13
შესავალი	13
მუხლი 1. დოპინგის ცნება	16
მუხლი 2. ანტიდოპინგური წესების დარღვევა	16
2.1. სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერებების, მათი მეტაბოლიტების, ან მარკერების არსებობა	16
2.2. სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, ან გამოყენების მცდელობა	17
2.3. სინჯის ჩაბარების გვერდის ავლა, უარის თქმა ან ჩაგდება	19
2.4. ადგილმდებარეობის ჩაგდება	19
2.5. დოპინგ კონტროლის სფეროში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა ...	19
2.6. აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა	20
2.7. ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების და აკრძალული მეთოდის ტრეფიკინგი	20
2.8. საშეჯიბრო პერიოდში სპორტსმენისათვის ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისა და აკრძალული მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდში ისეთი ნივთიერების ან მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, რომელიც იკრძალება არასაშეჯიბრო პერიოდში	21
2.9. თანამონაწილეობა	21
2.10. აკრძალული კავშირი	21
მუხლი 3. დოპინგის მტკიცებულობა	23
3.1. მტკიცებულობის სირთულეები და სტანდარტები	23
3.2. ფაქტებისა და პრეზუმფციების დადგენის მეთოდები	23
მუხლი 4. აკრძალული სია	26
4.1. აკრძალული სიის გამოცემა და გადახედვა	26
4.2. აკრძალულ სიაში მითითებული აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები	26
4.3. აკრძალულ სიაში ნივთიერებებისა და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები	28
4.4. თერაპიული გამოყენების გამონაკლისი (TUE)	29
4.5. მონიტორინგის პროგრამა.....	34
მუხლი 5. ტესტირება და გამოძიება	35

5.1. ტესტირების და გამოძიების მიზნები	35
5.2. ტესტირების სფერო	35
5.3. ტესტირება ღონისძიებების დროს	37
5.4. ტესტირების ჩატარების დაგეგმვა	39
5.5. მოთხოვნები ტესტირებისთვის	39
5.6. სპორტსმენთა ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია	39
5.7. სპორტიდან წასული სპორტსმენების დაბრუნება შეჯიბრებაზე ..	40
5.8. გამოძიება და ინფორმაციის გონივრული შეკრება	41
მუხლი 6. სინჯების ანალიზი	42
6.1 აკრედიტებული ლაბორატორიების გამოყენება	42
6.2 სინჯის ანალიზის მიზანი	42
6.3 სინჯების გამოკვლევა	43
6.4 სინჯის ანალიზისა და ანგარიშის სტანდარტები	43
6.5 სინჯების ხელახალი ტესტირება	43
მუხლი 7. შედეგების ანალიზი	44
7.1 შედეგების მართვის ჩატარებაზე პასუხისმგებლები	44
7.2 ანალიზის არასასურველი შედეგის განხილვა	47
7.3 შეტყობინება ანალიზის არასასურველი შედეგის განხილვის შემდეგ	47
7.4 ატიპიური შედეგების განხილვა	48
7.5 ატიპიური პასპორტის შედეგების და არასასურველი პასპორტის შედეგების განხილვა	49
7.6 ადგილსამყოფლის შეცვლების ჩავარდნის განხილვა	50
7.7 სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევების განხილვა, რომლებიც არ შედის 7.1-7.6 მუხლებში	50
7.8 წინამორბედი ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა	50
7.9 დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრების წესები	50
7.10 შედეგების მართვის გადაწყვეტილებების შეტყობინება	51
7.11. სპორტიდან წასვლა	51
მუხლი 8. მიუკერძოებელი მოსმენის უფლება	54
8.1. მიუკერძოებელი მოსმენა	54
8.2 განხილვები საშეჯიბრო პერიოდში	55
8.3. განხილვაზე უარის თქმა	55
8.4. გადაწყვეტილების შეტყობინება	55
8.5. ერთჯერადი მოსმენა საერთშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე	55
მუხლი 9. ინდივიდუალური შედეგების ავტომატური ანულირება ...	56
მუხლი 10. სანქციები სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში	57
10.1 იმ სპორტული ღონისძიების შედეგების გაუქმება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა	57

10.2 დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდის გამოვლენის, გამოყენების, გამოყენების მცდელობის, ან ფლობის შემთხვევაში	57
10.3 დისკვალიფიკაცია ანტიდოპინგური წესების სხვა სახის დარღვევებისათვის	59
10.4 დისკვალიფიკაციის გაუქმება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის გამო	60
10.5 დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირება უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო	61
10.6 დისკვალიფიკაციის პერიოდის ან სხვა შედეგების გაუქმება, შემცირება	63
10.7 მრავალჯერადი დარღვევები	67
10.8 შეჯიბრის შედეგების გაუქმება სინჯის აღებასთან ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით	68
10.9. CAS-ის ფასიანი ჯილდოების და კონფისკირებული საპრიზო თანხის განაწილება	69
10.10. ფინანსური შედეგები	69
10.11. სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლა	69
10.12. სტატუსი დისკვალიფიკაციის პერიოდში	72
10.13. სანქციის ავტომატური გამოცემა (publication)	74
მუხლი 11. შედეგები გუნდებისათვის	75
11.1. ტესტირება სპორტის გუნდურ სახეობებში	75
11.2. შედეგები სპორტის გუნდურ სახეობებში	75
11.3. ღონისძიების მმართველმა ორგანომ სპორტის გუნდურ სახეობებში შეიძლება დაანესოს უფრო მკაცრი სანქციები	76
მუხლი 12. სანქციები სპორტული სტრუქტურების მიმართ	76
მუხლი 13. აპელაციები	76
13.1. გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება გასაჩივრებას ..	76
13.2. აპელაციები ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შედეგებზე, დროებით სანქციებზე, გადაწყვეტილებათა ცნობა-აღიარებასა და შესაბამის იურისდიქციაზე	77
13.3. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღების შეუძლებლობა	81
13.4. აკრძალული ნივთიერებების თერაპიულ გამოყენებასთან დაკავშირებული აპელაციები	82
13.5. აპელაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შეტყობინება	82
13.6. აპელაციები კოდექსის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე 13.7. აპელაციები ლაბორატორიებისთვის აკრედიტაციის შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე	82

მუხლი 14. კონფიდენციალურობა და ანგარიშგება	83
14.1. ინფორმაცია არასასურველ ანალიტიკურ შედეგზე, ატიპიურ შედეგზე ან სხვა დასაბუთებელი ანტიდოპინგური წესების დარღვევებზე	83
14.2. ანტიდოპინგური წესის დარღვევის გადანყვეტილების შეტყობინება და საბუთების მოთხოვნა	85
14.3. ინფორმაციის გამოქვეყნება	85
14.4. სტატისტიკური ანგარიში	86
14.5. დოპინგ კონტროლზე ინფორმაციის შეგროვება	87
14.6. მონაცემთა დაცვა	87
მუხლი 15. გადანყვეტილებების შესახებ განაცხადის გაკეთება და აღიარება	88
მუხლი 16. დოპინგ კონტროლი სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე ცხოველებისათვის	89
მუხლი 17. ხანდაზმულობის ვადა	89
ნაწილი მეორე	90
განათლება და კვლევა	90
მუხლი 18. განათლება	90
18.1. ძირითადი პრინციპი და პირველადი მიზანი	90
18.2. პროგრამები და საქმიანობა	90
18.3. ქცევის პროფესიული კოდექსები	91
18.4. კოორდინაცია და თანამშრომლობა	92
მუხლი 19. კვლევები	92
19.1. ანტიდოპინგური კვლევების მიზანი და ამოცანები	92
19.2. კვლევის ტიპები	92
19.3. კვლევების კოორდინაცია და შედეგების გაზიარება	92
19.4. კვლევის ჩატარების პრაქტიკა	93
19.5. კვლევები აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების გამოყენების დროს	93
19.6. შედეგების ბოროტად გამოყენება	93
ნაწილი მესამე	94
როლი და პასუხისმგებლობები	94
მუხლი 20. ხელის მომწერ მხარეთა დამატებითი როლი და პასუხისმგებლობები	94
20.1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა 20.2. საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა	94
20.3. საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა ...	96
20.4. ეროვნული ოლიმპიური და ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა	98
20.5. ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობები	100

20.6. მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორების როლი და პასუხისმგებლობა	101
20.7. WADA-ს როლი და პასუხისმგებლობა	102
მუხლი 21. სპორტსმენებისა და სხვა პირების დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა	103
21.1. სპორტსმენის როლი და პასუხისმგებლობა	103
21.2. სპორტსმენის პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა	104
21.3. რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა	105
მუხლი 22. მთავრობების ჩართულობა	106
ნაწილი მეოთხე	108
კოდექსის მიღება, შესაბამისობა, ცვლილებები და ინტერპრეტაცია ...	108
მუხლი 23. მიღება, მოთხოვნების შესრულება და მოდიფიკაცია	108
23.1. კოდექსის მიღება	108
23.2. კოდექსის დანერგვა	109
23.3. ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელება	110
23.4. კოდექსთან შესაბამისობა	110
23.5. კოდექსთან და UNESCO-ს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი	110
23.6. დამატებითი შედეგები ხელის მომწერი მხარის მიერ კოდექსთან შეუსაბამობის გამო	112
23.7. კოდექსის მოდიფიკაცია	112
23.8. კოდექსზე ხელმოწერის გაუქმება	113
მუხლი 24. კოდექსის ინტერპრეტაცია	113
მუხლი 25. გარდამავალი დებულებები	114
25.1. 2015 წლის კოდექსის ზოგადად ძალაში შესვლა	114
25.2. კოდექსს არ აქვს უკუძალა, 10.7.5 და 17 მუხლების გარდა, თუ არ მოქმედებს „ლექს მიტიორის“ პრინციპი	114
25.3. 2015 კოდექსის ძალაში შესვლამდე მიღებული გადანყვეტილებების გამოყენება	115
25.4. მრავლობითი დარღვევები, როდესაც პირველ დარღვევას ადგილი ჰქონდა 2015 წლის 1 იანვრამდე	115
25.5. კოდექსის დამატებითი ცვლილებები	115
დანართი 1. ტერმინები და განმარტებები	117
დანართი 2. მე-10 მუხლის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები	131

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

– დაიცვას სპორტსმენის ძირეული უფლება, მიიღოს მონაწილეობა დოპინგისგან თავისუფალ შეჯიბრებში, ამ მიზნით პროპაგანდა გაუწიოს ჯანმრთელობას, სამართლიანობასა და თანასწორობას სპორტსმენთა შორის.

– შექმნას შეთანხმებული, კოორდინირებული და ეფექტიანი ანტიდოპინგური პროგრამები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, რათა გამოააშკაროს, შეაჩეროს და თავიდან აიცილოს დოპინგის შემთხვევები.

კომენტარი: ოლიმპიური ქარტია და საერთაშორისო კონვენცია სპორტში დოპინგის წინააღმდეგ 2005, რომელიც მიიღეს პარიზში, 19 ოქტომბერს, 2005 წელს (UNESCO-ს კონვენცია) აღიარებენ სპორტში პრევენციასა და დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის და UNSECO-ს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, და აგრეთვე აღიარებენ კოდექსის ფუნდამენტურ როლს.

კოდექსი

კოდექსი არის ძირეული და უნივერსალური დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა. მისი მიზანია ძირითადი ელემენტების ურთიერთშერწყმის მეშვეობით დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. კოდექსი საკმაოდ კონკრეტულია იმ ასპექტებში, სადაც საჭიროა შეთანხმება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის მისაღწევად, ამავე დროს, უნივერსალურია იქ, სადაც საჭიროა გარკვეული მოქნილობა. კოდექსი გამოყენებული უნდა იქნეს ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პროპორციულობის პრინციპები და ადამიანის უფლებები.

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა შეიცავს ყველა საჭირო ელემენტს ანტიდოპინგური პროგრამების ორგანიზაციის, სამუშაო პრაქტიკის ჰარმონიზაციისა და დანერგვისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს ელემენტებია:

პირველი ეტაპი: კოდექსი;

მეორე ეტაპი: საერთაშორისო სტანდარტები;

მესამე ეტაპი: საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები და გაიდლაინები.

საერთაშორისო სტანდარტები

ანტიდოპინგური პროგრამის სხვადასხვა ტექნიკურ და პროცედურულ კომპონენტებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები შემუშავდა და განვითარდა ხელის მომწერ მხარეებთან და მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ და მტკიცდება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ. საერთაშორისო სტანდარტების შექმნის მიზანია ანტიდოპინგური პროგრამების ტექნიკურ და პროცედურულ ასპექტებზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგური ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ჰარმონიზაცია. საერთაშორისო სტანდარტების მკაცრად დაცვა აუცილებელია ხელის მომწერ მხარეებთან და მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, ისინი დროდადრო შეიძლება გადაისინჯოს WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. საერთაშორისო სტანდარტები და მათში შესული ცვლილებები გამოქვეყნდება WADA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ძალაში შევა საერთაშორისო სტანდარტში ან შესწორებაში არსებულ სპეციფიკურ ვადაში.

კომენტარი: საერთაშორისო სტანდარტები შეიცავს კოდექსის დანერგვისათვის საჭირო ბევრ ტექნიკურ დეტალს. ისინი მუშავდება ხელის მომწერი მხარეების მთავრობების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ექსპერტების მიერ ცალკე დოკუმენტაციის სახით. მნიშვნელოვანია ის, რომ საჭიროების შემთხვევაში WADA-ს აღმასრულებელ კომიტეტს, კოდექსში ცვლილებების შეტანის გარეშე, შეუძლია, დროული ცვლილებები შეიტანოს საერთაშორისო სტანდარტებში.

საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები და გაიდლაინები

კოდექსზე და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები და გაიდლაინები განვითარდა და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, რათა შესაძლებელი გახდეს ანტიდოპინგურ სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა საკითხების გადაჭრა. ნიმუშებს და გაიდლაინებს მიეცემა რეკომენდაციები ვადას მიერ და იქნება ხელმისაწვდომი ხელის მომწერი და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, თუმცა, არა სავალდებულო. ანტიდოპინგური დოკუმენტაციის ნიმუშების მიწოდებასთან ერთად, ვადა დაეხმარება ხელის მომწერ მხარეებს ტრენინგებით.

კომენტარი: ამ ნიმუშის დოკუმენტები უზრუნველყოფს ალტერნატივას, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, აირჩიონ. ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, აირჩიოს ნიმუშის წესების და სხვა ზუსტად იგივე საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები. სხვებს შეუძლიათ, მიიღონ მოდიფიცირებული ნიმუშები. სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ, განავითარონ საკუთარი წესები კოდის ზოგადი პრინციპებისა და კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ანტიდოპინგური მუშაობის კონკრეტული ნაწილის დოკუმენტებისა და გაიდლაინების მოდელი განვითარდა და შესაძლებელია, ეს პროცესი გაგრძელდეს დაინტერესებული მხარეების ზოგადად აღიარებული საჭიროებების და მოლოდინების საფუძველზე.

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფუნდამენტური საფუძვლები

ანტიდოპინგური პროგრამები მოწოდებულია, დაიცვას ის, რაც მართლაც ფასეულია სპორტისათვის, ის, რასაც ხშირად სპორტულ სულს უწოდებენ და რაც ოლიმპიური მოძრაობის არსს წარმოადგენს; ადამიანის სრულყოფილებისკენ მისწრაფება თითოეული ბუნებრივი ნიჭის სრულყოფილების გამოხატვის გზაა; ეს არის სამართლიანი თამაში. სპორტული სული არის ადამიანის სულის, სხეულის და გონების ზეიმი, და გამოიხატება იმ ფასეულობებში, რომლებსაც ჩვენ ვპოულობთ სპორტში

და სპორტის საშუალებით, ესენია:

- ეთიკა, სამართლიანობა, პატიოსნება;
- ჯანმრთელობა;
- უბადლო შესრულება;
- ხასიათი და განათლება;
- გართობა და სიამოვნება;
- გუნდური მუშაობა;
- თავდადება და პასუხისმგებლობა;
- წესებისა და კანონების პატივისცემა;
- საკუთარი თავისა და სხვა მონაწილეთა პატივისცემა;
- მამაცობა;
- ერთობა და სოლიდარობა.

დოპინგი კი ძირეულად ეწინააღმდეგება სპორტულ სულს და სამართლიანი თამაშის პრინციპს.

დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და აამოქმედონ სპეციალური საგანმანათლებლო და პრევენციული პროგრამები როგორც პროფესიონალ სპორტსმენთათვის, ასევე ახალგაზრდებისთვის და დამხმარე პერსონალისთვის.

ნაწილი პირველი

დოპინგ კონტროლი

შესავალი

კოდექსის პირველ ნაწილში გადმოცემულია კონკრეტული ანტიდოპინგური წესები და პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვან საკუთარ სფეროში აღნიშნული წესების მიღებაზე, დანერგვასა და იძულებაზე პასუხისმგებელმა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და პარაოლიმპიური კომიტეტები, უმსხვილესი საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ორგანიზაცია კრებითად მოიაზრება ანტიდოპინგურ ორგანიზაციებად.

კოდექსის ყველა მუხლი არსებითად სავალდებულოა და უნდა შესრულდეს ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ. მიუხედავად ამისა, კოდექსი არ გამორიცხავს ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ სხვა, დამატებითი წესების შემოღებას. კოდექსის მიერ დადგენილი ზოგიერთი წესი მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე უნდა შევიდეს ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის დოკუმენტში, თუმცა, გარკვეული ნაწილი აყალიბებს აუცილებელ პრინციპებს, რომელთა გამეორებაც აუცილებელი არაა და რომლებზე დაყრდნობითაც ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, შეიმუშაონ საკუთარი წესები.

კომენტარი: ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში სავალდებულოდ შესატანი ნორმები მითითებულია 23.2.2 მუხლში. მაგალითად, ჰარმონიზაციის მიზნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხელის მომწერი მხარე თავის გადანყვეტილებში უნდა ეყრდნობოდეს ერთი და იმავე ანტიდოპინგური წესების დარღვევის სიას, ერთი და იმავე მტკიცებულებების სიმძიმეს

და ერთი და იმავე ანტიდოპინგური წესების დარღვევისას დააკისროს ერთი და იგივე გამოსავალი (სანქცია). ეს წესები ერთი და იგივე უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, თუ სად მიმდინარეობს საქმის განხილვა: საერთაშორისო ფედერაციებში, ეროვნულ დონეზე თუ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში.

ის წესები, რომლებიც არაა ჩამოთვლილი 23.2.2 მუხლში, ასევე სავალდებულოა, თუმცა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს არ ევალებათ მათი პირდაპირ გადმოწერა თავიანთ დოკუმენტებში. ასეთი წესები ორ კატეგორიად იყოფა. პირველი ნაწილი მოუწოდებს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს გარკვეული მოქმედებისაკენ, მაგრამ მათი შეტანა თვითონ ამ ორგანიზაციათა წესებში არ არის აუცილებელი. მაგალითად, ყველა ანტიდოპინგური სტრუქტურა ვალდებულია, ტესტირება ჩაატაროს მეხუთე მუხლით გათვალისწინებული წესებით, თუმცა, ეს წესები უნდა მეორედებოდეს ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში. მეორე, ზოგიერთი მუხლი არსებითად სავალდებულოა, მაგრამ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს გარკვეულწილად თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევს. მაგალითად, კოდექსი არ ითხოვს შედეგების ანალიზისა და საქმეთა განხილვის პროცედურების იდენტიურობას ყველა ორგანიზაციისათვის. ამისათვის სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს განსხვავებული, მაგრამ ერთნაირად ეფექტიანი პროცედურები. კოდექსი არ მოითხოვს აბსოლუტურ იდენტურობას შედეგების ანალიზის და საქმეთა განხილვის პროცედურებში; თუმცა მოითხოვს, რომ ხელის მომწერი მხარეების განსხვავებული მიდგომები აკმაყოფილებდეს კოდექსის ძირითად პრინციპებს.

ისეთი ანტიდოპინგური წესები, როგორებიცაა საშეჯიბრო წესები, წარმოადგენენ იმგვარ ნორმებს, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს უშუალოდ საშეჯიბრო პროცესი. სპორტსმენები აღიარებენ ამ წესებს, როგორც შეჯიბრში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელ პირობას. ყველა ხელის მომწერმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი წესებისა და პროცედურების შემოღება, რომელთა შესრულებისას ამ სუბიექტის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ყველა ორგანიზაცია, სპორტსმენი თუ სხვა პირი

ინფორმირებული იქნება არსებული „თამაშის წესების“ შესახებ და დაეთანხმება მათ.

მონაწილეებმა უნდა დაიცვან შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ კოდექსის მიხედვით მიღებული ყველა ანტიდოპინგური წესი. კოდექსის ხელის მომწერი ყველა მხარე ვალდებულია, ჩამოაყალიბოს პროცედურები და წესები, რათა შეატყობინოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ მონაწილეებს არსებული შეზღუდვების შესახებ და მოსთხოვოს მათ მიღებული წესების დაცვა.

თითოეული ხელის მომწერი ადგენს წესებს და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ყველა სპორტსმენმა და სხვა პირმა, რომლებიც იმყოფებიან ხელის მომწერი მხარეების და მათი ორგანიზაციების დაქვემდებარებაში, მისცენ თანხმობა პირადი ინფორმაციის გავრცელების შესახებ, როგორც ამას მოითხოვს კოდექსი და არიან ვალდებულნი და მოდიან კოდექსის ანტიდოპინგური წესების შესაბამისობაში, და რომ შესაბამისი გამოსავალი ეკისრებათ იმ სპორტსმენებს და სხვა პირებს, რომლებიც არ მოქმედებენ ამ წესების შესაბამისად. ეს სპორტისთვის სპეციფიკური წესები და პროცედურები, რომლებიც მიმართულია გლობალური და ჰარმონიზაციული გზით ანტიდოპინგური წესების დაცვისკენ, თავისი არსით განსხვავდება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის სასამართლო საქმეებისაგან. ისინი არ უნდა ექვემდებარებოდნენ ან არ უნდა იზღუდებოდნენ არანაირი ეროვნული მოთხოვნებით და საკანონმდებლო სტანდარტებით, რომლებსაც იყენებენ ასეთი საქმეების გარჩევისას, თუმცა მათი გამოყენებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპები და ადამიანთა უფლებები. როდესაც მოცემული შემთხვევის დროს განიხილება ფაქტები და კანონი, ყველა სასამართლომ, არბიტრაჟულმა განხილვის ორგანომ და სხვა სასამართლო ორგანოებმა უნდა იცოდნენ და გაითვალისწინონ კოდექსის ანტიდოპინგური წესების განსაკუთრებული არსი და ის ფაქტი, რომ ეს წესები წარმოადგენენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამართლიანი სპორტით დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის კონსენსუსს.

მუხლი 1. დოპინგის ცნება

დოპინგი განმარტებულია, როგორც ერთი ან მეტი ანტი-დოპინგური წესის დარღვევის არსებობა, რაც განმარტებულია კოდექსის 2.1-2.10 მუხლებით.

მუხლი 2. ანტიდოპინგური წესების დარღვევა

მუხლი 2-ის მიზანია, განისაზღვროს გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც ანტიდოპინგური წესები ირღვევა. დოპინგის შემთხვევების მოსმენა განხორციელდება იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომ დაირღვა ერთი ან რამდენიმე ეს განსაზღვრული წესი.

სპორტსმენი, ან სხვა პირი ვალდებულია, იცოდეს, თუ რა არის ანტიდოპინგური წესების დარღვევა და იცნობდეს აკრძალულ სიაში ჩამოთვლილ ნივთიერებებსა და მეთოდებს.

ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება:

2.1. სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერებების, მათი მეტაბოლიტების, ან მარკერების არსებობა.

2.1.1. ყოველი სპორტსმენის პერსონალური მოვალეობაა, არ დაუშვას აკრძალული ნივთიერებების მის ორგანიზმში მოხვედრა. სპორტსმენებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი ორგანიზმიდან აღებულ სინჯში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტის, ან მარკერის აღმოჩენის შემთხვევაში. 2.1 მუხლით გათვალისწინებული შედეგის მისაღებად მნიშვნელობა არ აქვს განზრახვას, ბრალს ან დაუდევრობას.

კომენტარი მუხლისათვის 2.1.1: ანტიდოპინგური წესები დარღვეულია ამ მუხლით სპორტსმენის ბრალეულობის მიუხედავად. ეს წესი განხილული იყო სხვადასხვა CAS-ის გადაწყვეტილებებში, როგორც „მკაცრი პასუხისმგებლობა“. სპორტსმენის ბრალეულობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგების განსაზღვრისას მუხლი 10-ის მიხედვით. ეს პრინციპი თანმიმდევრულად დაცულია CAS-ს მიერ.

2.1.2. ანტიდოპინგური წესის დარღვევის საკმარისი მტკიცებულებაა 2.1 მუხლის მიხედვით რომელიმე ქვემოთ ჩამოთვ-

ლილი პირობის არსებობა: სპორტსმენის A სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა, როდესაც სპორტსმენი უარს აცხადებს სინჯზე და არ ხდება სინჯის ანალიზი; ან როდესაც სპორტსმენის სინჯის ანალიზი ჩატარდება და ანალიზის შედეგად მტკიცდება აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა; ან როდესაც სპორტსმენის B სინჯი იყოფა ორ ნაწილად და მეორე ბოთლის ანალიზი ამტკიცებს აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობას, რომელიც მიღებული იქნა პირველი ბოთლის ანალიზით.

კომენტარი მუხლისათვის 2.1.2.: შედეგების მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა ანტიდოპინგური ორგანიზაციამ შეიძლება, თავისი შეხედულებისამებრ, აირჩიოს სინჯის ანალიზის ჩატარება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენი არ ითხოვს სინჯის ანალიზს.

2.1.3. აკრძალულ სიაში წინასწარ სპეციალურად შეთანხმებული შემთხვევების გარდა, სპორტსმენის სინჯში ნებისმიერი რაოდენობის აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების აღმოჩენა ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად.

2.1.4. მუხლი 2.1.-ის საერთო წესებიდან, გამონაკლისის სახით, აკრძალული სია ან საერთაშორისო სტანდარტები შესაძლებელია, აწესდეს სპეციალურ კრიტერიუმებს იმ აკრძალული ნივთიერებებისთვის, რომლებიც შეიძლება, წარმოიშვას ენდოგენურად.

2.2. სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, ან გამოყენების მცდელობა.

კომენტარი მუხლისათვის 2.2: ყოველთვის შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, დადგინდეს რაიმე სანდო საშუალებით. როგორც არის აღნიშნული მუხლი 3.2-ის კომენტარში (ფაქტებისა და ვარაუდების დადგენის მეთოდები), მტკიცებულებისაგან განსხვავებით, საჭიროა, შეიქმნას ანტიდოპინგური წესების დარღვევა 2.1 მუხლით, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა შესაძლებელია, ასევე დადგინდეს სხვა სანდო საშუალებით, როგორებიცაა სპორტსმენის მიერ აღიარება, მოწმეთა

ჩვენებები, დოკუმენტური მტკიცებულება, დასკვნების გრძივი პროფილირება, სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის ჩათვლით, ან ანალიტიკური ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად არ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომ დადგინდეს აკრძალული ნივთიერების „არსებობა“ 2.1 მუხლით.

მაგალითად, გამოყენება შეიძლება, დადგინდეს სანდო ანალიტიკური მონაცემებით სინჯის ანალიზის შედეგად (სინჯის ანალიზით დამტკიცების გარეშე) ან მხოლოდ სინჯის ანალიზის საფუძველზე, როდესაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია იძლევა დამაკმაყოფილებელ განმარტებას სხვა სინჯის არასაკმარისი სანდოობის შესახებ.

2.2.1. ყველა სპორტსმენის პირადი პასუხისმგებლობაა, არ მოხვდეს მის სხეულში აკრძალული ნივთიერება ან არ გამოიყენოს აკრძალული მეთოდი. ანტიდოპინგური წესების დარღვევის დადგენისას არ აქვს მნიშვნელობა, დაფიქსირდა თუ არა სპორტსმენის მხრიდან შეგნებული მოქმედება, ბრალი ან დაუდევრობა.

2.2.2. არა აქვს მნიშვნელობა, აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდების გამოყენებამ გამოიღო შედეგი თუ არა. აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა ითვლება წესების დარღვევად.

კომენტარი მუხლისათვის 2.2.: აკრძალული ნივთიერების „გამოყენების მცდელობის“ დემონსტრირება მოითხოვს სპორტსმენის მხრიდან განზრახვის დამტკიცებას. ის ფაქტი, რომ განზრახვა შეიძლება მოითხოვდეს დამტკიცებას, არ აზიანებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპებს 2.1-2.2 მუხლების მიხედვით.

სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების გამოყენება არ ითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ ეს ნივთიერება არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში და სპორტსმენის მიერ ეს ნივთიერება გამოყენებული იქნა არასაშეჯიბრო პერიოდში. მიუხედავად ამისა, აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა საშეჯიბრო პერიოდში აღებულ სინჯში ითვლება წესების დარღვევად, მუხლი 2.1-ის მიხედვით.

კომენტარი მუხლისათვის 2.22: მნიშვნელობა ტერმინისა – „გამოყენების მცდელობა“ მოცემულ კოდექსში შედარებით გაფართოებულია, ვიდრე ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგური კოდექსის (ომადკ) დოპინგის განსაზღვრების ტექსტში. ახლა უკვე აუცილებელი აღარ არის „გამოყენების აღიარების“ გამოყოფა, როგორც ანტიდოპინგური წესების ცალკეული დარღვე-

ვა. „გამოყენება“ უკვე შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად, მაგალითად, აღიარებით, მესამე მხარის დამონემბით, ან სხვა სახით. „გამოყენების მცდელობის“ ბრალდება აუცილებლად მოითხოვს სპორტსმენის ჩანაფიქრის არსებობის დამტკიცებას. ის ფაქტი, რომ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდების გამოყენების ჩანაფიქრის არსებობა მოითხოვს მტკიცებულებას, არ აუქმებს ობიექტური პასუხისმგებლობის შესახებ 2.1-ე მუხლში მიღებულ პრინციპს.

სპორტსმენის მიერ შეჯიბრისგან თავისუფალ პერიოდში აკრძალული სუბსტანციების გამოყენება, რომლის მიღებაც არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში, არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

2.3. სინჯის ჩაბარების გვერდის ავლა, უარის თქმა ან ჩაგდება

დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ, საპატიო მიზეზების გარეშე სპორტსმენის მიერ სინჯის ჩაბარების გვერდის ავლა, უარის თქმა ან ჩაგდება.

კომენტარი მუხლისათვის 2.3: მაგალითად, გარემოება, როდესაც სპორტსმენი თავს არიდებს ოფიციალურ პირებს, რომელთაც სურთ, ჩაუტარონ მას დოპინგ-კონტროლის პროცედურა, განიხილება, როგორც ანტიდოპინგური წესების დარღვევა. სინჯების ჩაბარების ჩაგდება დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ მოქმედებად. სინჯების ჩაბარებისაგან თავის არიდება ან უარის თქმა კი ყოველთვის ჩაითვლება განზრახ ქმედებად.

2.4. ადგილმდებარეობის ჩაგდება

რეგისტრირებულ ტესტირების სიაში შეყვანილი სპორტსმენის მიერ სამი გამოტოვებული ტესტის კომბინაცია და/ან ადგილმდებარეობის შევსების ჩაგდება თორმეტი თვის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით.

2.5 დოპინგ კონტროლის სფეროში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა

ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლის დოპინგ კონტროლის პროცედურის შესრულებას, მაგრამ არ ექცევა აკრძალული მეთოდების განსაზღვრების ქვეშ. ჩარევა უნდა მოი-

ცავდეს, შეზღუდვების გარეშე, განზრახ ხელის შეშლის ან ხელის შეშლის მცდელობას, დოპინგ-კონტროლის წარმომადგენლის საშუალებით ყალბი ინფორმაციის მიწოდებას ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის ან პოტენციური მოწმის დაშინების მცდელობას.

კომენტარი მუხლისათვის 2.5: მაგალითად, ამ მუხლით იკრძალება დოპინგ კონტროლის დროს საიდენტიფიკაციო ნომრების შეცვლა დოპინგ კონტროლის ფორმებზე, ბოთლის გატეხვა, როდესაც საჭიროა სინჯის ანალიზი ან სინჯის შეცვლა უცხო ნივთიერების დამატებით.

დოპინგ კონტროლის ოფიცრის ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩართული სხვა პირის მიმართ შეურაცხყოფელი მოპყრობა, რომელიც სხვაგვარად წარმოადგენს ფალსიფიკაციას, უნდა განიხილებოდეს სპორტული ორგანიზაციების დისციპლინარული წესების მიხედვით.

2.6. აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა:

2.6.1. სპორტსმენის მიერ, ნებისმიერ დროს და ადგილას, ისეთი ნივთიერების ან მეთოდის ფლობა, რომლის გამოყენება აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთიერება ან მეთოდი გამოიყენება 4.4 მუხლით გათვალისწინებული თერაპიულ გამოყენების ნებართვის საფუძველზე, ან სხვა საპატიო მიზეზით.

2.6.2. სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ საშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ფლობა, ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ფლობა, ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, რაც უკავშირდება სპორტსმენს, შეჯიბრებას ან წვრთნას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული ნივთიერება გამოიყენება 4.4 მუხლის საფუძველზე გაცემული თერაპიული გამოყენების ნებართვის საფუძველზე (თერაპიული გამოყენება), ან სხვა საპატიო მიზეზით.

კომენტარი მუხლებისათვის 2.6.1 და 2.6.2: საპატიო მიზეზად არ ითვლება, მაგალითად, აკრძალული ნივთიერების ყიდვა ან ფლობა იმ მიზნით, რომ გადაეცეს მეგობარს ან ნათესავს. გამონაკლისია გამართლებული სამედიცინო გარემოებები, სადაც

ამ პირს ჰქონდა ექიმის დანიშნულება, მაგალითად, ინსულინის ყიდვა დიაბეტიანი ბავშვისთვის.

კომენტარი მუხლისათვის 2.6.2: საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, გუნდის ექიმის მიერ აკრძალული ნივთიერებების ფლობა მწვავე და საგანგებო სიტუაციებში გამოსაყენებლად.

2.7. ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისა და აკრძალული მეთოდის ტრეფიკინგი

2.8. საშეჯიბრო პერიოდში სპორტსმენისათვის ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისა და აკრძალული მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდში ისეთი ნივთიერების ან მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, რომელიც იკრძალება არასაშეჯიბრო პერიოდში.

2.9. თანამონაწილეობა

დახმარება, ნახალისება, ხელის შეწყობა, ნაქეზება, შეთქმულება, დაფარვა და სხვა რომელიმე სახით თანამონაწილეობა ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, ანტიდოპინგური წესების დარღვევის მცდელობაში ან სხვა პირის მიერ 10.12.1 მუხლის დარღვევაში.

2.10. აკრძალული კავშირი

სპორტსმენის ან სხვა პირის კავშირი პროფესიონალური ან სპორტთან დაკავშირებული საქმიანობის სახით სპორტსმენის დამხმარე პერსონალთან:

2.10.1. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებული პირი იმყოფება დისკვალიფიკაციის პერიოდში.

ან:

2.10.2. თუ პირს, რომელიც არ არის ანტიდოპინგური ორგანიზაციის დაქვემდებარებაში და როდესაც დისკვალიფიკაცია, კოდექსის შესაბამისად, არ განიხილება შედეგების მართვის პროცესით, მიესაჯა ან იმყოფება კრიმინალური, დისციპლინარული ან პროფესიონალური დარღვევების შესახებ საქმის წარმოების პროცესში, განიხილება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ კოდექსის წესები შეესაბამება ამ პირს. ასეთი პირის დისკვალიფიკაციის სტატუსი ძალაში უნდა შევიდეს ექვს წელზე მეტი ხნით კრიმინალური, პროფესიონალური ან დისციპლინარული დარღვევის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებიდან, ან კრი-

მინალური, დისციპლინარული ან პროფესიონალური დარღვევების შედეგად დაკისრებული სანქციის ხანგრძლივობა;

ან:

2.10.3. წარმოადგენს წინა ან შუამავალ მხარეს იმ პირისა, რომელიც აღწერილია მუხლებში 2.10.1 ან 2.10.2.

იმისათვის, რომ ეს დებულება გავრცელდეს, აუცილებელია, სპორტსმენი ან სხვა პირი წინასწარ წერილობითი ფორმით იყოს გაფრთხილებული იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომლის იურისდიქციაში შედის სპორტსმენი ან სხვა პირი, ან ვადას მიერ, სპორტსმენის თანხმლები პირის დისკვალიფიკაციური სტატუსისა და აკრძალული კავშირის პოტენციური შედეგების შესახებ, რომ სპორტსმენი ან სხვა პირი გონივრულად უნდა მოერიდონ ასეთ კავშირს. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ასევე უნდა გამოიყენოს გონივრული ძალისხმევა, რომ ურჩიოს წესების დარღვევაში შემჩნეულ სპორტსმენის თანხმლებ პირს, 15 დღის განმავლობაში მიაკითხოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რათა აუხსნას, რომ 2.10.1 და 2.10.2 მუხლებში აღწერილი კრიტერიუმები არ შეესაბამება მას. (მიუხედავად მუხლი 17, ეს მუხლი გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც სპორტსმენის დამხმარე პირის დისკვალიფიკაციას ადგილი ჰქონდა ძალაში შესვლის თარიღამდე, როგორც ეს მოცემულია მუხლში 25).

სპორტსმენმა და სხვა პირმა უნდა დაადგინონ, რომ კავშირი სპორტსმენის თანხმლებ პირთან, როგორც ეს არის აღწერილი მუხლებში 2.10.1 და 2.10.2, არ უკავშირდება მის პროფესიონალურ ან სპორტულ კარიერას. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ინფორმირებული არიან სპორტსმენის თანხმლები პირის მიერ აღნიშნული მუხლების დარღვევის შესახებ, უნდა აცნობონ ვადას.

კომენტარი მუხლისათვის 2.10: სპორტსმენებმა და სხვა პირებმა არ უნდა ითანამშრომლონ მწვრთნელებთან, ექიმებთან ან სპორტსმენის სხვა თანხმლებ პირებთან, რომლებსაც ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო ჩამორთმეული აქვთ უფლებები ან რომლებსაც მისჯილი აქვთ კრიმინალურად ან პროფესიონალური სასჯელი დოპინგთან დაკავშირებით. ასეთი აკრძალული კავშირების ზოგიერთი მაგალითია: წვრთნის, სტრატეგიის, ტექნიკის, საკვების ან სამედიცინო რჩევის მიღება; მკურნალობის და დანიშნულების

მიღება; უზრუნველყოს ნებისმიერი სხეულის პროდუქტის ანალიზი; სპორტსმენის თანხმლებ პირს უფლება მიეცეს, იმსახუროს, როგორც აგენტი ან წარმომადგენელი. აკრძალული კავშირი მოითხოვს, არ იყოს არანაირი ფორმის კომპენსაცია.

მუხლი 3. დოპინგის მტკიცებულობა

3.1. მტკიცებულობის სირთულეები და სტანდარტები

ანტიდოპინგური წესების დარღვევისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. სტანდარტების მტკიცებულების კრიტერიუმად ითვლება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, საქმის განმხილველი ორგანოსათვის მისაღებ დონეზე, წამოყენებული ბრალდებების სერიოზულობის გათვალისწინებით, ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა. მტკიცებულების ეს კრიტერიუმი, ყველა შემთხვევაში, უფრო ძლიერია, ვიდრე ალბათობის უბრალო ბალანსი, მაგრამ ნაკლებად ძლიერი, ვიდრე მტკიცებულება ყოველგვარი ეჭვის გარეშე. როდესაც კოდექსი ანტიდოპინგური წესების დაღვევაში ეჭვმიტანილ სპორტსმენს, ან სხვა პირს აკისრებს ვალდებულებას, უარყოს პრეზუმფცია, დაადასტუროს ფაქტი ან გარემოება, მტკიცებულების კრიტერიუმი ალბათობის ბალანსია. გამონაკლისია 10.4 და 10.6 მუხლები, სადაც სპორტსმენი ან სხვა პირი უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მაღალი მტკიცებულობის სირთულეს.

კომენტარი მუხლისათვის 3.1: ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული მტკიცებულების მოცემული კრიტერიუმი შეესაბამება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის მიერ აღიარებულ კრიტერიუმს, პროფესიონალური გადაცდომების შემთხვევებში.

3.2. ფაქტებისა და პრეზუმფციების დადგენის მეთოდები:

ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენა დასაშვებია ნებისმიერი სარწმუნო საშუალებით, მათ შორის აღიარებით. დოპინგთან დაკავშირებულ საქმეებში მისაღებია მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგი წესები:

კომენტარი მუხლისათვის 3.2: მაგალითად, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება დაადასტუროს 2.2 მუხლით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესების დარღვევა სპორტსმენის აღიარებით.

რების, სანდო მესამე პირის ჩვენების, სარწმუნო დოკუმენტური მასალის საფუძველზე, ან სპორტსმენის სისხლის ან შარდის სინჯების სერიის პროფოლისგან მიღებული დასკვნებით, როგორცაა სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი.

3.2.1. ანალიტიკური მეთოდები და გადაწყვეტილების საზღვრები დამტკიცებულია ვადას მიერ შესაბამის სამეცნიერო საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად და რომლებმაც გაიარეს ექსპერტების შეფასება, იქნებიან მეცნიერულად მოქმედნი. ნებისმიერი სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც ცდილობს ამ მეცნიერული მოქმედების პრეზუმფციის უარყოფას, ასეთი დავების შემთხვევაში წინაპირობაა პირველად შეტყობინების გაგზავნა ვადაში. სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, თავისი ინიციატივით, ასევე შეუძლია მიაწოდოს ასეთი დავის შესახებ ინფორმაცია ვადას. ვადას თხოვნით, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა გამოეცხადოს შესაბამისი სამეცნიერო ექსპერტი, რომელიც დაეხმარება მოსმენის ორგანოს დავის შეფასებაში. ვადაში ასეთი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში და ასევე სსს-ის ინფორმაციის მოსვლის შემდეგ, ვადას აგრეთვე აქვს უფლება, ჩაერიოს როგორც მხარე, სასამართლოს მრჩეველად ან სხვა მხრივ წარმოადგინოს მტკიცებულებები ასეთ პროცესზე.

3.2.2. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ აკრედიტებულმა ლაბორატორიებმა და სხვა ლაბორატორიებმა, რომლებიც დამტკიცებულია WADA-ს მიერ, სინჯების შენახვისას და მათი ანალიზისას უნდა დაიცვან ლაბორატორიული ანალიზების საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ტესტირების დადებითი შედეგი გამოწვეული იყო დადგენილი სტანდარტების დარღვევით.

თუ სპორტსმენი არ აღიარებს დარღვევის ფაქტს, იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას, ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ანალიზის უარყოფითი ანალიტიკური შედეგი არ არის გამოწვეული აღნიშნული სტანდარტების დარღვევით.

კომენტარი მუხლისათვის 3.2.1: ლაბორატორიის მიერ საერთაშორისო სტანდარტის გადაცდომის გამოვლენა, რასაც შესაძლებელია, გამოეწვიოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი, ეკისრება

სპორტსმენს ან სხვა პირს ალბათობის ბალანსით. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ახორციელებს ამ პროცესს, შემდგომი ქმედება ეკისრება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რათა დაამტკიცოს მოსმენის პანელის კომფორტული დაკმაყოფილება, რომ გადაცდომამ არ გამოიწვიოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი.

3.2.3. ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სტანდარტის ან სხვა ანტიდოპინგური წესის ან პოლიტიკის გადაცდომა, რომელმაც არ გამოიწვიოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი, ან ანტიდოპინგური წესების სხვა დარღვევა, არ აბათილებს მოცემულ შედეგს. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი გამოავლენს სხვა საერთაშორისო სტანდარტიდან გადაცდომას ან სხვა ანტიდოპინგური წესის ან პოლიტიკის დარღვევას, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგები ან სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, მაშინ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მოცემულმა გადაცდომამ არ გამოიწვიოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი ან არ შექმნა ანტიდოპინგური წესების დარღვევის საფუძველი.

3.2.4. ფაქტები, დადგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კომპეტენტური იურისდიქციის პროფესიონალური დისციპლინარული ტრიბუნალის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს აპელაციის განხილვის საგანს, უნდა ასახავდნენ უდავო მტკიცებულებას სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ, ვისაც ეს ფაქტები შეეხება, თუკი სპორტსმენი ან სხვა პირი არ დაამტკიცებს იმას, რომ გამოტანილმა დასკვნამ დაარღვია ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპები.

3.2.5. ანტიდოპინგური წესების დარღვევის მოსმენისას, მოსმენის ორგანომ შეიძლება გამოიტანოს სპორტსმენისთვის ან სხვა პირისთვის, რომლის შესახებაც ამტკიცებენ, რომ დაარღვია ანტიდოპინგური წესები, სპორტსმენის ან სხვა პირის უარყოფის საფუძველზე, არასასურველი დასკვნა, მოსმენის დაწყებამდე გონივრულ ვადაში გაკეთებული მოთხოვნის შემდეგ, მოსმენის პროცესზე გამოცხადების შესახებ (პირადად ან ტელეფონით მოსმენის პანელის წესის შესაბამისად) და გასცეს კითხვებზე პასუხი მოსმენის დროს ან მოისმინონ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მტკიცებულებები ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ.

მუხლი 4. აკრძალული სია

4.1. აკრძალული სიის გამოცემა და გადახედვა

WADA-მ სათანადო სიხშირით, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, საერთაშორისო სტანდარტის სახით უნდა გამოაქვეყნოს აკრძალული სია. აკრძალული სიის შემოთავაზებული შინაარსი და ყველა ცვლილება წერილობითი სახით გადაეცემა ხელის მომწერ მხარეებსა და მთავრობებს კომენტარებისა და კონსულტაციებისათვის. აკრძალული სიის ყოველწლიური ვერსია და მისი ყველა ცვლილება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ დროულად მიენოდება ხელის მომწერ მხარეებს, WADA-ს მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიებს და მთავრობებს და გამოქვეყნდება WADA-ს ვებ-გვერდზე. ხელის მომწერი მხარე ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა აკრძალული სია მიენოდოს მის ყველა წევრს და დაინტერესებულ მხარეს. ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები უნდა შეიცავდეს პუნქტს იმის შესახებ, რომ თუ სიაში ან მის ცვლილებებში სხვაგვარად არ არის მითითებული, აკრძალული სია ან ცვლილებები ძალაში შედის WADA-ს მიერ მათი გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ და არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით ქმედებას ანტიდოპინგური ორგანიზაციებისაგან.

კომენტარი მუხლისათვის 4.1: საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია აკრძალული სიის გადახედვა და გამოქვეყნება დაჩქარებული წესით. თუმცა, აკრძალული სიის ახალი ვერსია სისტემურად გამოიცემა ყოველწლიურად, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა შეტანილი სიაში ცვლილებები. WADA-ს ვებ-გვერდზე ყოველთვის შეიძლება აკრძალული სიის მიმდინარე ვერსიის ნახვა. აკრძალული სია არის სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციის განუყოფელი ნაწილი, ამიტომ სიაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ WADA-მ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს UNESCO-ს გენერალურ დირექტორს.

4.2. აკრძალულ სიაში მითითებული აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები

4.2.1. აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები

აკრძალული სია უნდა შეიცავდეს იმ აკრძალულ ნივთიერებებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენება იკრძალება ყოველ-

თვის (როგორც საშეჯიბრო, ისე არასაშეჯიბრო პერიოდში), მათი პოტენციური უნარის გამო, გააუმჯობესონ სპორტული მიღწევა მოსალოდნელ სპორტულ შეჯიბრზე ან შენიღბონ აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდების გამოყენების ფაქტი; სია ასევე უნდა შეიცავდეს ისეთ ნივთიერებებსა და მეთოდებს, რომლებიც აკრძალულია მხოლოდ შეჯიბრების პერიოდში. საერთაშორისო ფედერაციების რეკომენდაციით, WADA-მ შეიძლება გააფართოოს აკრძალული სია სპორტის კონკრეტული სახეობისათვის. აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები აკრძალულ სიაში შეიძლება შევიდნენ ზოგადი კატეგორიის სახით (მაგალითად, ანაბოლური აგენტები), ან გაკეთდეს მითითება რომელიმე კონკრეტულ ნივთიერებაზე ან მეთოდზე.

კომენტარი მუხლისათვის 4.2.1: არასაშეჯიბრო პერიოდში იმ ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც იკრძალება მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, არ მიიჩნევა ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ აკრძალული ნივთიერება ან მისი მეტაბოლიტები ან მარკერები არ აღმოჩნდა საშეჯიბრო პერიოდში აღებულ სინჯებში.

4.2.2. სპეციფიკური ნივთიერებები

მეტა მუხლის გამოყენებისას, ყველა აკრძალული ნივთიერება უნდა იდენტიფიცირდეს, როგორც სპეციფიკური ნივთიერება, გარდა ანაბოლური საშუალებების და ჰორმონების კლასებში შემავალი ყველა აკრძალული ნივთიერებისა, და სტიმულატორების, ჰორმონების ანტაგონისტების და მოდულატორების კლასებში შემავალი მითითებული ნივთიერებებისა. სპეციფიკური ნივთიერებების კატეგორია არ მოიცავს აკრძალულ მეთოდებს.

კომენტარი მუხლისათვის 4.2.2: 4.2.2 მუხლში იდენტიფიცირებული სპეციფიკური ნივთიერებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს ნაკლებად მნიშვნელოვნად ან ნაკლებად სახიფათოდ, ვიდრე სხვა დოპინგ ნივთიერებები. უბრალოდ, ეს არის ნივთიერებები, რომლებიც სპორტსმენმა უფრო მეტი ალბათობით შეიძლება მოიხმაროს უნებლიეთ ან სხვა მიზნით, გარდა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისა.

4.2.3. აკრძალულ ნივთიერებათა ახალი კატეგორიები

თუ WADA გადაწყვეტს აკრძალული სიის გაფართოებას ნივთიერებათა ახალი კლასის დამატებით 4.1 მუხლზე დაყრდნობით, WADA-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გადაწყ-

იტოს, მიეკუთვნება თუ არა აკრძალული ნივთიერებების ახალი კლასის რომელიმე ან ყველა ნივთიერება სპეციფიკურ ნივთიერებათა კატეგორიას 4.2.2 მუხლის შესაბამისად.

4.3 აკრძალულ სიაში ნივთიერებებისა და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები.

ნივთიერების ან მეთოდის აკრძალულ სიაში შეტანის საკითხის გადაწყვეტისას WADA-მ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

4.3.1. ნივთიერება ან მეთოდი ექვემდებარება განხილვას აკრძალულ სიაში შესატანად, თუ WADA მიიჩნევს საკუთარი შეხედულებისამებრ, რომ ნივთიერება ან მეთოდი აკმაყოფილებს რომელიმე ორს ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კრიტერიუმიდან.

4.3.1.1. არსებობს სამედიცინო ან სხვა სამეცნიერო მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ ნივთიერებას ან მეთოდს, ცალკე გამოყენებისას ან სხვა ნივთიერებებთან ან მეთოდებთან კომბინაციაში, აქვს პოტენციალი, გაზარდოს, ან ზრდის სპორტულ შესაძლებლობებს;

კომენტარი მუხლისათვის 4.3.1.1: აღნიშნული მუხლი გულისხმობს, რომ შეიძლება არსებობდეს ნივთიერება, რომელიც არ არის აკრძალული ცალკე გამოსაყენებლად, მაგრამ აკრძალულია გარკვეულ სხვა ნივთიერებებთან კომბინაციაში. ნივთიერება, რომელიც შესულია აკრძალულ სიაში იმიტომ, რომ მას აქვს პოტენციალი, გაზარდოს სპორტული შესაძლებლობა მხოლოდ სხვა ნივთიერებასთან კომბინაციაში, შესაბამისად უნდა იყოს აღნიშნული და აკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ორივე ნივთიერების კომბინაციაში გამოყენების მტკიცებულება.

4.3.1.2. არსებობს სამედიცინო ან სხვა სამეცნიერო მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება აშკარა ან პოტენციურ რისკს უქმნის სპორტსმენის ჯანმრთელობას.

4.3.1.3. WADA მიიჩნევს, რომ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება ეწინააღმდეგება სპორტულ სულს, რაც აღწერილია კოდექსის შესავალში.

4.3.2. ნივთიერება ან მეთოდი უნდა შევიდეს აკრძალულ სიაში მაშინაც, თუ WADA გადაწყვეტს, რომ არსებობს სამედიცინო ან სხვა სამეცნიერო მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური

ეფექტი ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ აღნიშნულ ნივთიერებას ან მეთოდს შეუძლია, შენიღბოს სხვა აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების კვალი.

კომენტარი მუხლისათვის 4.3.2: ყოველწლიურად, პროცესის შემადგენელი ნაწილია ყველა ხელის მომწერის, მთავრობების და სხვა დაინტერესებული პირების მოწვევა WADA-ის მიერ, კომენტარების მისაწოდებლად აკრძალული სიის შინაარსის თაობაზე.

4.3.3. WADA-ის გადაწყვეტილება ამა თუ იმ ნივთიერების ან მეთოდის აკრძალულ სიაში შეტანასთან დაკავშირებით საბოლოოა, ისევე, როგორც აკრძალულ სიაში შემავალი ნივთიერებების კლასიფიკაცია კატეგორიებად და ნივთიერების მიკუთვნება ყოველთვის აკრძალული, ან მხოლოდ შეჯიბრის პერიოდში აკრძალული კატეგორიისთვის; შესაბამისად, ზემოთაღნიშნული არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან, იმაზე დაყრდნობით, რომ თითქოს მოცემული ნივთიერება, ან მეთოდი არ არის შემნიღბველი საშუალება, არ გააჩნია სპორტული შედეგის გაუმჯობესების პოტენციალი, არაა სახიფათო ჯანმრთელობისათვის, ან არ ეწინააღმდეგება სპორტულ სულს.

4.4. თერაპიული გამოყენების გამონაკლისი (TUE)

4.4.1. აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა ორგანიზმში, აგრეთვე აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, ფლობა, შეყვანა ან შეყვანის მცდელობა არ ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ ის შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაცემულ თერაპიული გამოყენების ნებართვას.

4.4.2. სპორტსმენმა, რომელიც არ არის საერთაშორისო დონის სპორტსმენი, თერაპიული გამოყენების ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოს შესაბამის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია უარს ამბობს ნებართვის გაცემაზე, სპორტსმენს შეუძლია, აპელაციით მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული დონის სააპელაციო ორგანოს, რომელიც აღწერილია 13.2.2 და 13.2.3 მუხლებში.

4.4.3. საერთაშორისო დონის სპორტსმენმა უნდა მიმართოს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას.

4.4.3.1. თუ სპორტსმენს უკვე აქვს შესაბამისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა სადავო ნივთიერების ან მეთოდის თერაპიული მიზნით გამოყენებაზე, და თუ ეს ნებართვა აკმაყოფილებს თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა ცნოს ეს ნებართვა. თუ საერთაშორისო ფედერაცია ჩათვლის, რომ ნებართვა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, უარს ამბობს მის ცნობაზე, მან სასწრაფოდ უნდა შეატყობინოს სპორტსმენს და მის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ამის შესახებ მიზეზების განმარტებით. სპორტსმენს ან მის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლიათ, ამგვარი შეტყობინებიდან 21 დღის ვადაში გადაამისამართონ საკითხის განხილვა WADA-ში. საკითხის განხილვის WADA-ში გადაამისამართების შემთხვევაში, WADA-ის მიერ გადანყვეტილების მიღებამდე ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა ძალაში რჩება ეროვნული დონის შეჯიბრების და შეჯიბრსგარე ტესტირებისთვის (მაგრამ არა საერთაშორისო შეჯიბრებისთვის). თუ არ მოხდა WADA-ში გადაამისამართება, 21-დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ნებართვა ძალას კარგავს ნებისმიერი მიზნით გამოსაყენებლად.

4.4.3.2. თუ სპორტსმენს არ აქვს შესაბამისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა სადავო ნივთიერების ან მეთოდის თერაპიული მიზნით გამოყენებაზე, მან ასეთი ნებართვის საჭიროების გაჩენისას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას. თუ საერთაშორისო ფედერაცია (ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თანხმდება განაცხადის განხილვაზე საერთაშორისო ფედერაციის ნაცვლად) უარს ამბობს ნებართვის გაცემაზე, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სპორტსმენს, მიზეზების განმარტებით. თუ საერთაშორისო ფედერაცია გასცემს ნებართვას, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს არა მხოლოდ სპორტსმენს, არამედ მის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასაც; თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ჩათვლის,

რომ ნებართვა არ აკმაყოფილებს თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს, მას შეუძლია, ამგვარი შეტყობინებიდან 21 დღის ვადაში გადაამისამართოს საკითხის განხილვა WADA-ში. საკითხის განხილვის WADA-ში გადაამისამართების შემთხვევაში, WADA-ს მიერ გადანყვეტილების მიღებამდე საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა ძალაში რჩება საერთაშორისო დონის შეჯიბრების და შეჯიბრსგარე ტესტირებისთვის (მაგრამ არა ეროვნული დონის შეჯიბრებისთვის). თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ გადაამისამართებს საკითხის განხილვას WADA-ში, 21-დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა ძალაში შედის ეროვნული დონის შეჯიბრებისთვისაც.

კომენტარი მუხლისათვის 4.4.3: თუ საერთაშორისო ფედერაცია უარს ამბობს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვის ცნობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ არასაკმარისად არის წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია ან სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადასტურებლად, არ არის საჭირო საკითხის განხილვის გადაამისამართება WADA-ში. სანაცვლოდ, განაცხადი უნდა შეივსოს შესაბამისი დოკუმენტაციით და თავიდან გაეგზავნოს საერთაშორისო ფედერაციას განსახილველად.

თუ საერთაშორისო ფედერაცია გადანყვეტს, ტესტირება ჩატაროს სპორტსმენს, რომელიც არ არის საერთაშორისო დონის სპორტსმენი, მან უნდა ცნოს ამ სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა.

4.4.4. მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველ ორგანიზაციას შეუძლია მოსთხოვოს სპორტსმენს, რომელსაც სურს აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება აღნიშნულ ღონისძიებასთან კავშირში, თერაპიული გამოყენების ნებართვის მისაღებად მიმართოს აღნიშნულ ორგანიზაციას. ამ შემთხვევაში:

4.4.4.1. მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს პროცესის ორგანიზება იმ შემთხვევისთვის, თუ სპორტსმენს არ აქვს თერაპიული გა-

მოყენების ნებართვა და საჭიროებს მის მოპოვებას. ნებართვის გაცემის შემთხვევაში, იგი ძალაში იქნება მხოლოდ აღნიშნული ღონისძიების განმავლობაში.

4.4.4.2. თუ სპორტსმენს უკვე აქვს ნებართვა, გაცემული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ, და თუ ეს ნებართვა აკმაყოფილებს თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველმა ორგანიზაციამ უნდა ცნოს იგი. თუ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველი ორგანიზაცია თვლის, რომ ნებართვა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს და უარს ამბობს მის ცნობაზე, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სპორტსმენს ამის შესახებ, მიზეზების განმარტებით.

4.4.4.3. მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველი ორგანიზაციის გადანყვეტილება, არ ცნოს ან არ გასცეს თერაპიული გამოყენების ნებართვა, შეიძლება გასაჩივრდეს სპორტსმენის მიერ დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაცია საგანგებოდ ამ მიზნით აყალიბებს ან მიანიჭებს ამ ფუნქციას. თუ სპორტსმენი არ გაასაჩივრებს გადანყვეტილებას (ან თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდება), მას არ აქვს უფლება, გამოიყენოს სადავო ნივთიერება ან მეთოდი აღნიშნული სპორტული ღონისძიების კონტექსტში, მაგრამ ამ ღონისძიების ფარგლებს გარეთ, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა ძალაში რჩება.

კომენტარი მუხლისათვის 4.4.4.3: მაგალითად, ამა თუ იმ სპორტული ღონისძიების დროს დამოუკიდებელი სააპელაციო ორგანოს ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის დროებითი განყოფილება ან მისი ანალოგიური ორგანო, ან WADA-მ შეიძლება აიღოს თავის თავზე ამ ფუნქციის შესრულება. თუ არც საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი და არც WADA არ ასრულებენ ამ ფუნქციას, WADA იტოვებს უფლებას (მაგრამ არა მოვალეობას), ნებისმიერ დროს გადახედოს ამ ღონისძიებასთან კავშირში მიღებულ ნებისმიერ გადანყვეტილებას თერაპიული გამოყენების შესახებ, 4.4.6 მუხლის პირობების თანახმად.

4.4.5. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადანყვეტს სინჯის

ალებას პირისგან, რომელიც არ არის არც საერთაშორისო და არც ეროვნული დონის სპორტსმენი, და თუ ეს პირი იყენებს აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს თერაპიული მიზნებით, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება ნება დართოს მას, განაცხადი შეიტანოს რეტროაქტიული ნებართვის მიღებაზე.

4.4.6. WADA-მ უნდა განიხილოს საერთაშორისო ფედერაციის უარი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული თერაპიული გამოყენების ნებართვის ცნობაზე, რომელსაც სპორტსმენი ან მისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია WADA-ში გადაამისამართებს. გარდა ამისა, WADA-მ უნდა განიხილოს საერთაშორისო ფედერაციის გადანყვეტილება, გასცეს თერაპიული გამოყენების ნებართვა, თუ ამ გადანყვეტილებას WADA-ში გადაამისამართებს სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია. WADA-ს შეუძლია გადახედოს ნებისმიერ სხვა გადანყვეტილებას თერაპიული გამოყენების გამონაკლისის შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით. თუ განხილული გადანყვეტილება აკმაყოფილებს თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს, WADA არ ჩაერევა გადანყვეტილებაში, მაგრამ თუ გადანყვეტილება არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს, WADA გააუქმებს მას.

კომენტარი მუხლისათვის 4.4.6: WADA-ს უფლება აქვს, მოითხოვოს (ა) ნებისმიერი იმ განხილვის ხარჯების დაფარვა, რომელსაც მისგან მოითხოვენ 4.4.6 მუხლის პირობების შესაბამისად; ასევე (ბ) ნებისმიერი იმ განხილვის ხარჯების დაფარვა, რომელსაც საკუთარი ინიციატივით ჩაატარებს, იმ შემთხვევაში, თუ განხილული გადანყვეტილება გაუქმებულ იქნება.

4.4.7. ნებისმიერი გადანყვეტილება თერაპიული გამოყენების გამონაკლისის შესახებ, მიღებული საერთაშორისო ფედერაციის მიერ (ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, იმ შემთხვევებში, როცა იგი თავის თავზე იღებს განაცხადის განხილვას საერთაშორისო ფედერაციის ნაცვლად), რომელსაც არ განიხილავს WADA, ან განიხილავს და არ შეცვლის, შეიძლება გასაჩივრდეს სპორტსმენის და/ან მისი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

კომენტარი მუხლისათვის 4.4.7: ამ შემთხვევაში, აპელაცია შეეხება საერთაშორისო ფედერაციის გადანყვეტილებას თერაპიული გამოყენების გამონაკლისის შესახებ, და არა WADA-ის გადანყვეტილებას, არ განიხილოს იგი (ან განხილვის შემთხვევაში, არ შეცვალოს იგი). მიუხედავად ამისა, გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება მხოლოდ WADA-ის მიერ თავისი გადანყვეტილების გახმოვანების მომენტიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, განიხილავს თუ არა WADA გადანყვეტილებას, მას უნდა ეცნობოს აპელაციის შესახებ, რათა, თუ საჭიროდ ჩათვლის, შეძლოს პროცესში მონაწილეობა.

4.4.8. WADA-ის გადანყვეტილება, შეცვალოს თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებით მანამდე მიღებული გადანყვეტილება, შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული სპორტსმენის, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის და/ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

4.4.9. თერაპიული გამოყენების ნებართვის მიღების/ცნობის მიზნით, ან უკვე მიღებული გადანყვეტილების განხილვის მიზნით სწორად შეტანილ განაცხადზე დროის გონივრულ პერიოდში შესაბამისი ქმედების არარსებობა უნდა ჩაითვალოს განაცხადზე უარის თქმად.

4.5. მონიტორინგის პროგრამა

ხელის მომწერ მხარეებთან და მთავრობებთან კონსულტაციების საფუძველზე WADA შეიმუშავებს მონიტორინგის პროგრამას იმ ნივთიერებებისთვის, რომლებიც არ შედიან აკრძალულ სიაში, მაგრამ WADA-ს აზრით, სასურველია მათი მონიტორინგი, რათა შესწავლილ იქნას სპორტში მათი ბოროტად გამოყენების მოდელები. ნებისმიერი ტესტირების წინ WADA აქვეყნებს მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიას. ლაბორატორიები პერიოდულად მიაწვდიან ანგარიშებს WADA-ს ასეთი ნივთიერებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღების ან სინჯში მათი აღმოჩენის შემთხვევების შესახებ, სუმარული ფორმით სპორტის სახეობების მიხედვით, აგრეთვე იმის შესახებ, საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო პერიოდში იყო აღებული სინჯები. ასეთი ანგარიშები არ უნდა შეიცავდეს არანაირ დამატებით ინფორმაციას კონკრეტული სინჯების შესახებ. WADA წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის საერთაშორისო

სო ფედერაციებსა და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს სუმარული სტატისტიკურ ინფორმაციას ამ ნივთიერებების გამოყენების შესახებ სპორტის სახეობების მიხედვით. WADA-მ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, რათა ამ ანგარიშებში მკაცრად იქნეს დაცული კონკრეტული სპორტსმენების ანონიმურობა. ინფორმაცია მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების შესახებ ან მათი აღმოჩენა სინჯში არ ითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად.

მუხლი 5. ტესტირება და გამოძიება

5.1. ტესტირების და გამოძიების მიზნები

ტესტირება და გამოძიება უნდა ტარდებოდეს მხოლოდ ანტიდოპინგური მიზნებისათვის.

5.1.1. ტესტირება უნდა განხორციელდეს ანალიტიკური მტკიცებულების მისაღებად, იცავს თუ არა მკაცრად სპორტსმენი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობის/გამოყენების შესახებ კოდექსს.

5.1.2. გამოძიება უნდა ჩატარდეს:

(ა) ატიპიურ შედეგებთან და ატიპიურ პასპორტის შედეგებთან კავშირში, მუხლების 7.4 და 7.5-ის შესაბამისად, ინფორმაციის ან მტკიცებულების შეგროვებით (მათ შორის, კერძოდ, ანალიტიკური მტკიცებულების) იმისთვის, რომ განისაზღვროს, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები მუხლების 2.1 და/ან 2.2 მიხედვით;

და

(ბ) პოტენციური ანტიდოპინგური წესების დარღვევის სხვა ჩვენებებთან კავშირში, მუხლების 7.6 და 7.7-ის შესაბამისად, ინფორმაციის ან მტკიცებულების შეგროვებით (მათ შორის, კერძოდ არაანალიტიკური მტკიცებულების) იმისთვის, რომ განისაზღვროს, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები 2.1-დან 2.10-მდე რომელიმე მუხლის მიხედვით.

5.2. ტესტირების სფერო

ნებისმიერ სპორტსმენს შეიძლება მოეთხოვოს სინჯის აღება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციიდან, რომელსაც იგი ექვემდებარება. სამართლებ-

რივი შეზღუდვების ღონისძიების ტესტირებისთვის გადმოცემულია მუხლში 5.3.

5.2.1. ყველა ნაციონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ჩატარების უფლება მის ქვეყანაში მყოფი ყველა სპორტსმენისთვის, ასევე ამ ქვეყნის რეზიდენტი სპორტსმენებისთვის, ლიცენზიის მფლობელებისთვის და ამ ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის წევრი სპორტსმენებისთვის.

5.2.2. ყველა საერთაშორისო ფედერაციას უნდა ჰქონდეს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ჩატარების უფლება ყველა სპორტსმენისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან მის კანონებს, მათ შორის, მის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრზე მოასპარეზე სპორტსმენებისთვის, ან საერთაშორისო ფედერაციების ან მისი წევრი ეროვნული ფედერაციების წევრი ან ლიცენზიის მფლობელ სპორტსმენებისთვის.

5.2.3. თითოეული მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორს, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტს, უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაატაროს საშეჯიბრო ტესტირება თავისი ღონისძიების დროს და არასაშეჯიბრო ტესტირება ყველა იმ სპორტსმენისთვის, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მომავალში რომელიმე ღონისძიებაში.

5.2.4. ვადას უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაატაროს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირება, როგორც ეს მოცემულია მუხლ 20-ში.

5.2.5. ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ყველა იმ სპორტსმენის ტესტირება, რომლებიც შედიან მათ დაქვემდებარებაში და არ არიან წასული სპორტიდან, მათ შორის დისკვალიფიცირებული სპორტსმენების.

5.2.6. თუ საერთაშორისო ფედერაცია ან მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორი ტესტირების ნებისმიერი ნაწილის ჩატარების უფლებას ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას (პირდაპირ ან ეროვნული ფედერაციების საშუალებით), მაშინ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, შეაგროვოს დამატებითი სინჯები ან მიმართოს ლაბორატორიას ანალიზის დამატებითი სახეობების ჩასატარებლად ეროვნული ანტიდო-

პინგური ორგანიზაციის ხარჯებით. თუ დამატებითი სინჯები იქნა აღებული ან თუ დამატებითი ანალიზი ჩატარდა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს საერთაშორისო ფედერაციას ან მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორს.

კომენტარი მუხლისათვის 5.2: ტესტირების ჩატარების დამატებითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ხელის მომწერთა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების საშუალებით. თუ სპორტსმენმა არ აღნიშნა 60-წუთიანი ტესტირების ფანჯარა შემდგომში აღწერილი დროის მონაკვეთში, ან სხვა მხრივ არ მისცა თანხმობა დროის ამ მონაკვეთში ტესტირების ჩატარებაზე, 23:00 და 6:00 საათების შუალედის გარდა, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა გაუჩნდეს სერიოზული და კონკრეტული ეჭვი სპორტსმენის სავარაუდო კავშირის შესახებ დოპინგთან. გამონკვევა იმის გამო, აქვს თუ არა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას საკმარისი ეჭვი ტესტირებისთვის დროის ამ მონაკვეთში, არ უნდა იყოს ანტიდოპინგური წესის დარღვევის დაცვა ასეთი ტესტირების ან ტესტირების ჩატარების მცდელობის საფუძველზე.

5.3. ტესტირება ღონისძიებების დროს

5.3.1. ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისების გარდა, მხოლოდ ზოგიერთ ორგანიზაციას აქვს პასუხისმგებლობა, წამოიწყოს და მართოს ტესტირება ღონისძიებების ჩატარების ადგილას, ღონისძიებების პერიოდში. საერთაშორისო ღონისძიებებზე სინჯების შეგროვების წამოწყება და წარმართვა უნდა განხორციელდეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს ამ ღონისძიების ორგანიზატორს (მაგ.: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური თამაშების დროს, საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატის დროს და პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია პანამერიკული თამაშების დროს). ეროვნულ ღონისძიებებზე სინჯების შეგროვების წამოწყება და წარმართვა უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ღონისძიების მმართველი ორგანოს თხოვნით, ნებისმიერი ტესტირება ღონისძიების პერიოდში, ღონისძიების ჩატარების ადგილის გარეთ შეთანხმებული უნდა იყოს ამ მმართველ ორგანოსთან.

კომენტარი მუხლისათვის 5.3.1: საერთაშორისო ღონისძიებების ზოგიერთი მმართველი ორგანო შეიძლება ატარებდეს ტესტირე-

ბას ღონისძიების ჩატარების ადგილის გარეთ, ღონისძიების პერიოდში და ამით სურდეს ამ ტესტირების კოორდინირება ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან.

5.3.2. თუ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც სხვა მხრივ აქვს ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება, მაგრამ არ არის პასუხისმგებელი, წამოიწყოს და წარმართოს ტესტირება ღონისძიებაზე, აქვს სურვილი, ჩაატაროს სპორტსმენების ტესტირება ღონისძიების ადგილას, ღონისძიების პერიოდში, თავდაპირველად უნდა მოითხოვოს ღონისძიების მმართველ ორგანოსთან, რათა მიიღოს ასეთი ტესტირების ჩატარების და კოორდინაციის უფლება. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ დაკმაყოფილდა ღონისძიების მმართველი ორგანოს პასუხით, მაშინ შეუძლია, ვადას მიერ გამოქვეყნებული პროცედურების შესაბამისად, მიმართოს ვადას ტესტირების ჩატარების და ასეთი ტესტირების კოორდინაციის დადგენის უფლების მინიჭებისთვის. ვადამ არ უნდა გასცეს თანხმობა ასეთ ტესტირებაზე, სანამ არ გაივლის კონსულტაციას და ინფორმაციას არ მიიღებს ღონისძიების მმართველი ორგანოდან. ვადას გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ტესტირების უფლებამოსილებაში, ასეთი ტესტები უნდა ჩაითვალოს არასაშეჯიბრო ტესტებად. ნებისმიერი ასეთი ტესტის შედეგების მართვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც წამოიწყო ტესტი, თუ ღონისძიების მმართველი ორგანოს წესებში სხვაგვარად არ არის მოცემული.

კომენტარი მუხლისათვის 5.3.2: საერთაშორისო ღონისძიებაზე ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის ტესტირების წამოწყების და ჩატარების თანხმობის გაცემამდე, ვადამ უნდა გაიაროს კონსულტაცია იმ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც წარმოადგენს ამ ღონისძიების მმართველ ორგანოს. საერთაშორისო ფედერაციისთვის ეროვნულ ღონისძიებაზე ტესტირების წამოწყების და ჩატარების თანხმობის გაცემამდე ვადამ უნდა გაიაროს კონსულტაცია იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, სადაც ტარდება ღონისძიება. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია «წამოიწყოს და წარმართოს ტესტირება», თუ იგი ირჩევს ხელშეკრულების დადებას სხვა ორ-

განიზაციებთან, რომლებსაც იგი გადასცემს პასუხისმგებლობას სინჯების შეგროვებაზე და დოპინგ კონტროლის პროცესის სხვა ასპექტებზე.

5.4. ტესტირების ჩატარების დაგეგმვა

5.4.1. ვადამ საერთაშორისო ფედერაციებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად უნდა მიიღოს ტექნიკური დოკუმენტი ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რომელიც ადგენს რისკის შეფასების საშუალებით, თუ რომელი აკრძალული ნივთიერება და/ან აკრძალული მეთოდი გამოიყენება ყველაზე უფრო მეტად კონკრეტულ სპორტის სახეობაში და სპორტის დისციპლინაში.

5.4.2. რისკის შეფასების დაწყებით ტესტირების უფლებამოსილების მქონე თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განავითაროს და დანერგოს ეფექტიანი, გონივრული და პროპორციული ტესტირების ჩატარების გეგმა, რომელიც გამოყოფს პრიორიტეტებს შესაბამისად დისციპლინებს შორის, სპორტსმენთა კატეგორიებში, ტესტირების ტიპებში, სინჯის შეგროვების ტიპებში, სინჯის ანალიზის ტიპებში და ყველაფერი ეს უნდა შეესაბამებოდეს ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს. თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდოს ვადას მიმდინარე ტესტირების ჩატარების გეგმის ასლი.

5.4.3. სადაც მიზანშეწონილად შესაძლებელია, ტესტირება უნდა იყოს კოორდინირებული ადამსით ან სხვა სისტემით, რომელიც ვადას მიერ არის დამტკიცებული, კომბინირებული ტესტირების მაქსიმალური ეფექტიანობისთვის და არასაჭირო განმეორებითი ტესტირების თავიდან ასაცილებლად.

5.5. მოთხოვნები ტესტირებისთვის

ყველა ტესტირება უნდა ჩატარდეს ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისად.

5.6. სპორტსმენთა ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია.

სპორტსმენებმა, რომლებიც შეყვანილი არიან ტესტირების რეგისტრირებულ სიაში (მაღალი პრიორიტეტის სპორტსმენთა სიაში) მათი საერთაშორისო ფედერაციისა და/ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, უნდა უზრუნველყონ თავიანთი ად-

გილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოწოდებულია ტესტირების და კვლევის საერთაშორისო სტანდარტით. საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ კოორდინაცია ასეთი სპორტსმენების გამოვლენისთვის და მათი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის. თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი ადამის ან ვადას მიერ დამტკიცებული სხვა სისტემის საშუალებით იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც შედიან ტესტირების რეგისტრირებულ სიაში ან სახელის ან სხვა მკაფიოდ განსაზღვრული სპეციფიკური კრიტერიუმის მიხედვით. სპორტსმენებს უნდა დაეგზავნოთ შეტყობინება მათი ტესტირების რეგისტრირებულ სიაში შეყვანამდე და როდესაც მათ ამოიღებენ სიიდან. ტესტირების რეგისტრირებულ სიაში ყოფნის დროს მათ მიერ მოცემული ინფორმაცია ადგილსამყოფლის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადამის ან ვადას მიერ დამტკიცებული სხვა სისტემის საშუალებით, ვადასთვის და სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, ტესტირება ჩატარონ სპორტსმენს, როგორც 5.2. მუხლშია მოცემული. ეს ინფორმაცია უნდა დარჩეს ყველა პერიოდში მკაცრად კონფიდენციალურ ინფორმაციად: გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ დოპინგ კონტროლის დაგეგმვის, კოორდინირების ან ჩატარების მიზნით, უნდა იძლეოდეს შესაბამის ინფორმაციას სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის ან სხვა ანალიტიკური შედეგების შესახებ, პოტენციური ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამოკვლევის მხარდასაჭერად, ხელი შეუწყოს ანტიდოპინგური წესის დარღვევის დამტკიცების პროცესს; და უნდა განადგურდეს მას შემდეგ, რაც არ იქნება ამ მიზნებისთვის შესაბამისი კონფიდენციალური და პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

5.7. სპორტიდან წასული სპორტსმენების დაბრუნება შეჯიბრებაზე

5.7.1. თუ საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენი ტესტირების რეგისტრირებული სიიდან წავა სპორტიდან და შემდგომ მოისურვებს სპორტში აქტიური მონაწილეობისთვის დაბრუნებას, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშო-

რისო და ეროვნული დონის ღონისძიებებში მანამ, სანამ არ იქნება ხელმისაწვდომი ტესტირებისთვის, საერთაშორისო ფედერაციაში და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. WADA-მ, შესაბამის საერთაშორისო ფედერაციასთან და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კონსულტაციების შედეგად, შეიძლება გაათავისუფლოს ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების დაწერისაგან სპორტსმენი, იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მკაცრად გამოყენება გამოიწვევს აშკარა უსამართლობას სპორტსმენის მიმართ. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის მიხედვით.

5.7.1.1. ნებისმიერი საშეჯიბრო შედეგი, მიღებული 5.7.1 მუხლის დარღვევით, უნდა იქნეს დისკვალიფიცირებული.

5.8. გამოძიება და ინფორმაციის გონივრული შეკრება

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ შეასრულონ ჩამონათვალიდან თითოეული პუნქტი, ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და გარემოებიდან გამომდინარე:

5.8.1. ყველა შესაძლო წყაროებიდან ანტიდოპინგური გამოძიების მიღება, შეფასება და დამუშავება, რათა მისცეს ინფორმაცია ეფექტიანი, გონივრული და პროპორციული ტესტირების განაწილების გეგმის განვითარებისთვის, მიზნობრივი ტესტირების დაგეგმვისათვის, და/ან შესაძლო ანტიდოპინგური წესის დარღვევის (დარღვევების) გამოძიების საფუძვლების ფორმირებისთვის;

და

5.8.2. ატიპიური შედეგების და არასასურველი საპასპორტო შედეგების გამოკვლევა 7.4 და 7.5 მუხლების შესაბამისად;

და

5.8.3. ნებისმიერი სხვა ანალიტიკური ან არაანალიტიკური ინფორმაციის ან გამოძიების გამოკვლევა, რომლებიც მიანიშნებენ შესაძლო ანტი-დოპინგური წესის (წესების) დარღვევას 7.6 და 7.7 მუხლების მიხედვით, შესაძლო დარღვევის გამოვლინების მიზნით ან დამამტკიცებელი საბუთების მოპოვება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ანტიდოპინგური წესის დარღვევის პროცესის წარმართვის წამოწყებას.

მუხლი 6. სინჯების ანალიზი

დოპინგ-კონტროლისთვის სინჯების ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

6.1. აკრედიტირებული ლაბორატორიების გამოყენება

მუხლი 2.1-ის მიზანია, დოპინგ-კონტროლისათვის სინჯების (აკრძალული ნივთიერებების არსებობა) გამოკვლევა ხორციელდებოდეს მხოლოდ WADA-ს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიებში, ან როგორც ეს განისაზღვრება WADA-ს მიერ. აღებული სინჯების ანალიზისათვის WADA-ს მიერ აკრედიტირებულ კონკრეტულ ლაბორატორიას (ან WADA-ს მიერ დამტკიცებულ სხვა ლაბორატორიას ან მეთოდს) ირჩევს ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ანალიზის შედეგზე.

კომენტარი მუხლისათვის 6.1: 2.1 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტის დადგენისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ WADA-ს მიერ აკრედიტირებული ან მის მიერ დამტკიცებული ლაბორატორია. სხვა მუხლების დარღვევები შეიძლება დაემყაროს სხვა ლაბორატორიებიდან მიღებული ანალიზების შედეგების გამოყენებას, თუ ეს შედეგები საიმედოა.

6.2. სინჯის ანალიზის მიზანი

დოპინგ-კონტროლისათვის სინჯების შესწავლა უნდა ხდებოდეს მათში აკრძალულ სიაში მითითებული სუბსტანციებისა და მეთოდების, აგრეთვე WADA-ს მიერ, 4.5 მუხლზე დაყრდნობით (მონიტორინგის პროგრამა), მითითებული სუბსტანციების აღმოჩენის მიზნით. ასევე იმისათვის, რათა დაეხმაროს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სპორტსმენის შარდში, სისხლში, ან სხვა მატრიქსში, რომელშიც შედის დნმ ან გენომიური პროფილირება, ან სხვა ლეგიტიმური ანტიდოპინგური მიზანი.

კომენტარი მუხლისათვის 6.2: მაგალითად, შესაბამისი პროფილის ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს პირდაპირი სამიზნე ტესტირებისთვის ან ანტიდოპინგური წესების დარღვევის წარმოების მხარდასაჭერად 2.2 მუხლის მიხედვით (აკრძალული ნივთიერების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა), ან ორივე ერთად. შესაძლებელია ნიმუშების შეგროვება და შენახვა მომავალში ანალიზის ჩატარებისთვის.

6.3. სინჯების გამოკვლევა

სპორტსმენის წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია სინჯის სხვა მიზნებისათვის გამოყენება, გარდა 6.2 მუხლში მითითებული მიზნებისა. სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში, სინჯს უნდა გაუუქმდეს კონკრეტული სპორტსმენისთვის ყოველგვარი იდენტიფიკაციის ნიშანი.

6.4. სინჯის ანალიზისა და ანგარიშის სტანდარტები

ლაბორატორიებმა უნდა გააკეთონ სინჯის ანალიზი და წარმოადგინონ ანგარიში ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუ სხვა მითითება არ არის WADA-სგან, ლაბორატორიებმა უნდა გააკეთონ ყველა ანალიზი აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების (საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირებების შესაბამისად) სრული სიისთვის, ლაბორატორიაში არსებული ყველა ხელმისაწვდომი მეთოდის გამოყენებით. თითოეულ ნიმუშზე ტესტირების სრული ჩამონათვალი იქნება უფლებამოსილი WADA-ს მიერ კონკრეტული სპორტის სახეობისთვის.

კომენტარი მუხლისათვის 6.4: WADA განავითარებს პროცესს, რომლის დროსაც WADA, საერთაშორისო ფედერაციები და სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციები გაცვლიან ინფორმაციას, თუ რომელი აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი უფრო მეტად გამოიყენება სპორტის თითოეულ სახეობაში. აღიარებულია, რომ დოპინგის საწინააღმდეგოდ ბრძოლის რესურსები შეზღუდულია და გაზრდილმა ტესტირების ჩამონათვალმა შეიძლება შეამციროს იმ ნიმუშების რაოდენობა, რომლების შემოწმებაც შესაძლებელი იყო. ამ მუხლის მიზანია, გაავრცელოს „გონივრული ტესტირების“ პრინციპები ტესტირების ჩამონათვალზე, რათა მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოავლინოს დოპინგი.

6.5. სინჯების ხელახალი ტესტირება

6.2 მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, სინჯის ამღები ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან WADA-ს მოთხოვნის საფუძველზე, დასაშვებია სინჯის ხელახალი ანალიზი. ხელახალი ტესტირების გარემოებები და პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ტესტირების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

მუხლი 7. შედეგების ანალიზი

ყოველი ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც მართავს შედეგებს, ვალდებულია ანტიდოპინგური წესების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში შეიმუშაოს მოსმენისწინა პროცედურები, რომლებიც ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

კომენტარი მუხლისათვის 7: სხვადასხვა ხელის მომწერმა მხარემ შეიმუშავა ანალიზის არასასურველი შედეგის შემთხვევაში შედეგების მართვის საკუთარი მეთოდები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მეთოდების ასეთმა სიუხვემ ხელი შეუშალა ერთიანობის მიღწევას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ასეთი მიდგომა სამართლიანი და ეფექტიანია. კოდექსი არ მოიცავს მკაცრ მოთხოვნებს შედეგების დამუშავების მეთოდებთან დაკავშირებით, მაგრამ მოცემული მუხლი შედგება ძირეული პრინციპებისგან, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მეთოდები. ანტიდოპინგური წესების ყველა პროცედურას, რომელიც ინიცირებული იქნა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, არ ესაჭიროება მოსმენა. შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი ეთანხმება სანქციის პირობებს, რომელიც ან კოდექსიდან გამომდინარეობს ან ანტიდოპინგური ორგანიზაცია მიიჩნევს სათანადოდ, სადაც სანქციის მოქნილობა ნებადართულია. ყველა შემთხვევაში, როდესაც სანქცია გაცემულია ასეთი შეთანხმების საფუძველზე შეტყობინება გადაეცემა მხარეებს გასაჩივრების უფლებით 13.2.3 მუხლის შესაბამისად, როგორც ამას უზრუნველყოფს მუხლი 14.2.1 და გამოქვეყნდა, როგორც არის წარმოდგენილი მუხლში 14.3.2.

7.1. შედეგების მართვის ჩატარებაზე პასუხისმგებლები

ქვემოთ მოყვანილი მუხლების 7.1.1-სა და 7.1.2-ის გარდა, შედეგების მართვა და მოსმენა უნდა იყოს საპასუხისმგებლო და იმართებოდეს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის საპროცედურო წესებით, რომელმაც დაინიშნა და მართავდა სინჯების შეგროვების პროცესს (ან თუ სინჯების შეგროვება არ განხორციელდა, ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელმაც პირველმა უზრუნველყო შეტყობინება სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე და შემდეგ ბეჯითად, ფეხდაფეხ მეთვალყურეობს ანტიდოპინგური წესების დარღვევას). მიუხედავად იმისა, თუ რომელი ანტიდოპინგური ორგანიზაცია ახორციელებს შედეგების მართვას და მოსმენას, პრინციპები, რომელიც მოცემულია ამ მუხლში და მუხლში 8, უნდა იყოს გათ-

ვალისწინებული და მისდევდნენ მუხლში 23.2.2 აღნიშნულ წესებს, გაერთიანებულს არსებითი ცვლილებების გარეშე.

თუ ანტიდოპინგური ორგანიზაციებს შორის წარმოიშვება დავა, რომელი ანტიდოპინგური ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი შედეგების მართვაზე, WADA-მ უნდა გადაწყვიტოს, რომელ ორგანიზაციას აქვს ასეთი პასუხისმგებლობა. ვადას გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს CAS-ში (საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი) შვიდი დღის განმავლობაში ვადას გადაწყვეტილების შეტყობინებიდან დავაში მონაწილე რომელიმე ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. საჩივარი CAS-მ დაჩქარებული წესით უნდა განიხილოს და განხორციელდეს ერთი არბიტრის მიერ. როდესაც ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია ირჩევს, შეაგროვოს დამატებითი სინჯები მუხლი 5.2.6.-ის მიხედვით, მაშინ იგი უნდა ჩაითვალოს ანტიდოპინგური ორგანიზაციად, რომელმაც წამოიწყო და წარმართა სინჯების შეგროვება. თუმცა თუ ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია მხოლოდ წარმართავს ლაბორატორიას, რომ შეასრულოს დამატებითი ანალიზები ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის ხარჯზე, მაშინ საერთაშორისო ფედერაცია ან მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორი უნდა ჩაითვალოს ანტიდოპინგური ორგანიზაციად, რომელიც არის სინჯების შეგროვების ინიციატორი და წარმართველი.

კომენტარი მუხლისათვის 7.1: ზოგიერთ შემთხვევაში სინჯების შეგროვების ინიციატორი და წარმართველი ანტიდოპინგური ორგანიზაციის პროცედურული წესები შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ შედეგების მართვას განახორციელებს სხვა ორგანიზაცია (მაგ.: სპორტსმენთა ნაციონალური ფედერაცია). ასეთ შემთხვევაში ანტიდოპინგური ორგანიზაციის პასუხისმგებლობაში შედის, დაადასტუროს, რომ სხვა ორგანიზაციის წესები შეესაბამება კოდექსს.

7.1.1. იმ გარემოებებში, როდესაც ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები არ აძლევს ნაციონალურ ანტიდოპინგური ორგანიზაციას უფლებას, იმოქმედოს სპორტსმენზე ან სხვა პირზე, რომელიც არ არის იმ ქვეყნის ნაციონალობის, ადგილობრივი, ლიცენზიის მფლობელი ან იმ ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის წევრი, ან ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია უარს აცხადებს, განახორციელოს ასეთი მოქმედება, შედეგების მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამი-

სი საერთაშორისო ფედერაციის მიერ ან მესამე მხარის მიერ, როგორც ეს აღწერილია საერთაშორისო ფედერაციის წესებში. შედეგების მართვის და მოსმენის ჩატარება ვადას ინიციატივით ჩატარებულ ტესტზე ან ვადას მიერ აღმოჩენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, უნდა განხორციელდეს ვადას მიერ დანიშნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის, ან სხვა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორის მიერ განხორციელებულ ტესტზე, ან რომელიმე ამ ორგანიზაციის მიერ ანტიდოპინგური წესების აღმოჩენის შემთხვევაში, შედეგების მართვა და მოსმენის ჩატარება უნდა გადაეცეს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას ღონისძიებიდან გამოთიშვის, ღონისძიების რეზულტატების ანულისების, ღონისძიების ყველა მედლის, ქულის ან ჯილდოს ჩამორთმევის, ან ანტიდოპინგური წესის დარღვევისთვის ხარჯების ანაზღაურების შედეგებთან დაკავშირებით.

კომენტარი მუხლისათვის 7.1.1: სპორტსმენის ან სხვა პირის საერთაშორისო ფედერაციის ანტიდოპინგური ორგანიზაცია უნდა ჰქონდეს შექმნილი, როგორც შედეგების მართვისთვის საბოლოო ინსტანცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმის შესაძლებლობა, რომ არ არსებობდეს ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა უფლება, განხორციელებინა შედეგების მართვა. საერთაშორისო ფედერაცია თავისუფალია, წარმოადგინოს თავისი ანტიდოპინგური წესები, რათა სპორტსმენის ან სხვა პირის ნაციონალურმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ განხორციელოს შედეგების მართვა.

7.1.2. პოტენციური ადგილსამყოფლის ჩავარდნასთან (შეცდომების ჩავარდნა ან გამოტოვებული ტესტი) დაკავშირებით.

შედეგების მართვა უნდა წარიმართოს საერთაშორისო ფედერაციების მიერ ან იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელსაც სპორტსმენი აწვდიდა ინფორმაციას თავისი ადგილსამყოფლის შესახებ, როგორც ეს არის წარმოდგენილი ტესტირების და გამოძიების სტანდარტში: ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც განსაზღვრავს შეცდომების ჩავარდნას ან გამოტოვებულ ტესტს, უნდა მიანოდოს ინფორმაცია ვადას ადამის სისტემით ან ვადას მიერ დამტკიცებული სხვა სისტემის საშუალებით, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვა შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვისაც.

7.2. ანალიზის არასასურველი შედეგის განხილვა

ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში ანალიზის არასასურველი შედეგის მიღების შემდეგ, აუცილებლად უნდა შემოწმდეს: ა) იყო თუ არა გაცემული ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე ან უნდა გაიცეს, როგორც ამას უზრუნველყოფს თერაპიული გამოყენების გამოწვევის საერთაშორისო სტანდარტი; ბ) არის თუ არა რაიმე აშკარა დარღვევა ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტიდან ან ლაბორატორიის საერთაშორისო სტანდარტიდან, რაც გამოიწვევდა ანალიზის არასასურველ შედეგს.

7.3. შეტყობინება ანალიზის არასასურველი შედეგის განხილვის შემდეგ

თუ ანალიზის არასასურველი შედეგის განხილვამ მუხლის 7.2 მიხედვით არ გამოავლინა რომელიმე შესაბამისი თგნ ან თგნ-ის გაცემის უფლება თერაპიული გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ან დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენდა ტესტირების შედეგებზე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სპორტსმენს, როგორც ეს არის გადმოცემული მუხლებში 14.1.1 და 14.1.3 და საკუთარი წესებით, შემდეგი: ა) ანალიზის არასასურველი შედეგი; ბ) დარღვეული ანტიდოპინგური წესი, და გ) სპორტსმენის უფლება, დაუყოვნებლივ მოითხოვოს „ბ“ სინჯის ანალიზი, ხოლო ასეთი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში „ბ“ სინჯი შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად; დ) სპორტსმენის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ „ბ“ სინჯის ანალიზის მოთხოვნის შემთხვევაში დათქმული თარიღი, დრო და ადგილი „ბ“ სინჯის ანალიზისთვის; ე) სპორტსმენის ან/და მისი წარმომადგენლისთვის შესაძლებლობა, დაესწროს „ბ“ სინჯის გახსნას და ანალიზს იმ დროის განმავლობაში, რაც აღნიშნულია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტში, თუ ასეთი ანალიზი იქნა მოთხოვნილი; ვ) სპორტსმენის უფლება, მოითხოვოს ლაბორატორიული ანალიზების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული „ა“ და „ბ“ სინჯების ანალიზის დოკუმენტაციის ასლები. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ ჩათვლის ანალიზის არასასურველ შედეგს ან-

ტიდოპინგური წესების დარღვევად, მან ამის შესახებაც უნდა შეატყობინოს სპორტსმენს და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, როგორც ეს არის აღწერილი მუხლში 14.1.2.

ყველა შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენს შეატყობინებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, რომელიც არ იწვევს სავალდებულო დროებით დისკვალიფიკაციას მუხლ 7.9.1-ის მიხედვით, მას უნდა შეეთავაზოს დროებითი დისკვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობა ამ საკითხის მოგვარების ცდის პროცესში.

7.4. ატიპიური შედეგების განხილვა

ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ზოგიერთ გარემოებაში ლაბორატორიები ვალდებული არიან, მოახსენონ სინჯში ისეთი აკრძალული ნივთიერებების არსებობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა ენდოგენურადაც წარმოიშვან, როგორც ატიპიური შედეგი, რაც შემდგომი გამოკვლევის მიზეზი შეიძლება იყოს. ატიპიური შედეგის მიღების შემდეგ, ანტიდოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია შედეგების მართვაზე და უნდა დაადგინოს: ა) გაცემულია თუ არა თერაპიული გამოყენების ნებართვა ან გაიცემა თუ არა, როგორც ეს არის თერაპიული გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ან ბ) ხომ არ დარღვეულა ტესტირების და გამოძიების ან ლაბორატორიების შესახებ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები ისე, რომ ატიპიური შედეგი გამოენვიან. თუ ამ განხილვამ არ გამოავლინა გაცემული თან ან ატიპიური შედეგის გამომწვევი დარღვევები, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს აუცილებელი გამოძიება. გამოძიების დასრულების შემდეგ, სპორტსმენს და 14.1.2 მუხლით გათვალისწინებულ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება, ჩაითვალოს თუ არა მოცემული ატიპიური შედეგი ტესტირებაზე ანალიზის არასასურველ შედეგად. სპორტსმენს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს 7.3. მუხლით გათვალისწინებული წესით.

კომენტარი მუხლისათვის 7.4: ამ მუხლში აღწერილი „აუცილებელი გამოძიება“ დამოკიდებული იქნება სიტუაციაზე. მაგალითად, თუ წინდანი დადგენილი იქნა, რომ სპორტსმენს ბუნებრივად აქვს მომატებული ტესტოსტერონის/ეპიტესტოსტერონის თანაფარდობა, დასტური იმისა, რომ ატიპიური შედეგი შეესაბამება ადრეულ თანაფარდობას, არის საკმარისი გამოძიება.

7.4.1. ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ აგზავნის შეტყობინებას ატიპიურ შედეგთან დაკავშირებით მანამ, სანამ არ დასრულდება გამოძიება და გადაწყდება, ჩაითვალოს თუ არა არსებული ატიპიური შედეგი ანალიზის არასასურველ შედეგად მანამ, სანამ რომელიმედან ერთი გარემოება მაინც არსებობს:

ა) თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია გამოძიების დასრულებამდე საჭიროდ თვლის “ბ” სინჯის ანალიზს, მას უფლება აქვს, ჩაატაროს “ბ” სინჯის ანალიზი სპორტსმენისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, რომელშიც აღნიშნულია ატიპიური შედეგის აღწერა და ინფორმაცია 7.3. მუხლის მიხედვით (ვ).

ბ) როდესაც ორგანიზაცია იღებს მოთხოვნას მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორისგან ამ ღონისძიების წინა პერიოდში ან ორგანიზაციისგან, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრისთვის გუნდში სპორტსმენების შერჩევისას ვალდებულია, ჩაეთიოს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში და სურს იცოდეს, არსებობს თუ არა მის განკარგულებაში მყოფი სპორტსმენის წინააღმდეგ მიმდინარე ატიპიურ შედეგთან დაკავშირებული პროცედურა. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია, პირველივე სინჯში აღმოჩენილი ატიპიური შედეგის შემთხვევაში, იდენტიფიკაცია გაუკეთოს სპორტსმენს.

კომენტარი მუხლისათვის 7.4.1: 7.4.1 მუხლში აღწერილი გარემოებების ფარგლებში მოქმედების არჩევანი ეძლევა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზატორებს ან სპორტულ ორგანიზაციებს თავიანთი წესების გათვალისწინებით.

7.5. ატიპიური პასპორტის შედეგების და არასასურველი პასპორტის შედეგების განხილვა

ატიპიური პასპორტის შედეგების და არასასურველი პასპორტის შედეგების განხილვა უნდა განხორციელდეს, როგორც ეს მოცემულია ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის და ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტში. ასეთ დროს ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაკმაყოფილებული იქნება იმით, რომ მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს სპორტსმენს იმ გზით, როგორც ეს არის აღნიშნული ამ კანონში ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან და დარღვევის საფუძვლებთან დაკავშირებით. სხვა ან-

ტიდოპინგურ ორგანიზაციებს უნდა ეცნობოთ, როგორც გათვალისწინებულია 14.1 მუხლში.

7.6. ადგილსამყოფლის შევსების ჩავარდნის განხილვა

პოტენციური ადგილსამყოფლის შევსების ჩავარდნის და გამოტოვებული ტესტების განხილვა უნდა განხორციელდეს, როგორც ეს არის მოცემული ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტში. ასეთ დროს საერთაშორისო ფედერაცია და ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია (გარემოებიდან გამომდინარე) დაკმაყოფილდება იმით, რომ მოხდა მუხლი 2.4-ის მიხედვით ანტიდოპინგური წესების დარღვევა, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს სპორტსმენს იმ გზით, როგორც ეს არის აღნიშნული ამ კანონში, რომ ეს ასაბუთებს მუხლი 2.4-ის დარღვევას და ამ დასაბუთების საფუძველს. სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს უნდა ეცნობოთ, როგორც გათვალისწინებულია 14.1.2 მუხლში.

7.7. სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევების განხილვა, რომლებიც არ შედის 7.1-7.6 მუხლებში

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, ან მის მიერ დანიშნულმა სხვა შემომოწმებელმა ორგანომ, უნდა ჩაატაროს ნებისმიერი სხვა გამოძიება ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, თუ ეს გათვალისწინებულია კოდექსით დადგენილი წესით, ან თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ჩათვლის საჭიროდ ასეთი გამოკვლევის ჩატარებას. ასეთ დროს, როგორც კი ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაკმაყოფილდება იმით, რომ მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს სპორტსმენს ან სხვა პირს იმ გზით, როგორც ეს არის ასახული მის კანონში, რომ ანტიდოპინგური წესი იქნა დარღვეული და დარღვევის საფუძველები. სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციები გაფრთხილებულნი უნდა იქნენ 14.1.2 მუხლით გათვალისწინებული წესებით.

კომენტარი მუხლისათვის 7.1, 7.6 და 7.7: როგორც მაგალითი, საერთაშორისო ფედერაცია სპორტსმენს აღნიშნულ შეტყობინებას აწვდის ნაციონალური ფედერაციის მეშვეობით.

7.8. წინამორბედი ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა

სანამ შეტყობინება გაეგზავნება სპორტსმენს ან სხვა პირს

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ, ანტიდოპინგური ორგანიზაცია მიმართავს ADAMS-ის და ან ვადას მიერ დამტკიცებულ სხვა სისტემას და ეკონტაქტება ვადას და სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რათა განსაზღვროს, დაირღვა თუ არა წინამორბედი ანტიდოპინგური წესები.

7.9. დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრების წესები

7.9.1. სავალდებულო ხასიათის დროებითი დისკვალიფიკაცია ანალიზის არასასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილმა ხელის მომწერმა მხარეებმა უნდა მიიღონ წესები, რომლის მიხედვითაც, როდესაც განსაზღვრული ნივთიერების გარდა სხვა აკრძალულ ნივთიერებაზე ან აკრძალულ მეთოდზე მიღებული იქნება ანალიზის არასასურველი შედეგი, დროებითი დისკვალიფიკაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ შემთხვევის განხილვის და შეტყობინების შემდეგ, როგორც ეს არის აღწერილი მუხლებში 7.2, 7.3 ან 7.5: როდესაც ხელის მომწერი არის სპორტული ღონისძიების ორგანიზატორი (ამ ღონისძიების შესაბამისად); როდესაც ხელის მომწერი არის პასუხისმგებელი გუნდის შერჩევაზე (ამ გუნდის შერჩევის შესაბამისად); როდესაც ხელის მომწერი არის შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია; ან როდესაც ხელის მომწერი არის სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია, აწარმოოს შედეგების მართვა ანტიდოპინგური წესების სავარაუდო დარღვევისას. სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია შეიძლება გაუქმდეს, თუ სპორტსმენი აუხსნის მოსმენის პანელს (ორგანოს), რომ დარღვევა არის სავარაუდოდ დაბინძურებული პროდუქტის შედეგად. მოსმენის ორგანოს გადაწყვეტილება, არ გააუქმოს სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია სპორტსმენის მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაბინძურებული პროდუქტის შესახებ, არ უნდა იყოს გასაჩივრებული.

თუმცა დროებითი სანქციის დაკისრება არ შეიძლება მანამ, სანამ სპორტსმენს არ მიეცემა: ა) წინასწარი მოსმენის უფლება, უშუალოდ დროებითი დისკვალიფიკაციის შეფარდების წინ ან დროულად, სანქციის დაწესების შემდგომ; ბ) დროებითი დისკვალიფიკაციიდან განსაზღვრულ დროში გამართული სასწრაფო

მოსმენის უფლება მუხლი 8-ის შესაბამისად.

7.9.2. შესაძლო დროებითი დისკვალიფიკაცია განსაზღვრული ნივთიერებით დაბინძურებულ პროდუქტზე ანალიზის არასასურველი შედეგის გამოვლენის ან სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევების გამო.

ხელის მომწერმა მხარემ უნდა მიიღოს იმ სპორტულ ღონისძიებათა წესები, რომელთა ჩატარებაზეც იგია პასუხისმგებელი. ასევე გუნდური შერჩევის პროცესზე, რომელზედაც იგია პასუხისმგებელი ან, როდესაც მხარე არის შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია ან აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება სავარაუდოდ დარღვეულ ანტიდოპინგურ წესებთან მიმართებით და რაც აძლევს მას უფლებას, დაანესოს დროებითი დისკვალიფიკაცია დარღვეული ანტიდოპინგური წესების გამო, რომელსაც მუხლი 7.9.1 არ მოიცავს სპორტსმენის “ბ” სინჯის ანალიზამდე ან საბოლოო მოსმენამდე, როგორც ეს არის აღწერილი მუხლში 8.

თუმცა დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრება არ შეიძლება, თუ სპორტსმენს ან სხვა პირს არ მიეცა: ა) წინასწარი მოსმენის უფლება, უშუალოდ დროებითი დისკვალიფიკაციის შეფარდების წინ ან დროულად დროებითი დისკვალიფიკაციის შეფარდების შემდგომ; ბ) დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესებიდან დროულად გამართული სასწრაფო მოსმენის უფლება მუხლი 8-ის მიხედვით.

თუ დროებითი დისკვალიფიკაციას საფუძვლად დაედო „ა“ სინჯის ანალიზის არასასურველი შედეგი და „ბ“ სინჯის (თუ იქნა მოთხოვნა სპორტსმენის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ) ანალიზმა არ დაადასტურა „ა“ სინჯის ანალიზი, მაშინ სპორტსმენი არ უნდა ექვემდებარებოდეს არანაირ შემდგომ დროებით დისკვალიფიკაციას დარღვევის თაობაზე 2.1 მუხლის მიხედვით. იმ გარემოებებში, როდესაც სპორტსმენი (ან სპორტსმენის გუნდი, როგორც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორის ან საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით) მოხსნილი იქნა შეჯიბრებიდან დარღვევის საფუძველზე მუხლი 2.1-ის მიხედვით და შემდგომმა „ბ“ სინჯის ანალიზმა არ დაამტკიცა „ა“ სინჯის შედეგები, თუ ეს სხვა მხრივ გავლენას არ მოახდენს შეჯიბრებაზე, სპორტსმენს ან გუნდს კიდევ აქვთ შესაძლებლობა განაგრძოს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება.

კომენტარი მუხლისათვის 7.9: მანამ, სანამ დროებითი დისკვალიფიკაცია დაწესდება ცალმხრივად, ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, უნდა მოხდეს ამ საქმის შიდა განხილვა ისე, როგორც ეს დადგენილია კოდექსით. ამასთან ერთად, ხელის მომწერმა, რომელიც აწესებს დროებით დისკვალიფიკაციას, უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენს მიეცეს დროებითი მოსმენის შესაძლებლობა ან დისკვალიფიკაციის დაწესებამდე, ან დაუყოვნებლივ, დისკვალიფიკაციის დაკისრების შემდგომ, ან მიეცეს დაჩქარებული მოსმენის უფლება დისკვალიფიკაციის დაწესებისთანავე მე-8 მუხლის შესაბამისად. სპორტსმენს აქვს უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება 13.2.3 მუხლის შესაბამისად.

იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც “ბ” სინჯის ანალიზი არ ადასტურებს “ა” სინჯის ანალიზის შედეგს, სპორტსმენს, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დროებითი დისკვალიფიკაცია, უფლება ეძლევა, სადაც გარემოება იძლევა ამის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს შემდგომ შეჯიბრებებში სპორტული ღონისძიების მიმდინარეობის პერიოდში. ზუსტად ისევე, გუნდური სპორტის სახეობებში საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად, თუ გუნდი კვლავ მონაწილეობს შეჯიბრებაში, სპორტსმენს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს შემდგომ შეჯიბრებებში.

სპორტსმენებს უნდა ჩაეთვალოთ დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდი მათზე დაკისრებულ ან მიღებულ საბოლოო დისკვალიფიკაციის ვადაში, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლებში 10.11.3 და 10.11.4.

7.10. შედეგების მართვის გადაწყვეტილებების შეტყობინება

ყველა შემთხვევაში, როდესაც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ დაამტკიცა ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემსწავლელი კომისია, რომელმაც გამოიტანა ანტიდოპინგური წესების დარღვევის მტკიცებულება, დააკისრა დროებითი დისკვალიფიკაცია ან შეუთანხმდა სპორტსმენს ან სხვა პირს სანქციის დაკისრებაზე მოსმენის გარეშე, ამ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გააგზავნოს შეტყობინება, როგორც ეს გათვალისწინებულია მუხლში 14.2.1, სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ გასაჩივრების უფლება 13.2.3 მუხლის მიხედვით.

7.11. სპორტიდან წასვლა

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ანებებს თავს აქტიურ სპორტს მაშინ, როდესაც უკვე დაწყებულია შედეგების მართვის პრო-

ცესი, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს შედეგების მართვის პროცესს, აქვს უფლება, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული პროცესი. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი წავა სპორტიდან მანამ, სანამ დაიწყება შედეგების მართვის პროცესი, ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა შედეგების მართვის უფლება მაშინ, როცა სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაარღვია ანტიდოპინგური წესები, უფლებამოსილია, დაიწყოს შედეგების მართვის პროცესი.

კომენტარი მუხლისათვის 7.11: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ გადაცდომის ჩადენა მანამ, სანამ ის მოექცეოდა ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ, არ შეიძლება ჩაითვალოს ანტიდოპინგური წესების დარღვევად, მაგრამ შეიძლება გახდეს სამართლებრივი უარის საფუძველი აღნიშნული სპორტსმენის ან სხვა პირის სპორტულ ორგანიზაციაში მიღებაზე.

მუხლი 8. მიუკერძოებელი მოსმენის უფლება

8.1. მიუკერძოებელი მოსმენა

ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ბრალდებული ყველა პირის მიმართ შედეგების დამუშავებაზე პასუხისმგებელმა ყველა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სულ მცირე, მიუკერძოებელი მოსმენის პროცესის ჩატარება დროის გონივრულ პერიოდში და სამართლიანი და მიუკერძოებელი მომსმენი ორგანოს მონაწილეობით. დროული, დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს დისკვალიფიკაციის ნებისმიერი პერიოდის მიზეზ(ებ)ის ახსნას, საჯაროდ უნდა იქნეს განცხადებული 14.3 მუხლის პირობების თანახმად.

კომენტარი მუხლისათვის 8.1: ეს მუხლი მოითხოვს, რომ შედეგების მართვის პროცესის გარკვეულ ეტაპზე სპორტსმენს ან სხვა პირს მიეცეს დროული, მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსმენის შესაძლებლობა. ეს პრინციპები ასახულია აგრეთვე ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის 6.1 მუხლში და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ზოგად პრინციპებს. ამ მუხლის მიზანი არ არის, ჩაანაცვლოს კონკრეტული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი განხილვის წესები, იგი მხოლოდ

უზრუნველყოფს, რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ჩაატაროს მოსმენის პროცესი ამ პრინციპების თანახმად.

8.2. განხილვები საშეჯიბრო პერიოდში

შეჯიბრთან დაკავშირებული მოსმენები შეიძლება ჩატარდეს სასწრაფო წესით, თუ ეს ნებადართულია შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციისა და საქმის განმხილველი ორგანოს მიერ.

კომენტარი მუხლისათვის 8.2: მაგალითად, სასწრაფო წესით განხილვა შეიძლება გაიმართოს დიდი ტურნირის წინ, როდესაც დღის წესრიგში დგას ამ ღონისძიებაში სპორტსმენის ან სხვა პირის მონაწილეობის საკითხი, ან ჩატარდეს უშუალოდ ასეთი ტურნირის მიმდინარეობისას, რათა გადაწყდეს სპორტსმენის ან სხვა პირის შედეგების ცნობის ან ღონისძიებაში შემდგომი მონაწილეობის საკითხი.

8.3. განხილვაზე უარის თქმა

განხილვაზე უარის თქმა შეიძლება მოხდეს სიტყვიერი განცხადებით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით განსაზღვრულ დროის პერიოდში არ შეენიშნა დამდგევა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

8.4. გადაწყვეტილების შეტყობინება

მოსმენის შედეგად მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხოლო განხილვაზე უარის შემთხვევაში – შესაბამისი ქმედების განმმარტავი დასაბუთებული გადაწყვეტილება – შედეგების ანალიზზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ 14.2.1 მუხლის შესაბამისად უნდა აცნობოს სპორტსმენს და 13.2.3 მუხლით განსაზღვრულ, აპელაციის უფლების მქონე სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს.

8.5. ერთჯერადი მოსმენა საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე

იმ შემთხვევაში, როცა ბრალდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ წარედგინება საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენს, და როცა არსებობს თანხმობა სპორტსმენის, შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის, WADA-ს და ყველა იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მხრიდან, რომელთაც აქვთ პირველადი მოსმენის

შედეგების საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე გასაჩივრების უფლება, მოსმენა შეიძლება გაიმართოს პირდაპირ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე, წინამორბედი მოსმენის საჭიროების გარეშე.

კომენტარი მუხლისათვის 8.5: ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე პირველადი მოსმენის და შემდეგ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე განმეორებითი მოსმენის კომბინირებული ხარჯი შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს. აქედან გამომდინარე, თუ ამ მუხლით განსაზღვრული ყველა მხარე თვლის, რომ მათი ინტერესები ადეკვატურად იქნება დაცული ერთი მოსმენის შემთხვევაშიც, სპორტსმენს ან ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აღარ დასჭირდება ორი მოსმენისთვის აუცილებელი ხარჯების გაღება. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე, როგორც მხარეს ან როგორც დამკვირვებელს, შეუძლია მოითხოვოს ამისი უფლება ერთჯერად მოსმენაზე თავისი თანხმობის სანაცვლოდ.

მუხლი 9. ინდივიდუალური შედეგების ავტომატური ანულირება

სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში საშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას გამოვლენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევას მოსდევს წესების დამრღვევი სპორტსმენის მიერ ამ კონკრეტულ შეჯიბრში მიღწეული შედეგების ავტომატური ანულირება, ასევე ყველა მიღებული მედლის, ქულისა და პრიზის ჩამორთმევა.

კომენტარი მუხლისათვის 9: სპორტის გუნდური სახეობებისათვის, წესის დამრღვევი მოთამაშის მიერ მოპოვებული ნებისმიერი ჯილდო ანულირდება. რაც შეეხება გუნდური შედეგების ანულირებას, მოხდება მე-11 მუხლის შესაბამისად. ისეთ სახეობებში, რომლებიც არ არის გუნდური, მაგრამ ჯილდოები მიენიჭებათ გუნდებსაც, გუნდის ერთი ან მეტი წევრის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევისას გუნდის შედეგების გაუქმება ან სხვა დისციპლინური სასჯელი გუნდის მიმართ გადაწყდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.

მუხლი 10. სანქციები სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში

10.1. იმ სპორტული ღონისძიების შედეგების გაუქმება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

სპორტული ღონისძიების დროს ან მასთან დაკავშირებით გამოვლენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევას ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით შეიძლება მოჰყვეს დამრღვევი სპორტსმენის მიერ აღნიშნულ ღონისძიებაში მიღწეული ყველა ინდივიდუალური შედეგის ანულირება, მედლების, ქულების და პრიზების ჩამორთმევის ჩათვლით, 10.1.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით.

მიმდინარე სპორტული ღონისძიების განმავლობაში მიღწეული სხვა შედეგების ანულირების საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელ ფაქტორებს მიეკუთვნება, მაგალითად, ანტიდოპინგური წესების დარღვევის სიმძიმე ან მოცემული სპორტსმენის სხვა შეჯიბრებში ტესტირების შედეგები.

კომენტარი მუხლისათვის 10.1: მე-9 მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ იმ შეჯიბრის შედეგების ანულირებას, რომლის დროსაც დაფიქსირდა ტესტირების დადებითი შედეგი (მაგ. 100 მ-ზე ზურგზე ცურვა), მოცემული მუხლი კი შეეხება იმ სიტუაციას, როცა შეიძლება მოხდეს მიმდინარე სპორტული ღონისძიების (მაგ. ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატის) ყველა შეჯიბრის შედეგის ანულირება.

10.1.1. თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევის მიზეზი არ ყოფილა მისი ბრალეულობა ან დაუდევრობა, ამ სპორტსმენის მიერ სხვა შეჯიბრებში მიღწეული ინდივიდუალური შედეგები არ ანულირდება, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევამ გავლენა იქონია არა მხოლოდ იმ შეჯიბრის შედეგზე, რომლის დროსაც იგი გამოვლინდა, არამედ სხვა შეჯიბრების შედეგებზეც.

10.2. დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდის გამოვლენის, გამოყენების, გამოყენების მცდელობის, ან ფლობის შემთხვევაში

დისკვალიფიკაციის პერიოდი 2.1, 2.2 ან 2.6 მუხლების დარღვევისთვის შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს (და შეიძლება დაექვემდებაროს შემცირებას ან შეჩერებას 10.4, 10.5 ან 10.6 მუხლების შესაბამისად):

10.2.1. დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა შეადგენდეს ოთხ წელიწადს შემდეგ შემთხვევებში:

10.2.1.1. როცა ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ შეეხება ე.წ. განსაზღვრულ ნივთიერებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ იყო წინასწარგანზრახული.

10.2.1.2. როცა ანტიდოპინგური წესის დარღვევა შეეხება ე.წ. განსაზღვრულ ნივთიერებას, მაგრამ ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა იყო წინასწარგანზრახული.

10.2.2. 10.2.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა შემთხვევებში დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორი წელი.

10.2.3. 10.2 და 10.3 მუხლების კონტექსტში, ტერმინი „წინასწარ განზრახული“ გამოიყენება იმ სპორტსმენების იდენტიფიკაციისთვის, რომლებიც შეგნებულ თაღლითობას ეწევიან. ეს ტერმინი გულისხმობს, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა გაცნობიერებულად ჩაიდინა ანტიდოპინგური წესის დარღვევა ან ისეთი საქციელი, რომელსაც თან ახლდა ანტიდოპინგური წესის დარღვევის მნიშვნელოვანი რისკი და შეგნებულად არ გაითვალისწინა ეს რისკი. ანტიდოპინგური წესის დარღვევა, გამონვეული სინჯში ისეთი ნივთიერების აღმოჩენით, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, შეიძლება ჩაითვალოს „არაწინასწარგანზრახულად“ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნივთიერება მიეკუთვნება განსაზღვრულ ნივთიერებათა ჯგუფს და თუ სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ აკრძალული ნივთიერება გამოიყენა შეჯიბრსგარე პერიოდში. ანტიდოპინგური წესის დარღვევა გამოწვეული სინჯში ისეთი ნივთიერების აღმოჩენით, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, არ უნდა ჩაითვალოს „წინასწარგანზრახულად“, თუ ეს ნივთიერება არ მიეკუთვნება განსაზღვრულ ნივთიერებათა ჯგუფს და სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ აკრძალული

ნივთიერება გამოიყენა შეჯიბრსგარე პერიოდში, სპორტულ წარმატებასთან დაუკავშირებელ კონტექსტში.

10.3. დისკვალიფიკაცია ანტიდოპინგური წესების სხვა სახის დარღვევებისათვის

10.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ანტიდოპინგური წესების სხვა სახის დარღვევებისთვის დისკვალიფიკაციის ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად (თუ არ მოქმედებს 10.5 და 10.6 მუხლები):

10.3.1. 2.3 ან 2.5 მუხლებით გათვალისწინებული წესების დარღვევებისათვის სადისკვალიფიკაციო ვადა განისაზღვრება ოთხი წლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სინჯის ჩაბარების მოთხოვნის დაუმორჩილებლობისას, სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ იყო წინასწარგანზრახული (10.2.3 მუხლში გამოყენებული განსაზღვრების მიხედვით); ასეთ შემთხვევაში დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორი წელი.

10.3.2. 2.4 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს ორ წელიწადს, და შეიძლება შემცირდეს მინიმუმ ერთ წლამდე, სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით. დისკვალიფიკაციის პერიოდის ერთ წლამდე შემცირების უფლებით ვერ ისარგებლებენ ის სპორტსმენები, რომელთა შემთხვევაში სახეზეა ბოლო წუთის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის სისტემატური შეცვლის ან სხვა მსგავსი ქცევის მოდელი, რაც სერიოზულ ეჭვს აღძრავს, რომ სპორტსმენი ცდილობს, ხელმისაწვდომი არ იყოს ტესტირებისთვის.

10.3.3 2.7 ან 2.8 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის სადისკვალიფიკაციო პერიოდი განისაზღვრება ვადით ოთხი წლიდან სამუდამო დისკვალიფიკაციამდე, დარღვევის სიმძიმის მიხედვით. 2.7 ან 2.8 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევა, რომელშიც ჩართულია არასრულწლოვანი, უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებულად მძიმე დარღვევად, და თუ იგი ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს სამუდამო დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დარღვევა შეეხება ე.წ. განსაზღვრულ

ნივთიერებებს. გარდა ამისა, 2.7 ან 2.8 მუხლებით გათვალისწინებული წესების მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც შეიძლება გულისხმობდეს სპორტსგარე კანონებისა და რეგულაციების დარღვევასაც, აუცილებლად უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ, პროფესიულ ან სამართალდამცავ ორგანოებს.

კომენტარი მუხლისათვის 10.3.3: პირები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ან ხელს უწყობენ ასეთი დარღვევის დაფარვას, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ, ვიდრე თავად სპორტსმენი. ვინაიდან სპორტული ორგანიზაციების უფლებამოსილება ამ პირების მიმართ შემოიფარგლება მხოლოდ დისკვალიფიკაციით (აკრედიტაციის, ნევრობის და სპორტთან დაკავშირებული სხვა სარგებლის შეწყვეტის თვალსაზრისით), კომპეტენტური ორგანოების ინფორმირება აღნიშნული პერსონალის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ბერკეტია დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

10.3.4. 2.9 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის პერიოდი შეადგენს მინიმუმ ორ წელიწადს, და შეიძლება გაიზარდოს ოთხ წლამდე დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

10.3.5. 2.10 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის პერიოდი შეადგენს ორ წელიწადს და შეიძლება შემცირდეს მინიმუმ 1 წლამდე, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

კომენტარი მუხლისათვის 10.3.5: როცა 2.10 მუხლში ნახსენები “სხვა პირი” წარმოადგენს ორგანიზაციულ ერთეულს და არა ინდივიდს, ამ ორგანიზაციული ერთეულის მიმართ სასჯელი შეიძლება განისაზღვროს მე-12 მუხლის მიხედვით.

10.4. დისკვალიფიკაციის გაუქმება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის გამო

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს ბრალეულობისა და დაუდევრობის არარსებობას მის კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ ამ ტიპის დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციები არ ამოქმედდება.

კომენტარი მუხლისათვის 10.4: ეს მუხლი და 10.5.2 მუხლი შეეხება მხოლოდ სანქციების დაკისრების საკითხს, ისინი არ გამოიყენება

იმის გასარკვევად, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები. ეს მუხლები ამოქმედდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ შესაბამისი მზრუნველობის მიუხედავად, მოხდა მისი საბოტაჟი მეტოქის მხრიდან. მეორე მხრივ, ბრალისა და დაუდევრობის არარსებობის მუხლი არ შეეხება შემდეგ შემთხვევებს: (ა) ტესტის პოზიტიური შედეგი არასწორად ეტიკტირებული ან დაბინძურებული ვიტამინის ან საკვები დანამატის მიღების გამო (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ რა ხვდება მათ ორგანიზმში (მუხლი 2.1.1)) და გაფრთხილებულნი არიან საკვები დანამატების შესაძლო დაბინძურების შესახებ); (ბ) აკრძალული ნივთიერების მიცემა სპორტსმენისთვის მისი პირადი ექიმის ან მწვრთნელის მიერ, მისი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან შედგენილობის შეწინააღმდეგებელი ნივთიერებების მიღებაზე, რომ ვერ მიიღებენ აკრძალულ ნივთიერებებს), (გ) საბოტაჟი სპორტსმენის მეუღლის, მწვრთნელის ან მისი გარემოცვიდან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ რა ხვდება მათ ორგანიზმში და აგრეთვე იმ პერსონალის ქცევაზე, ვისაც ანდობენ ხელმისაწვდომობას თავიანთ საკვებსა და სასმელზე). თუმცა, კონკრეტული შემთხვევის უნიკალური გარემოებების გათვალისწინებით, ნებისმიერ შემთხვევაში მოყვანილ სიტუაციას შეიძლება შეეხოს სანქციების შემსუბუქება უმნიშვნელო ბრალის ან დაუდევრობის არსებობის საფუძველზე 10.5.2 მუხლის თანახმად.

10.5. დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირება უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო

10.5.1. სანქციების შემსუბუქება განსაზღვრულ ნივთიერებებთან ან დაბინძურებულ პროდუქტებთან დაკავშირებული 2.1, 2.2 ან 2.6 მუხლების დარღვევის გამო

10.5.1.1. განსაზღვრული ნივთიერებები

როცა ანტიდოპინგური წესის დარღვევა ეხება განსაზღვრულ ნივთიერებას და სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ მისი ბრალი ან დაუდევრობის როლი დარღვევაში უმნიშვნელოა, დაკისრებული სანქცია უნდა იყოს მინიმუმ გაფრთხილება დისკვალიფიკაციის გარეშე და მაქსიმუმ, ორწლიანი დისკვალიფიკაცია, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

10.5.1.2. დაბინძურებული პროდუქტები

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ დარღვევა მოხდა მისი უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო, და რომ ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების მოხვედრის წყარო იყო დაბინძურებული პროდუქტი, დაკისრებული სანქცია უნდა იყოს მინიმუმ გაფრთხილება დისკვალიფიკაციის გარეშე და მაქსიმუმ, ორწლიანი დისკვალიფიკაცია, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

კომენტარი მუხლისათვის 10.5.1.2: სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრისას, მის სასარგებლოდ მეტყველებს მაგალითად ის ფაქტი, თუ მას ის პროდუქტი, რომელიც შემდგომში დაბინძურებულად იქნა აღიარებული, წინასწარ ჰქონდა დეკლარირებული დოპინგ კონტროლის ფორმაში.

10.5.2. უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის წესის გამოყენება სხვა შემთხვევებში, 10.5.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ მის კონკრეტულ, 10.5.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისგან განსხვავებულ შემთხვევაში მისი ბრალეულობა ან დაუდევრობა უმნიშვნელოა, მაშინ მანამ, სანამ მას შეეხება 10.6 მუხლით გათვალისწინებული შემდგომი შემცირების ან გაუქმების წესები, ანტიდოპინგური წესებით ზოგადად გათვალისწინებული სადისკვალიფიკაციო ვადა შეიძლება შემცირდეს სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, იმგვარად, რომ შემცირებული ვადა არ შეადგენდეს დაფიქსირებული დარღვევისათვის გათვალისწინებული ვადის ნახევარზე ნაკლებს. თუ კოდექსი ითვალისწინებს სამუდამო დისკვალიფიკაციას, მაშინ ვადის შემცირება შეიძლება მინიმუმ რვა წლამდე.

კომენტარი მუხლისათვის 10.5.2: 10.5.2 მუხლი შეიძლება შეეხოს ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევას, გარდა იმ მუხლებისა, სადაც განზრახვა თავიდანვე შეადგენს ანტიდოპინგური წესის დარღვევის ელემენტს (მაგ. მუხლები 2.5, 2.7, 2.8 ან 2.9) ან კონკრეტული სანქციის ელემენტს (მაგ. მუხლი 10.2.1), ან როცა დისკვალიფიკაციის პერიოდის დიაპაზონი უკვე მოცემულია შესაბამის მუხლში სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

10.6. დისკვალიფიკაციის პერიოდის ან სხვა შედეგების გაუქმება, შემცირება ან დროებით შეჩერება სხვა მიზეზების გამო, გარდა ბრალეულობის ხარისხთან დაკავშირებული მიზეზებისა

10.6.1. ქმედითი დახმარება ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღმოჩენაში ან დადგენაში

10.6.1.1. შედეგების მართვაზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, მე-13 მუხლით გათვალისწინებული საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღებამდე ან სააპელაციო ვადის გასვლამდე, დროებით შეაჩეროს სპორტსმენზე დაკისრებული დისკვალიფიკაციის ვადის ნაწილი, თუ ეს სპორტსმენი ქმედით დახმარებას გაუწევს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს ან პროფესიულ დისციპლინარულ ორგანოს, რასაც შედეგად მოჰყვება: 1) სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესის დარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, ან სხვა პირის მიერ ჩადენილი კრიმინალური დარღვევის ან პროფესიული წესების დარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება სამართალდამცავი ან დისციპლინარული ორგანოს მიერ. მე-13 მუხლის შესაბამისად საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ან სააპელაციო ვადის გასვლის შემდეგ, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სადისკვალიფიკაციო ვადის ნაწილის შეჩერება შეუძლია მხოლოდ WADA-ს ან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის თანხმობით. სადისკვალიფიკაციო პერიოდის შემცირების ხარისხი განისაზღვრება სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის სიმძიმით და მის მიერ განეული ქმედითი დახმარების მნიშვნელობით სპორტში დოპინგის აღმოფხვრის საქმეში. აღნიშნული მუხლის ძალით დასაშვებია დისკვალიფიკაციის ვადის მაქსიმუმ სამი მეოთხედით შემცირება. თუ დარღვევა ითვალისწინებს სამუდამო დისკვალიფიკაციას, მაშინ მისი შემცირება დასაშვებია მაქსიმუმ რვა (8) წლამდე. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი აღარ აგრძელებს თანამშრომლობას და სრულყოფილი და სანდო დახმარების განევენს, რასაც ეყრდნობოდა დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერება, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც შეაჩერა დისკვალიფიკაციის

პერიოდი, შეუძლია აღადგინოს მისი სანყისი ხანგრძლივობა. ანტიდოპინგური ორგანიზაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება – აღადგინოს ან არ აღადგინოს დისკვალიფიკაციის შეჩერებული პერიოდი – შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის თანახმად აპელაციის უფლების მქონე ნებისმიერი მხარის მიერ.

10.6.1.2. იმისთვის, რომ კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სპორტსმენების და სხვა პირების მიერ ქმედითი დახმარების განევას ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნით, ან იმ სპორტსმენის ან სხვა პირის მოთხოვნით, რომელმაც დაარღვია ანტიდოპინგური წესი (ან ბრალდება ასეთი დარღვევა), WADA-მ შეიძლება შედეგების მართვის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (მათ შორის მე-13 მუხლის მიხედვით საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც) განაცხადოს თანხმობა, შეხედულებისამებრ შეაჩეროს დისკვალიფიკაციის პერიოდი და სხვა შედეგები. გამონაკლის შემთხვევებში, WADA-მ შეიძლება თანხმობა განაცხადოს, ქმედითი დახმარების გამო შეაჩეროს დისკვალიფიკაციის პერიოდი და სხვა შედეგები უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლით, რაც შეიძლება მოიცავდეს დისკვალიფიკაციის ვადის სრულ გაუქმებას და/ან საპრიზო თანხის დაბრუნების ვალდებულების ან ჯარიმების და ხარჯების გადახდის ვალდებულების მოხსნას. WADA-ს თანხმობა არ გამორიცხავს იმას, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის შემთხვევაში მოხდეს სანქციის აღდგენა. მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად, ამ მუხლის კონტექსტში მიღებული WADA-ს გადაწყვეტილება ვერ გასაჩივრდება სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ.

10.6.1.3. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია შეაჩერებს შესაბამისი სანქციის ნებისმიერ ნაწილს განეული ქმედითი დახმარების გამო, შეტყობინება უნდა გაეგზავნოს 13.2.3 მუხლში ჩამოთვლილ აპელაციის უფლების მქონე სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციებს, 14.2 მუხლით გათვალისწინებული წესით. განსაკუთრებულ გარემოებებში, ანტიდოპინგური მოძრაობის ინტერესების გათვალისწინებით, ADA-მ შეიძლება ნება დართოს

ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, დადოს კონფიდენციალურობის შეთავაზება, რაც გულისხმობს განეული ქმედითი დახმარების ხასიათის გამჟღავნების შეზღუდვას ან გადავადებას.

კომენტარი მუხლისათვის 10.6.1.: სპორტსმენების, მათი დამხმარე პერსონალის და სხვა პირების თანამშრომლობა, რომლებიც აღიარებენ შეცდომებს და აქვთ სურვილი, გაამჟღავნონ ანტიდოპინგური წესების სხვა დარღვევებიც, მნიშვნელოვანია სპორტის „გასუფთავებისთვის“.

ზემოთ აღწერილი სიტუაცია ერთადერთია, როდესაც კოდექსის მიხედვით დაშვებულია დისკვალიფიკაციის პერიოდის დროებითი შეჩერება.

10.6.2. ანტიდოპინგური წესის დარღვევის აღიარება სხვა მტკიცებულებების არარსებობისას

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ნებაყოფლობით აღიარებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას მანამ, სანამ მიიღებს შეტყობინებას სინჯის ჩაბარების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს ეს დარღვევა (ან 2.1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გარდა სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევისას – დარღვევის შესახებ პირველი შეტყობინების მიღებამდე მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესით), და თუ აღიარების მომენტში აღიარება წარმოადგენდა დარღვევის ერთადერთ სანდო მტკიცებულებას, დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მაქსიმუმ გათვალისწინებული ვადის ნახევრით.

კომენტარი მუხლისათვის 10.6.2: ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი საკუთარი ინიციატივით აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას იმ სიტუაციაში, როცა არც ერთ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ აქვს ინფორმაცია ანტიდოპინგური წესის შესაძლო დარღვევის შესახებ. იგი არ შეეხება იმ სიტუაციას, როცა აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც სპორტსმენი ან სხვა პირი გააცნობიერებს, რომ მოსალოდნელია, გამოიჭირონ. დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირების ხარისხს განაპირობებს სპორტსმენის ან სხვა პირის გამოჭერის ალბათობა ნებაყოფლობითი აღიარების გარეშე.

10.6.3. ანტიდოპინგური წესის დარღვევის დაუყოვნებელი აღიარება 10.2.1 ან 10.3.1 მუხლების მიხედვით დასჯადი დარღვევის შესახებ ბრალდების წაყენების შემდეგ

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელსაც ემუქრება ოთხ-წლიანი დისკვალიფიკაცია 10.2.1 ან 10.3.1 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების გამო (სინჯის ჩაბარებისთვის თავის არიდება ან უარი ან სინჯის ჩაბარებასთან დაკავშირებული თაღლითობა), ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ წაყენებული ბრალდების შემდეგ მაშინვე აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას და თუ ამავე დროს იქნება თანხმობა როგორც WADA-ს ასევე შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მხრიდან, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს მინიმუმ ორ წლამდე, დარღვევის სიმძიმის და სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

10.6.4. სანქციის შემსუბუქების რამდენიმე მიზეზის ერთდროული გამოყენება

როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს უფლებას სანქციის შემცირებაზე 10.4, 10.5 ან 10.6 მუხლების ერთზე მეტი პირობის მიხედვით, მანამ, სანამ განისაზღვრება დისკვალიფიკაციის შემცირება ან შეჩერება 10.6 მუხლის საფუძველზე, უნდა დადგინდეს, დისკვალიფიკაციის რა ვადა შეესაბამება მის დარღვევას 10.2, 10.3, 10.4 და 10.5 მუხლების თანახმად. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს უფლებას სანქციის შემცირებას ან შეჩერებაზე 10.6 მუხლის თანახმადაც, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ან შეჩერდეს, მაგრამ უნდა შეადგინდეს მანამდე დადგენილი დისკვალიფიკაციის ვადის ერთ მეოთხედს მაინც.

კომენტარი მუხლისათვის 10.6.4: სანქციის სიმძიმე განისაზღვრება ოთხ საფეხურად. პირველ საფეხურზე განხილვის ორგანო განსაზღვრავს, თუ რა საბაზისო სანქციები (მუხლები 10.2, 10.3, 10.4 ან 10.5) შეესაბამება ანტიდოპინგური წესის ამ კონკრეტულ დარღვევას. მეორე საფეხურზე, იმ შემთხვევაში, თუ საბაზისო სანქცია ითვალისწინებს სანქციების გარკვეულ დიაპაზონს, განხილვის ორგანომ უნდა შეარჩიოს სანქციის სიმძიმე ამ დიაპაზონის ფარგლებში სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით. მესამე საფეხურზე, განხილვის ორგანო დაადგენს, არსებობს თუ არა სანქციის გაუქმების, შეჩერების ან შემცირების საფუძველი (მუხლი 10.6). საბოლოოდ,

განხილვის ორგანო გადაწყვეტს დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწყებას 10.11 მუხლის მიხედვით.

10.7. მრავალჯერადი დარღვევები

10.7.1. სპორტსმენისთვის ან სხვა პირისთვის მეორედ ანტიდოპინგური წესების დარღვევისას დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს მეტი:

ა) ექვს თვეზე;

(ბ) ანტიდოპინგური წესების პირველად დარღვევისას დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდის ერთი ნახევარი, როდესაც არ იქნება გათვალისწინებული ვადის ნებისმიერი შემცირება 10.6 მუხლის მიხედვით; ან

(გ) დისკვალიფიკაციის პერიოდის გაორმაგება წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება ანტიდოპინგური წესების მეორედ დარღვევისას როგორც თუ ეს იყო პირველი დარღვევა ვადის ნებისმიერი შემცირების გაუთვალისწინებლად 10.6 მუხლის მიხედვით.

ზემოთ დადგენილი დისკვალიფიკაციის პერიოდი შესაძლებელია შემდგომში შემცირდეს 10.6 მუხლიდან გამომდინარე.

10.7.2. ანტიდოპინგური წესების მესამედ დარღვევა ყოველთვის იწვევს სამუდამო დისკვალიფიკაციას, გამონაკლისია, თუ მესამე დარღვევა აკმაყოფილებს დისკვალიფიკაციის პერიოდის გაუქმების ან შემცირების პირობებს 10.4 ან 10.5 მუხლების მიხედვით, ან მოიცავს 2.4 მუხლის დარღვევას. ამ კონკრეტულ შემთხვევებში დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს რვა წლიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია.

10.7.3. ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რომლისთვისაც სპორტსმენს ან სხვა პირს დაუდგინდა უდანაშაულობა ან დაუდევრობა არ ჩაითვლება წინასწარ დარღვევად ამ მუხლის მიხედვით.

10.7.4. დამატებითი წესები გარკვეული შესაძლო მრავალჯერადი დარღვევებისათვის

10.7.4.1. 10.7 მუხლით გათვალისწინებული სანქციის გაცემისას ანტიდოპინგური წესების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მეორე დარღვევად, თუ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია გამოავლინოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების მეორედ დარღვევა, მას შემდეგ, რაც სპორტსმენი ან სხვა პირი მიიღებს შეტყობინებას მე-7 მუხლის შესაბამისად, ან მას შემდეგ, რაც ანტიდოპინგური ორგანიზა-

ცია გონივრული ძალისხმევის შედეგად გაგზავნის შეტყობინებას ანტიდოპინგური წესების პირველი დარღვევის შესახებ. თუ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ვერ განახორციელა ეს, მაშინ დარღვევა განხილული იქნება, როგორც პირველი და სპორტსმენს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დარღვევისათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია უფრო მძიმე სანქცია.

10.7.4.2. თუ პირველ დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა კიდევ ერთი დარღვევა, პირველი დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებამდე, ანტიდოპინგური ორგანიზაცია დააწესებს დამატებით სანქციას იმ პრინციპით, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ორი დარღვევის ერთდროული განხილვისას სანქციის დაწესება. პირველი დარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული ყველა სპორტული შედეგი გაუქმდება **10.8** მუხლის მიხედვით.

10.7.5. მრავალჯერადი ანტიდოპინგური წესის დარღვევები ათწლიანი პერიოდის განმავლობაში

10.7 მუხლით გათვალისწინებული შედეგების დასადგომად აუცილებელია, რომ თითოეული ანტიდოპინგური წესი, დარღვეული ათწლიან პერიოდში, რათა ჩაითვალოს მრავალჯერად დარღვევად.

10.8. შეჯიბრის შედეგების გაუქმება სინჯის აღებასთან ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით

იმ შეჯიბრის შედეგების ავტომატური გაუქმების გარდა, სადაც გამოვლინდა დოპინგზე დადებითი შედეგი მუხლი 9-ს მიხედვით, სპორტსმენის ყველა სხვა საშეჯიბრო შედეგები, მიღწეული პოზიტიური სინჯის აღების დღიდან (იქნება ეს საშეჯიბრო ან არასაშეჯიბრო) ან სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისას, ნებისმიერი დროებითი დისკვალიფიკაციის დაწყება ან დისკვალიფიკაციის პერიოდი, თუ არ ირღვევა სამართლიანობა, უნდა იყოს ანულირებული ყველა შესაბამისი შედეგით, მათ შორის ნებისმიერი მედლის, ქულების და პრიზების ჩამორთმევით.

კომენტარი მუხლისათვის 10.8: კოდექსი არ უშლის ხელს იმ სუფთა სპორტსმენებს ან სხვა პირებს, რომლებიც დაზარალდნენ ანტიდოპინგური წესების დამრღვევი პირის გამო, მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება ამ პირისგან.

10.9. CAS-ის ფასიანი ჯილდოების და კონფისკირებული საპრიზო თანხის განაწილება

CAS-ის ფასიანი ჯილდოების და საპრიზო თანხის კონფისკაციის პროცედურა უნდა იყოს: პირველი, CAS-ის მიერ მინიჭებული ფასიანი ჯილდოების ხარჯების დაფარვა; მეორე, კონფისკირებული საპრიზო თანხების განაწილება სხვა სპორტსმენებზე, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ფედერაციის წესები; და მესამე, ანტიდოპინგური ორგანიზაციის ხარჯების ანაზღაურება, რომელმაც განახორციელა შემთხვევის შედეგების მართვის პროცესი.

10.10. ფინანსური შედეგები

ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუძლიათ, თავიანთი წესების მიხედვით, უზრუნველყონ ხარჯების პროპორციული ანაზღაურება ან ფინანსური სანქციები ანტიდოპინგური წესების დარღვევის ხარჯზე. თუმცა, ანტიდოპინგური ორგანიზაციებს შეუძლიათ, მხოლოდ მაშინ დააწესონ ფინანსური ხარჯები იმ შემთხვევებში, როდესაც დისკვალიფიკაციის მაქსიმალური პერიოდი უკვე ძალაშია. ფინანსური ხარჯები შეიძლება დაწესებული იქნეს, როდესაც პროპორციულობის პრინციპი არის დაკმაყოფილებული. ხარჯების ანაზღაურება ან ფინანსური სანქციები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც დისკვალიფიკაციის ან სხვა სანქციის შემცირების საფუძველი, რომელიც სხვა მხრივ გამოიყენებოდა კოდექსის შესაბამისობაში.

10.11. სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლა

ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისის გარდა, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს საბოლოო მოსმენის შედეგად მიღებული დასკვნის თარიღიდან, ან თუ მოსმენაზე იყო ნათქვამი უარი, ან მოსმენა არ ტარდება, დისკვალიფიკაციის პერიოდი მიღებულია ან სხვა მხრივ გაცემულია.

10.11.1. შეფერხებები, რომლებიც არ ეხება სპორტსმენს ან სხვა პირს

თუ განხილვის პროცესში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეფერხებებს, რაშიც სპორტსმენს ან სხვა პირს ბრალი არ მიუძღვის, განმხილველმა ორგანომ, სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლის თარიღად შესაძლოა, გამოაცხადოს სინჯის აღების თარიღი, ან თარიღი, როდესაც სხვა ბოლო ანტიდოპინ-

გური დარღვევა დაფიქსირდა. ყველა საშეჯიბრო შედეგი მიღებული დისკვალიფიკაციის პერიოდში, მათ შორის უკუძალის მქონე დისკვალიფიკაცია, უნდა ანუღირდეს.

კომენტარი მუხლი 10.11.1. იმ შემთხვევაში, როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევისას, გარდა 2.1 მუხლისა, დრო, რომელიც საჭიროა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის რომ აღმოაჩინოს და საკმარისად განავითაროს ფაქტები ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ შეიძლება იყოს გახანგრძლივებული, განსაკუთრებით, როდესაც სპორტსმენს ან სხვა პირს განხორციელებული აქვთ მტკიცებითი ქმედებები გამოვლენის თავიდან ასაცილებლად. ასეთ ვითარებაში მოქნილობა აღნიშნული მუხლში, სანქცია დაიწყოს ადრეული ვადით, არ უნდა იქნეს გამოყენებული.

10.11.2. დროული აღიარება

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დროულად (რაც გულისხმობს იმ პერიოდს, სანამ სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს მორიგ შეჯიბრში) აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას მას შემდეგ, რაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია მას ბრალს დასდებს ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, დისკვალიფიკაციის ვადა ძალაში შესაძლოა, შევიდეს სინჯების აღების, ან იმ თარიღიდან, როდესაც წარსულში ხდებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა. თუმცა თითოეულ შემთხვევაში, სადაც ეს მუხლი მიესადაგება, სპორტსმენმა ან სხვა პირმა უნდა მოიხადოს დისკვალიფიკაციის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც, სანქციის აღიარების, განხილვაზე გადაწყვეტილების მიღების, ან სანქციის სხვაგვარად შეფარდების დღიდან. ეს მუხლი არ მიესადაგება იმ შემთხვევას, როდესაც დისკვალიფიკაციის პერიოდი უკვე შემცირებულია 10.6.3 მუხლის მიხედვით.

10.11.3. საკრედიტო დრო, რომელსაც აძლევენ დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდისთვის

10.11.3.1. თუ სპორტსმენს ან სხვა პირს შეეფარდება დროებითი დისკვალიფიკაცია, ძირითადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, ეს პერიოდი მას ჩაეთვლება ძირითად სადისკვალიფიკაციო ვადაში. თუ დისკვალიფიკაციის პერიოდი მოიცავს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც შემდგომში იქნა მიღე-

ბული, მაშინ სპორტსმენს უნდა ჩაეთვალოს ასეთი დისკვალიფიკაციის პერიოდი ნებისმიერ დისკვალიფიკაციის პერიოდში, რომელსაც მას დააკისრებს პანელი.

10.11.3.2. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ წინასწარ დისკვალიფიკაციას ლეზულობს ნებაყოფლობით, წერილობითი ფორმით და პატივს სცემს დროებით დისკვალიფიკაციას, ძირითადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, ეს პერიოდი სპორტსმენს ან სხვა პირს ჩაეთვლება ძირითად სადისკვალიფიკაციო ვადაში. სპორტსმენის მიერ წინასწარი დისკვალიფიკაციის აღიარების წერილობითი ფორმის ასლი დროულად უნდა გადაეგზავნოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებსაც, 14.1 მუხლის მიხედვით, უნდა ეცნობოს დამტკიცებული ანტიდოპინგური დარღვევის შესახებ.

კომენტარი მუხლისათვის 10.11.3.2.: სპორტსმენის მიერ დროებითი დისკვალიფიკაციის ნებაყოფლობითი მიღება არ არის სპორტსმენის მიერ აღიარება და არანაირი გზით არ უნდა იქნეს გამოყენებული სპორტსმენის წინააღმდეგ ურყოფითი დასკვნის გამოტანაში.

10.11.3.3. დისკვალიფიკაციის პერიოდში არ უნდა მიეცეს არანაირი საკრედიტო პერიოდი, სანამ ძალაში შევა დროებითი დისკვალიფიკაცია ან ნებაყოფლობითი დროებითი დისკვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენი არჩეულია, რათა არ მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში ან იყო შეჩერებული მისი გუნდის მიერ.

10.11.3.4. გუნდური სპორტის სახეობებში, სადაც დისკვალიფიკაციის პერიოდი ეკისრება გუნდსაც, თუ სამართლიანობა არ მოითხოვს სხვას, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს საბოლოო მოსმენის შედეგად მიღებული დისკვალიფიკაციის დასკვნის თარიღიდან ან, თუ მოსმენაზე ნათქვამი იყო უარი, დისკვალიფიკაციის თარიღი არის მიღებული ან სხვა მხრივ დაკისრებული. გუნდის დროებითი დისკვალიფიკაციის ნებისმიერი პერიოდი (დაკისრებული ან ნებაყოფლობით მიღებული) უნდა იყოს საკრედიტო პერიოდად გამოყენებული მთლიან პერიოდში.

კომენტარი მუხლისათვის 10.11: მუხლიდან 10.11 ნათლად ჩანს, რომ შეფერხება, რომელიც არ არის გამოწვეული სპორტსმენის მიზეზით, სპორტსმენის მიერ დროული აღიარება და დროებითი დისკვალიფიკაცია ერთადერთი საფუძველია, რათა დისკვალიფიკაციის პერიოდი დაიწყოს უფრო ადრე, ვიდრე ეს არის საბოლოო მოსმენის შედეგად მიღებული დასკვნის თარიღი.

10.12. სტატუსი დისკვალიფიკაციის პერიოდში

10.12.1. დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა

არც ერთ სპორტსმენს ან სხვა პირს, რომლებიც არიან დისკვალიფიცირებულნი, დისკვალიფიკაციის პერიოდში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებში ან სხვა ღონისძიებებში, (გარდა სპეციალური ანტიდოპინგური საგანმანათლებლო, ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა), რომლებიც ორგანიზებული იქნება ხელის მომწერი მხარის, მისი წევრი ორგანიზაციის, ან თავის მხრივ, ამ უკანასკნელის წევრი კლუბის ან ორგანიზაციის მიერ. ასევე პროფესიონალური ლიგის მიერ ორგანიზებული შიდა თუ საერთაშორისო შეჯიბრებში, ან სამთავრობო სააგენტოს მიერ დაფინანსებული ნებისმიერ ელიტარულ ან ნაციონალურ დონეზე ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები.

ოთხ წელზე მეტი ვადით დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს ან სხვა პირს ოთხი წლის გასვლის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, როგორც სპორტსმენმა ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში, არასანქცირებულ ან სხვა მხრივ კოდექსის ხელის მომწერი ან კოდექსის ხელის მომწერ წევრთა საფუძველზე, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ადგილობრივი სპორტული ღონისძიება არ წარმოადგენს იმ დონეს, რომელზეც სხვა მხრივ სპორტსმენს ან სხვა პირს ექნებოდა მოთხოვნა, პირდაპირ ან არაპირდაპირ ნაციონალურ ჩემპიონატში ან საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება (ან ქულების დაგროვება) და არ ჩართოს სპორტსმენი ან სხვა პირი არასრულწლოვანებთან ნებისმიერი ხასიათის მუშაობაში.

სპორტსმენი ან სხვა პირი დისკვალიფიკაციის პერიოდში უნდა დარჩეს ტესტირების ობიექტად.

კომენტარი მუხლისათვის 10.12.1: მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი მუხლის 10.12.2 ობიექტი დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს

არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში, სპორტულ ღონისძიებებში, რომელიც ორგანიზებულია მისი ნაციონალური ფედერაციის ან ამ ნაციონალური ფედერაციის წევრი კლუბის მიერ ან რომელიც ფინანსდება სამთავრობო სააგენტოდან. უფრო მეტიც, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არა ხელის მომწერ პროფესიონალური ლიგის შეჯიბრებებში (მაგ. ნაციონალური ჰოკეის ლიგა, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია და სხვა) არახელის მომწერ საერთაშორისო ორგანიზაციების ან არახელის მომწერ ნაციონალური დონის ღონისძიებების ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში შედეგების გამონვევის გარეშე, რომლებიც ასახულია მუხლში 10.12.3. ტერმინი „საქმიანობა“ ასევე მოიცავს, მაგალითად, ადმინისტრაციულ საქმიანობას, როგორებიცაა ამ მუხლში აღწერილი ორგანიზაციის თანამდებობის პირი, დირექტორი, ხელმძღვანელი, თანამშრომელი, მოხალისე. სპორტის ერთ სახეობაში დაკისრებული დისკვალიფიკაცია უნდა აღიარებული იქნეს სხვა სპორტის სახეობებშიც (ნახეთ მუხლი 15.1, ორმხრივი აღიარება).

10.12.2. ვარჯიშზე დაბრუნება

როგორც გამონაკლისი მუხლიდან 10.12.1, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშებს გუნდთან ერთად ან გამოიყენოს კლუბის ან სხვა ორგანიზაციის, რომელიც არის ხელის მომწერი წევრი ორგანიზაცია, ინვენტარი დროის უმოკლეს პერიოდში: (1) სპორტსმენის დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვის განმავლობაში, ან (2) დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი.

კომენტარი მუხლისათვის 10.12.2: ბევრ გუნდურ სპორტის სახეობაში და ზოგიერთ ინდივიდუალურ სპორტულ სახეობებში (მაგ. თხილამურებით ტრამპლინზე ხტომა და ტანვარჯიში) სპორტსმენს არ შეუძლია, ნაყოფიერად ივარჯიშოს თავისით, ისე, რომ იყოს მზად შეჯიბრებისათვის სპორტსმენის დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლოსთვის. ვარჯიშის პერიოდის განმავლობაში, რაც აღწერილია ამ მუხლში, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებში ან ნებისმიერ იმ აქტიურობაში, რომლებიც აღწერილია 10.12.1 მუხლში, გარდა ვარჯიშისა.

10.12.3. დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებში მონაწილეობის აკრძალვა

ლეობის მიღების უფლების აკრძალვა

როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც გამოცხადებული იქნა დისკვალიფიცირებულად, არღვევს დისკვალიფიკაციის პერიოდში სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობის აკრძალვას, რაც აღწერილია მუხლში 10.12.1, ამ მონაწილეობის შედეგად მიღებული რეზულტატები უნდა ანუღირდეს და უნდა დაემატოს დისკვალიფიკაციის ახალი პერიოდი, რომელიც ზუსტად იმ ხანგრძლივობისაა, რაც პირველი დისკვალიფიკაციის პერიოდი. დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება მორგებული იყოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ბრალეულობის ხარისხისა და სხვა გარემოებებზე. სპორტსმენის და სხვა პირის მიერ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის აკრძალვის დარღვევის განსაზღვრა და არის თუ არა ეს მორგება შესაბამისი, ეხება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც გამოიტანა პირველი დისკვალიფიკაციის პერიოდი. ეს დასკვნა შეიძლება ანუღირდეს მუხლი 13-ის მიხედვით.

როდესაც სპორტსმენის მხარდამჭერი პირი ან სხვა პირი ეხმარება პირს დისკვალიფიკაციის პერიოდში სპორტსმენის ღონისძიებებში მონაწილეობის აკრძალვის დარღვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, ამ სპორტსმენის მხარდამჭერ პირზე ან სხვა პირზე (უნდა) დააწესოს სანქცია მუხლის 2.9 დარღვევაზე ასეთი დახმარებისთვის.

10.12.4. დისკვალიფიკაციის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერის მოხსნა

დამატებით ანტიდოპინგური წესის დარღვევისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც გამოიყენება შემცირებული სანქცია, როგორც ეს არის აღწერილი 10.4 ან 10.5 მუხლში, დამრღვევ პირს, ხელის მომწერი სახელმწიფოს ან მისი წევრი ორგანიზაციის მხრიდან უნდა შეუწყდეს სპორტთან დაკავშირებული ზოგიერთი ან სრული ფინანსური მხარდაჭერა, ან სხვა სახის სარგებელის მიღება.

10.13 სანქციის ავტომატური გამოცემა (publication)

თითოეული სანქციის აუცილებელ ნაწილად უნდა იყოს ავტომატური გამოცემა, როგორც ეს მოწოდებულია მუხლში 14.3.

კომენტარი მუხლისათვის 10: სანქციების ჰარმონიზაცია ეს არის

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად სადისკუსიო და სამსჯელო საგანი. ჰარმონიზაცია ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე წესები და კრიტერიუმები გამოიყენება თითოეული შემთხვევის უნიკალური ფაქტების შესაფასებლად. სანქციების ჰარმონიზაციის საწინააღმდეგო არგუმენტები დაფუძნებულია სპორტის სახეობებს შორის განსხვავებებზე, მაგალითად, შემდეგი: ზოგიერთ სპორტის სახეობაში პროფესიონალური სპორტსმენები ლეზულობენ მნიშვნელოვან შემოსავალს სპორტიდან და სხვა სახეობებში სპორტსმენები არიან ქეშმარიტად მოყვარულები; იმ სპორტის სახეობებში, სადაც სპორტსმენთა კარიერა არის ხანმოკლე, დისკვალიფიკაციის სტანდარტული პერიოდი ბევრად უფრო მნიშვნელოვან ეფექტს ახდენს სპორტსმენებზე, ვიდრე სპორტის იმ სახეობებში, სადაც კარიერა ტრადიციულად ბევრად ხანგრძლივია. ჰარმონიზაციის სასარგებლოდ პირველი არგუმენტი ის არის, რომ უბრალოდ არ არის სწორი, რომ ორმა სპორტსმენმა ერთი და იგივე ქვეყნიდან, რომლებსაც გამოუვლინდათ პოზიტიური ტესტი ერთსა და იმავე აკრძალულ ნივთიერებაზე, ერთსა და იმავე გარემოებებში უნდა მიიღონ სხვადასხვა სანქცია, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მონაწილეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ამას გარდა, სანქციის გაცემისას, ასეთი მოქნილი სისტემა ხშირად განიხილება ზოგიერთი სპორტული ორგანიზაციისათვის, როგორც მიუღებელი შესაძლებლობა, იყვნენ უფრო დამთმობი დოპინგის მომხმარებლის მიმართ. ჰარმონიზაციის ნაკლებობა ასევე ხშირად არის იურისდიქციული კონფლიქტის წყარო საერთაშორისო ფედერაციებსა და ნაციონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის.

მუხლი 11: შედეგები გუნდებისათვის

11.1. ტესტირება სპორტის გუნდურ სახეობებში

თუ რომელიმე სპორტული ღონისძიების დროს, სპორტის გუნდურ სახეობაში, გუნდის ერთზე მეტ წევრს მიუვიდა შეტყობინება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ მე-7 მუხლის მიხედვით, ღონისძიების მმართველმა ორგანომ ღონისძიების განმავლობაში უნდა ჩაატაროს გუნდის მიზნობრივი ტესტირება შესაბამისი წესით.

11.2. შედეგები სპორტის გუნდურ სახეობებში

თუ სპორტული ღონისძიების დროს სპორტის გუნდურ სახე-

ობაში გამოვლენილი იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევა გუნდის ორზე მეტი წევრის მიერ, ანტიდოპინგური წესის დამრღვევ სპორტსმენებზე დაკისრებული სანქციების გარდა, ღონისძიების მმართველმა ორგანომ შესაბამისი სანქციები უნდა დააკისროს გუნდსაც (მაგ. ქულების ჩამორთმევა, დისკვალიფიკაცია შეჯიბრიდან ან მთლიანად ღონისძიებიდან ან სხვა სანქციები).

11.3. ღონისძიების მმართველმა ორგანომ სპორტის გუნდურ სახეობებში შეიძლება დაანესოს უფრო მკაცრი სანქციები

ღონისძიების მმართველმა ორგანომ, ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება, ამ კონკრეტული ღონისძიებისთვის დაანესოს უფრო მკაცრი სანქციები სპორტის გუნდური სახეობებისთვის, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კოდექსის 11.2 მუხლით.

კომენტარი მუხლისათვის 11.3: მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია, შემოიღოს წესი, რომლის მიხედვითაც მოითხოვს გუნდის დისკვალიფიკაციას თამაშებიდან თამაშების განმავლობაში ჩადენილი ანტიდოპინგური დარღვევების უფრო მცირე რაოდენობისთვის, ვიდრე ეს ზოგადად არის გათვალისწინებული.

მუხლი 12. სანქციები სპორტული სტრუქტურების მიმართ

კოდექსი არ ზღუდავს მასზე ხელის მომწერ მხარეებსა და მთავრობებს, შემოიღონ და გაატარონ საკუთარი სანქციები მათ დაქვემდებარებაში მყოფ სპორტულ სტრუქტურებზე.

კომენტარი მუხლისათვის 12: აღნიშნული მუხლი ნათლად განმარტავს, რომ კოდექსი არ კრძალავს ორგანიზაციებს შორის სხვა დისციპლინური უფლება-მოვალეობების არსებობას.

მუხლი 13. აპელაციები

13.1. გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება გასაჩივრებას

ამ კოდექსზე, ან კოდექსის მიხედვით შემუშავებულ წესებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს 13.2-13.4 მუხლებით გათვალისწინებული წესით, ან სხვა

გზით, კოდექსის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პირველი გადაწყვეტილება ძალაში რჩება საჩივრის განხილვის პროცესის დასრულებამდე, თუ სააპელაციო ორგანო სხვაგვარად არ განკარგავს. აპელაციის პროცესის დაწყებამდე, ამონაწერი უნდა იქნეს ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შემდგომი განხილვის ყველა შესაძლებლობა, იმ პირობით, რომ აღნიშნული განხილვა არ ეწინააღმდეგება 13.2.2 მუხლში ჩამოყალიბებულ პრინციპებს (გამონაკლისია 13.1.1. მუხლით გათვალისწინებული გარემოებები).

13.1.1. განხილვის არეალი არ არის შემოფარგლული

აპელაციის განხილვის არეალი მოიცავს განხილვის თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და არ არის აუცილებელი, შემოიფარგლოს იმ საკითხებით ან არეალით, რომელიც წინა გადაწყვეტილების მიმღების წინაშე იდგა.

13.1.2. საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ იმ შედეგებს, რომელთა გასაჩივრებაც ხდება გადაწყვეტილების მიღებისას, საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ იმ ორგანოს თვალსაზრისს, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრებაც ხდება

კომენტარი მუხლისათვის 13.1.2: საქმის განხილვა საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე იწყება თავიდან, *დე ნოვო*. წინამორბედი განხილვების მტკიცებულებები ან გადაწყვეტილებები არ ახდენს გავლენას საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე მოსმენის პროცესზე.

13.1.3. WADA არ არის ვალდებული, ამონაწერს ზემოქმედების შიდა საშუალებები

იმ შემთხვევაში, როცა WADA-ს აქვს აპელაციის უფლება მე-13 მუხლის მიხედვით, და არც ერთი სხვა მხარე არ ასაჩივრებს ანტიდოპინგური ორგანიზაციის საბოლოო გადაწყვეტილებას, WADA-ს უფლება აქვს, გაასაჩივროს გადაწყვეტილება პირდაპირ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე, თუნდაც არ ჰქონდეს ამონაწერი პროცესით გათვალისწინებული სხვა საშუალებები.

13.2. აპელაციები ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შედეგებზე,

დროებით სანქციებზე, გადანყვეტილებათა ცნობა-აღიარებასა და შესაბამის იურისდიქციაზე

გადანყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დადასტურების შესახებ, შესაბამისი სანქციების დაკისრების ან დაუკისრებლობის შესახებ, ან ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის უარყოფის შესახებ; გადანყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის განხილვის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ პროცედურული მიზეზების გამო (როგორცაა მაგ. ხანდაზმულობის ვადის გასვლა); WADA-ს გადანყვეტილება, უარი თქვას გამო-ნაკლისის დაშვებაზე სპორტიდან წასული სპორტსმენისთვის, რომელსაც სპორტში დაბრუნება სურს, რისთვისაც ექვსი თვით ადრე განაცხადის გაკეთება ევალება 5.7.1 მუხლის თანახმად; WADA-ს გადანყვეტილება, დაავალოს შედეგების მართვა შესაბამის ორგანოს 7.1 მუხლის თანახმად; ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადანყვეტილება, არ ჩათვალოს ანალიზის არასასურველი ან ატიპური შედეგი ანტიდოპინგური წესების დარღვევად, ან აღარ გააგრძელოს ანტიდოპინგური წესების დარღვევის საკითხის დამუშავება 7.7 მუხლით გათვალისწინებული კვლევის ჩატარების შემდეგ; გადანყვეტილება დროებითი სანქციის დაკისრებაზე წინასწარი მოსმენის შედეგად; ანტიდოპინგური ორგანიზაციის დაუმორჩილებლობა 7.9 მუხლის მოთხოვნებისადმი; გადანყვეტილება იმის შესახებ, რომ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ არის უფლებამოსილი, გააკეთოს ოფიციალური დასკვნა ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე ან დარღვევიდან გამომდინარე შედეგებზე; გადანყვეტილება დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერების ან შეუჩერებლობის შესახებ, ან შეჩერებული დისკვალიფიკაციის განახლების ან განუახლებლობის შესახებ 10.6.1 მუხლის შესაბამისად; 10.12.3 მუხლის შესაბამისად მიღებული გადანყვეტილება; ასევე ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადანყვეტილება, არ ცნოს სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადანყვეტილება მე-15 მუხლის თანახმად – ნებისმიერი ზემოთ მოყვანილი გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ და მხოლოდ 13.2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

13.2.1. აპელაციები საერთაშორისო დონის სპორტსმენებთან ან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით იმ გადანყვეტილებების გასაჩივრება, რომლებიც დაკავში-

რებულია საერთაშორისო შეჯიბრებებთან ან საერთაშორისო დონის სპორტსმენებთან, ხდება პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

კომენტარი მუხლისათვის 13.2.1: საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის გადანყვეტილებები საბოლოო და იურიდიულად მავალდებულებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითხოვს განხილვის ჩატარებას არბიტრაჟის გადანყვეტილებების ანულისების ან ამოქმედების მიზნით.

13.2.2. აპელაციები სხვა სპორტსმენებთან ან სხვა პირებთან დაკავშირებით

იმ შემთხვევებში, რომელთაც არ შეეხებათ 13.2.1 მუხლით გათვალისწინებული პირობები, აპელაცია შეიძლება მოხდეს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით განსაზღვრულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში. ასეთი აპელაციის წესები მოთხოვს შემდეგი პრინციპების დაცვას:

- მოსმენის დროულობა;
- აპელაციის განმხილველი ორგანოს სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;
- საკუთარი ხარჯებით წარმომადგენლის ყოლის უფლება;
- დროული და დასაბუთებული წერილობითი გადანყვეტილების მიღების უფლება;

კომენტარი მუხლისათვის 13.2.2: ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, უფლება მისცეს სპორტსმენს, აპელაცია შეიტანოს პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

13.2.3. აპელაციის შეტანაზე უფლებამოსილი პირები

13.2.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში აპელაციის შეტანის უფლება აქვთ შემდეგ მხარეებს: ა) სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელიც წარმომადგენს გასასაჩივრებელი გადანყვეტილების სუბიექტს; ბ) საქმეში მონაწილე სხვა მხარეს; გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციას; დ) იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომლის რეზიდენტი, მოქალაქე ან ლიცენზიანტიც არის დამრღვევი პირი; ე) საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ან საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს იმ შემთხვევაში, როცა გადანყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ

თამაშებთან მიმართებაში, მაგ. გადაწყვიტოს ამ თამაშებზე დაშვების საკითხი; ვ) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს.

13.2.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეების ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ, შეიტანონ აპელაცია ეროვნულ დონეზე, განისაზღვრება ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად, მაგრამ მათ სიაში აუცილებლად უნდა იყოს: ა) სპორტსმენი, ან სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების სუბიექტს; ბ) საქმეში მონაწილე სხვა მხარე; გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია; დ) იმ ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომლის რეზიდენტიც არის დამრღვევი პირი; ე) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ან საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებთან მიმართებაში, მაგ. გადაწყვიტოს ამ თამაშებზე დაშვების საკითხი; ვ) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო. 13.2.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში WADA-ს, საერთაშორისო ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ კომიტეტებს და შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას აგრეთვე აქვთ უფლება, საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში შეიტანონ აპელაცია ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებზე. ნებისმიერ მხარეს, რომელსაც აპელაცია შეაქვს, უფლება აქვს, საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟისგან მიიღოს დახმარება შესაბამისი ინფორმაციის მოსაპოვებლად ანტიდოპინგური ორგანიზაციიდან, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება; საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის განკარგულების შემთხვევაში ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გასცეს ეს ინფორმაცია.

WADA-ს მხრიდან აპელაციის შეტანის საბოლოო ვადაა ქვემოთ მოყვანილ ორ თარიღს შორის უგვიანესი:

ა) 21-ე დღე იმ უკანასკნელი დღიდან, როდესაც ნებისმიერ სხვა მხარეს ჰქონდა გასაჩივრების უფლება;

ბ) 21-ე დღე მას შემდეგ, რაც WADA მიიღებს სრულ დოკუმენტაციას საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ზემოთ მოყვანილი ნებისმიერი პირობის მიუხედავად, ერთადერთი პირი, ვისაც აქვს უფლება, გაასაჩივროს დროებითი

დისკვალიფიკაცია, არის სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელზედაც დაწესდა აღნიშნული დისკვალიფიკაცია.

13.2.4. ჯვარედინი აპელაციები და სხვა დამატებითი აპელაციები ნებადართულია

ჯვარედინი აპელაციები და სხვა დამატებითი აპელაციები ნებისმიერი რესპონდენტის მხრიდან, რომლებიც დასახელებულია საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე შესულ საჩივარში, ნებადართულია კოდექსით. ნებისმიერმა მხარემ, რომელსაც აპელაციის უფლება აქვს მე-13 მუხლის თანახმად, ჯვარედინი აპელაცია ან დამატებითი აპელაცია უნდა შეიტანოს არა უგვიანეს აპელაციაზე პასუხის გაცემის მომენტისა.

კომენტარი მუხლისათვის 13.2.4: ეს პირობა აუცილებელია, რადგან 2011 წლიდან საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წესებით სპორტსმენს აღარ აქვს ჯვარედინი აპელაციის უფლება, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას მას შემდეგ, რაც ამოიწურება სპორტსმენის მიერ გასაჩივრების უფლების ვადა. ეს პირობა კი შესაძლებელს ხდის ყველა მხარის სრულყოფილ მოსმენას.

13.3. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღების შეუძლებლობა

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვერ შეძლებს WADA-ს მიერ დადგენილ დროის გონივრულ პერიოდში გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები, WADA-მ შეიძლება პირდაპირ მიმართოს აპელაციით საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს ისე, თითქოს ანტიდოპინგური სააგენტომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის არარსებობის შესახებ. თუ საარბიტრაჟო სასამართლო დაადასტურებს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტს და ჩათვლის, რომ WADA-ს მიერ შეტანილი აპელაცია იყო მიზანშეწონილი, მაშინ WADA-ს ხარჯები და ადვოკატის მომსახურება უნდა აანაზღაუროს იმ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომლის ქმედებაც იქნა გასაჩივრებული.

კომენტარი მუხლისათვის 13.3: ანტიდოპინგური წესების დარღვევის თითოეული შემთხვევის გამოძიების და შედეგების მართვის განსხვავებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას განესაზღვროს ფიქსირებული

ლი ვადა გადაწყვეტილების გამოტანისთვის, რომლის გასვლის შემდეგაც WADA-ს ეძლევა უფლება, აპელაციით მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს. ანტიდოპინგური ორგანიზაციის ქმედების გასაჩივრებამდე, WADA-მ კონსულტაცია უნდა გაიაროს აღნიშნულ ორგანიზაციასთან და მისცეს საშუალება, განმარტოს გადაწყვეტილების მიღების დაგვიანების მიზეზები. აღნიშნული მუხლი არ უკრძალავს საერთაშორისო ფედერაციას, ჰქონდეს ანალოგიური წესი, რომელიც უფლებას მისცემს, საკუთარი იურისდიქცია აამოქმედოს იმ შემთხვევებში, როცა ეროვნული ფედერაცია გაუმართლებლად აგვიანებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

13.4. აკრძალული ნივთიერებების თერაპიულ გამოყენებასთან დაკავშირებული აპელაციები

აკრძალული ნივთიერებების თერაპიულ გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ და მხოლოდ 4.4 მუხლის პირობების თანახმად.

13.5. აპელაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შეტყობინება

ნებისმიერმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც მონაწილეობს აპელაციის პროცესში, აპელაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება 14.2 მუხლით გათვალისწინებული წესით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სპორტსმენს ან სხვა პირს და იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც ექნებოდათ აპელაციის უფლება 13.2.3 მუხლის თანახმად.

13.5.1 აპელაციები კოდექსის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებზე

კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ WADA-ს მიერ კოდექსის 23.5.4 მუხლის თანახმად წარდგენილი ანგარიშის, ან კოდექსის მე-3 ნაწილის (მხარეების როლი და პასუხისმგებლობა) შესაბამისად გამოტანილი შედეგების გასაჩივრება შეუძლია ორგანოს, რომელსაც შეეხება WADA-ს ანგარიში, ან კოდექსის მესამე ნაწილის შესაბამისად გამოტანილი შედეგები, საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე შესაბამისი წესების დაცვით.

13.6. აპელაციები ლაბორატორიებისთვის აკრედიტაციის შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე

WADA-ს გადაწყვეტილებაზე ლაბორატორიისთვის აკრედიტაციის შეჩერების ან გაუქმების შესახებ აპელაციის შეტანის

უფლება აქვს მხოლოდ ამ ლაბორატორიას და მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

კომენტარი მუხლისათვის 13: კოდექსი მიზნად ისახავს ანტიდოპინგური საკითხების გადაწყვეტას, სამართლიანი და გამჭვირვალე შიდა პროცესების გზით, საბოლოო აპელაციის შესაძლებლობით. ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამჭვირვალეა მე-14 მუხლის პირობების შესატყვისად. შესაბამის პირებს და ორგანიზაციებს, WADA-ს ჩათვლით, შესაძლებლობა აქვთ, აპელაცია შეიტანონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების ჩამონათვალში, რომელთაც მე-13 მუხლით აქვთ აპელაციის შეტანის უფლება, არ შედიან სპორტსმენები ან მათი ფედერაციები, რომელთათვისაც შეიძლება ხელსაყრელი იყოს შეჯიბრების სხვა მონაწილის დისკვალიფიკაცია.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა და ანგარიშგება

ანტიდოპინგური შედეგების კოორდინაცია, საზოგადოებრივი გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება, ამასთან, პატივისცემით მოპყრობა ყველა სპორტსმენისა და სხვა პირთა მიმართ, ექვემდებარებიან შემდეგ პრინციპებს:

14.1. ინფორმაცია არასასურველ ანალიტიკურ შედეგზე, ატიპიურ შედეგზე ან სხვა დასაბუთებელი ანტიდოპინგური წესების დარღვევებზე.

14.1.1. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა სპორტსმენებსა და სხვა პირებს.

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინების ფორმა და მანერა უნდა იყოს ისეთი, როგორც მოცემულია ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში, რომელსაც აქვს შედეგების მართვის პასუხისმგებლობა.

14.1.2. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, საერთაშორისო ფედერაციებს და WADA-ს.

შედეგების მართვის პასუხისმგებლობის მქონე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციას, საერთა-

შორისო ფედერაციას და WADA-ს ანტიდოპინგური წესების დარღვევის მტკიცებულებების შესახებ სპორტსმენის და სხვა პირის მიმართ გაგზავნილი შეტყობინების ერთდროულად.

14.1.3. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შეტყობინების შინაარსი

შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სპორტსმენის სახელი, ქვეყანა, სპორტის სახეობა და დისციპლინა, სპორტსმენის საშეჯიბრო დონე, სინჯის აღების თარიღი, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პირობებში იქნა სინჯი აღებული: საშეჯიბრო, თუ არასაშეჯიბრო პერიოდში და ლაბორატორიის მიერ მოწოდებული ანალიტიკური შედეგები და სხვა ინფორმაცია ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით, ან ანტიდოპინგური წესის დარღვევისათვის, მუხლი 2.1-ის გარდა, დარღვეულ წესს და დარღვევის მტკიცებულებაზე დაფუძნებას.

14.1.4. ანგარიში მდგომარეობის შესახებ

იმ გამოძიებების გარდა, რომლებსაც არ მოჰყოლია ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინება მუხლი 14.1.1-ის შესაბამისად, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა, მუხლი 14.1.2-ზე დაყრდნობით, უნდა რეგულარულად განაახლონ მდგომარეობაზე და შედეგებზე ინფორმაცია ნებისმიერი საქმის გადახედვით ან გარჩევით მუხლების 7, 8 და 13-ის შესაბამისად და დაუყოვნებლივ უნდა მოამზადონ წერილობითი დასაბუთებული ახსნა-განმარტება და მტკიცებულება ამ საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

14.1.5. კონფიდენციალურობა

მიმღებმა ორგანიზაციებმა არ უნდა გაახმაურონ აღნიშნული ინფორმაცია, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ ორგანიზაციაში მყოფი საქმეზე პასუხისმგებელი პირებისათვის (მაგალითად, შესაბამისი პერსონალი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, ეროვნულ ფედერაციაში და გუნდში გუნდურ სპორტში), მანამ, სანამ შედეგების ანალიზზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია არ გამოაქვეყნებს აღნიშნულ ინფორმაციას ან ვერ გამოაქვეყნებს ინფორმაციას, ისე, როგორც ეს განმარტებულია მუხლში 14.3.

კომენტარი მუხლისათვის 14.1.5: თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, თავისი ანტიდოპინგური წესების მიხედვით, უნდა

უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პროცედურა და ნებისმიერი თანამშრომლის და ანტიდოპინგური ორგანიზაციის აგენტის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის არასწორი გასაჯაროების გამოძიება და დისციპლინარული განხილვა.

14.2. ანტიდოპინგური წესის დარღვევის გადაწყვეტილების შეტყობინება და საბუთების მოთხოვნა

14.2.1. ანტიდოპინგური წესის დარღვევისას მუხლების 7.10, 8.4, 10.4, 10.5, 10.6, 10.12.3 ან 13.5-ის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდნენ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის სრულყოფილ მიზეზებს, მათ შორის, თუ აუცილებელია, გამართლებას, თუ რატომ არ იქნა დაკისრებული მაქსიმალური პოტენციური სანქცია. თუ გადაწყვეტილება არ არის ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე თარგმნილი, ანტიდოპინგური ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს ინგლისურად და ფრანგულად გადაწყვეტილების მოკლე შეჯამება და მხარდამჭერი მიზეზები.

14.2.2. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს უფლება, გაასაჩივროს 14.2.1 მუხლის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება, 15 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღებიდან, შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული შემთხვევის სრული პაკეტის ასლი.

14.3. ინფორმაციის გამოქვეყნება

14.3.1. სპორტსმენის ან სხვა პირის ვინაობა, რომელიც ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულია, როგორც ანტიდოპინგური წესების დამრღვევი, შეიძლება საჯაროდ იქნეს გამოქვეყნებული შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენსა და სხვა პირს გაეგზავნება შეტყობინება 7.3, 7.4, 7.5, 7.6 ან 7.7 მუხლების შესაბამისად და ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის 14.1.2 მუხლის შესაბამისად.

14.3.2. არა უგვიანეს ოცი დღისა მას შემდეგ, რაც განისაზღვრა საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილება 13.2.1 და 13.2.2. მუხლების მიხედვით, ან ასეთი აპელაცია იქნა უარყოფილი, ან მე-8 მუხლის შესაბამისად, არ იქნება გამოყენებული მოსმენის უფლება, ან ანტიდოპინგური წესის დარღვევის მტკიცებულება სხვა მხრივ არ იქნა დროულად გასაჩივრებული, შედეგების მართვაზე პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ საჯაროდ უნდა გამოაქ-

ვეყნოს ინფორმაცია მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც უნდა მიუთითოს: სპორტის სახეობა, დარღვეული ანტიდოპინგური წესი, დამრღვევი სპორტსმენის ან სხვა პირის ვინაობა, გამოყენებული აკრძალული ნივთიერება და აკრძალული მეთოდი და დარღვევასთან დაკავშირებული შედეგები. იმავე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, ოცი დღის განმავლობაში, საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს დარღვევასთან დაკავშირებული საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილებები ზემოთ აღწერილი ინფორმაციის ჩათვლით.

14.3.3. თუ განხილვის, ან აპელაციის შემთხვევაში დადასტურდა, რომ სპორტსმენს, ან სხვა პირს, არ დაურღვევია ანტიდოპინგური წესები, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ აღნიშნული სპორტსმენის, ან პირის ნებართვის საფუძველზე. შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაცია უნდა ეცადოს, მოიპოვოს ასეთი ნებართვა. ნებართვის მოპოვების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ეჭვმიტანილი სპორტსმენის ან სხვა პირის ნების შესაბამისად, სრულად, ან სხვაგვარი ფორმით.

14.3.4. გამოქვეყნების მინიმალური ფორმაა შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციის ვებ-გვერდზე საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნება და ინფორმაციის გაჩერება ერთი თვის განმავლობაში ან დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში.

14.3.5. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიას არ აქვთ უფლება, საჯაროდ გააკეთონ კომენტარი მიმდინარე შემთხვევის სპეციფიკურ ფაქტებზე (გარდა პროცესზე და მეცნიერებაზე ზოგადი განმარტებებისა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი გაეცემა საჯარო კომენტარებზე, რომლებიც ეხება სპორტსმენს, სხვა პირს ან მათ წარმომადგენელს.

14.4. სტატისტიკური ანგარიში

ანტიდოპინგური ორგანიზაციები ვალდებული არიან, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნონ ზოგადი სტატისტიკური ანგარიში ანტიდოპინგურ სფეროში თავიანთი მოღვაწეობის შესახებ და ამ ანგარიშის ასლი გაუგზავნონ ADA-ს. ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს ასევე უფლება აქვთ, გამოაქვეყნონ შემონმებულ სპორტსმენტსა და ჩატარებული ტესტირების თარიღები. Vადამ

სულ ცოტა წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს სტატისტიკური ანალიზი, რომელიც შეაჯამებს ანტიდოპინგური ორგანიზაციებიდან და ლაბორატორიებიდან მიღებულ ინფორმაციას.

14.5. დოპინგ კონტროლზე ინფორმაციის შეგროვება

WADA მოწოდებულია, გახდეს დოპინგ კონტროლის მონაცემების და შედეგების, რომელშიც შედის კონკრეტულად საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენების სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის მონაცემები და ადგილსამყოფლის ინფორმაცია ტესტირების მონაცემთა ბაზაში ჩართულ სპორტსმენებზე. ტესტირების კოორდინირებულად ჩატარებისა და სხვადასხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ერთი და იმავე სპორტსმენის განმეორებითი ტესტირების თავიდან აცილების მიზნით, თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ტესტირების ჩატარებისთანავე WADA-ს უნდა მიანდოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია ამ სპორტსმენზე ჩატარებული საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების შესახებ ადამსის ან ვადას მიერ დამტკიცებული სხვა სისტემის საშუალებით. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპორტსმენისთვის, სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, საერთაშორისო ფედერაციისთვის და ნებისმიერი სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს ამ სპორტსმენის ტესტირება.

დოპინგ კონტროლის ტესტირების მონაცემთა და შედეგების მართვის გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზის სწორად გამოყენებისათვის, WADA-მ შექმნა მისი მართვის საშუალება, ADAMS-ი, რომლის დანიშნულებაც არის სპორტსმენტსა შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის შენარჩუნება. სპორტსმენტსთან, მათ პერსონალთან და სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია WADA-ს მიერ. მას საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ზედამხედველობენ კანადის პირადი ინფორმაციის დაცვის ორგანოები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით – კონფიდენციალურობის და პირადი ინფორმაციის დაცვა.

14.6. მონაცემთა დაცვა

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიძლება შეაგროვონ, შეინახონ, გამოიყენონ ან გაახმაურონ სპორტსმენტსთან და

სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია, როდესაც საჭიროა და შეესაბამება მათი ანტიდოპინგური საქმიანობის ჩატარებას კოდექსის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (რომელიც შეიცავს განსაკუთრებით საერთაშორისო სტანდარტს კონფიდენციალურობის და პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ) და მოდის შესაბამისობაში კანონთან.

კომენტარი მუხლისათვის 14.6: აღსანიშნავია, რომ მუხლი 22.2-ის მიხედვით „თითოეულმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობა, რეგულაცია, პოლიტიკა ან ადმინისტრაციული პრაქტიკა თანამშრომლობისათვის და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლისათვის და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის მონაცემთა გაცვლისათვის, როგორც ეს მოცემულია კოდექსში.

მუხლი 15. გადანყვეტილებების შესახებ განაცხადის გაკეთება და აღიარება

15.1. საკითხი, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას მუხლი 13-ის მიხედვით, ტესტირება, მოსმენის შედეგები და ნებისმიერი ხელის მომწერი მხარის სხვა საბოლოო გადანყვეტილება, რომელიც შესაბამისობაში მოდის კოდექსთან და ხელის მომწერი მხარის დაქვემდებარებაშია, უნდა გამოცხადდეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და უნდა აღიარებდეს და ანგარიშს უწევდეს ყველა სხვა ხელის მომწერი მხარე.

კომენტარი მუხლისათვის 15.1: სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების თერაპიული გამოყენების გამონაკლისის დასკვნების აღიარების ხარისხი უნდა განისაზღვროს მუხლი 4.4-ის და თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

15.2. ხელის მომწერი მხარეები აღიარებენ სხვა ორგანოების მიერ მიღებულ ზომებს, რომელთაც არ მიუღიათ კოდექსი, მაგრამ მათი წესები სხვა მხრივ შეესაბამებიან კოდექსს.

კომენტარი მუხლისათვის 15.2: როდესაც იმ ორგანოების გადანყვეტილება, რომლებსაც არ აქვთ მიღებული კოდექსი, ზოგიერთ ასპექტში შეესაბამება კოდექსს და ზოგიერთ ასპექტში არ შეესაბამება მას, ხელის მომწერი მხარეები უნდა შეეცადონ, მიიღონ კოდექსის პრინ-

ციპებთან ჰარმონიული გადანყვეტილება. მაგალითად, კოდექსთან შესაბამისობის პროცესში არა ხელის მომწერმა მხარემ გამოავლინა სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი მის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების არსებობის შედეგად, მაგრამ ამ სპორტსმენს დისკვალიფიკაციის პერიოდი დაეკისრა უფრო მოკლე ვადით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კოდექსში. სპორტსმენის ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გამართოს მოსმენის პროცესი მუხლი 8-ის შესაბამისად, რათა განისაზღვროს, საჭიროა თუ არა დისკვალიფიკაციის უფრო მეტი დროით დაკისრება, როგორც ეს გათვალისწინებულია კოდექსში.)

მუხლი 16. დოპინგ კონტროლი სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე ცხოველებისათვის

16.1. სპორტის ნებისმიერ სახეობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცხოველები, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეიმუშაოს და დამტკიცოს შეჯიბრებაში მონაწილე ცხოველების დოპინგზე შემოწმების წესები. ასეთი წესები უნდა შეიცავდეს აკრძალულ სიას, ტესტირების პროცედურის აღწერას და სინჯების აღებისათვის აკრედიტირებული ლაბორატორიების სიას.

16.2. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევების გამოვლენას, შედეგების დამუშავებას, სამართლიანი მოსმენების ჩატარებას, გადანყვეტილებების მიღებასა და აპელაციის შეტანასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და დამტკიცონ წესები, რომლებიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს კოდექსის 1, 2, 3, 9, 10, 11, 13 და 17 მუხლებით გათვალისწინებულ წესებს.

მუხლი 17. ხანდაზმულობის ვადა

ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით არ შეიძლება დაიწყოს რაიმე მოქმედება სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ, თუ ეს პიროვნება შემწინეული იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, როგორც ამას ითვალისწინებს მუხლი 7, ან შეტყობინების განზრახ გადაცდენის შემთხვევაში დარღვევის დამტკიცებიდან ათი წლის განმავლობაში.

ნაწილი მეორე

განათლება და კვლევა

მუხლი 18. განათლება

18.1. ძირითადი პრინციპი და პირველადი მიზანი

საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად პრინციპად, როგორც ეს აღწერილია კოდექსის შესავალში, უნდა იქცეს დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული სულის შენარჩუნება. ასეთი პროგრამების მთავარი ამოცანაა სპორტსმენების მიერ განზრახ, თუ განზრახვის გარეშე, აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების მიღების პრევენცია.

საინფორმაციო პროგრამები უნდა უზრუნველყოფდნენ ძირითად ინფორმაციას სპორტსმენებისთვის, როგორც ეს არის აღწერილი მუხლში 18.2. საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს პრევენციაზე. პრევენციული პროგრამები დაფუძნებული უნდა იყოს ღირებულებებზე და განეკუთვნებოდეს სპორტსმენებსა და სპორტსმენტა დამხმარე პერსონალს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, სკოლებში სასწავლო პროგრამების ჩართვით.

თითოეულმა ხელის მომწერმა მხარემ, სხვა მხარეებთან თანამშრომლობით, უნდა დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და კონტროლი გაუწიოს საინფორმაციო, საგანმანათლებლო და პრევენციული პროგრამების ჩატარებას დოპინგისგან თავისუფალი სპორტისთვის.

18.2. პროგრამები და საქმიანობა

აღნიშნული პროგრამები მათში მონაწილე პირებს დროულად და ზუსტად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- აკრძალულ სიაში შესული ნივთიერებები და მეთოდები;
- ანტიდოპინგური წესების დარღვევები;
- დოპინგის შედეგები, მათ შორის: სანქციები, ჯანმრთელობა და სოციალური შედეგები;
- დოპინგ-კონტროლის პროცედურები;
- სპორტსმენტა და მათი დამხმარე პერსონალის უფლებები

და მოვალეობები;

- თერაპიული გამოყენების ნებართვები;
- საკვებ დანამატებთან დაკავშირებული რისკები;
- დოპინგის ნეგატიური გავლენა სპორტულ სულზე;
- გამოქვეყნებული ადგილსამყოფელი მოთხოვნები.

პროგრამები მონოდედებული უნდა იყოს, პროპაგანდა გაუწიონ სპორტულ სულს და შექმნან ჯანმრთელი, დოპინგისაგან თავისუფალი გარემო, მოახდინონ გრძელვადიანი ზეგავლენა სპორტსმენებზე და სხვა პერსონალზე.

პრევენციული პროგრამები მიმართული უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდებისადმი, მათი განვითარების საფეხურიდან გამომდინარე, უნდა იყენებდნენ სკოლებში, სპორტულ კლუბებში, მშობლებთან, ზრდასრულ სპორტსმენებთან, სპორტის სფეროში მოღვაწე თანამდებობის პირებთან, მწვრთნელებთან, სამედიცინო პერსონალთან და მედიასთან.

სპორტსმენის დამხმარე პერსონალმა სპორტსმენს უნდა ასწავლოს და ჩაუტაროს კონსულტაციები კოდექსში აღიარებული ანტიდოპინგური წესების და პოლიტიკის შესახებ.

ხელის მომწერმა მხარეებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი სპორტსმენების და მათი დამხმარე პერსონალის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამებში.

კომენტარი მუხლისათვის 18.2: ანტიდოპინგური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო დონის სპორტსმენებისთვის, არამედ უნდა მოიცავდეს ყველა იმ სპორტსმენს, მათ შორის ახალგაზრდებსაც, რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერი ხელის მომწერი, მთავრობის ან კოდექსის მიმღები სხვა ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მიმდინარე სპორტულ ღონისძიებებში.

ეს პრინციპები შეესაბამება UNESCO-ს კონვენციას განათლებისა და წვრთნასთან დაკავშირებით.)

18.3. ქცევის პროფესიული კოდექსები

ყველა ხელის მომწერმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს ერთმანეთთან და სახელმწიფოებთან იმ მიზნით, რომ წაახალისონ კომპეტენტური პროფესიული ასოციაციები და დაწესებულებები, ანტიდოპინგური საქმიანობის სფეროში შექმნან და დანერ-

გონ შესაბამისი ქცევის კოდექსები და პრეცედენტები. ასევე შემოიღონ სანქციები კოდექსთან შესაბამისობაში.

18.4 კოორდინაცია და თანამშრომლობა

WADA-მ უნდა შეასრულოს ცენტრალური მაკოორდინირებული ორგანოს როლი WADA-ს ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო წყაროების და/ან პროგრამებისთვის.

ხელის მომწერი და მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მთავრობებთან, რათა მოახდინონ ანტიდოპინგური პროგრამების და განათლების კოორდინაცია გამოცდილების გაზიარების და ამ პროგრამების ეფექტიანობის ცოდნის მიზნით.

მუხლი 19. კვლევები

19.1. ანტიდოპინგური კვლევების მიზანი და ამოცანები

ანტიდოპინგური კვლევების მიზანია, შეიმუშაოს და განახორციელოს ეფექტიანი საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

ყველა ხელის მომწერი მხარე და სახელმწიფო ვალდებულია, ყოველმხრივად შეუწყოს ხელი ასეთ გამოკვლევებს და ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიღებული შედეგები გამოყენებული იქნეს კოდექსით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

19.2. კვლევის ტიპები

შესაბამისი ანტიდოპინგური კვლევა შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, სოციალურ, იურიდიულ, ქცევით და ეთიკურ სწავლებებს, სამედიცინო, ანალიტიკურ და ფიზიოლოგიურ კვლევებთან ერთად. აგრეთვე, კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს კვლევები მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ვარჯიშების პროგრამებზე, ადამიანის, როგორც სუბიექტის, მთლიანობის გათვალისწინებით, ასევე უნდა ჩატარდეს კვლევები სახიფათო ნივთიერებების ან მეთოდების გამოყენების შედეგების მეცნიერულ დამუშავებაზე.

19.3. კვლევების კოორდინაცია და შედეგების გაზიარება

WADA-ს მეშვეობით ანტიდოპინგური კვლევების ჩატარების კოორდინაცია მნიშვნელოვანია. ინტელექტუალური საკუთრების სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად, ანტიდოპინგური კვლევის შედეგების ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს WADA-ში და სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება, მიენოდოს შესაბამის ხელისმომწერ მხარეებსა და სპორტსმენებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

19.4. კვლევის ჩატარების პრაქტიკა

ანტიდოპინგური კვლევები უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ეთიკური პრაქტიკის შესაბამისად.

19.5. კვლევები აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების გამოყენების დროს

კვლევების დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების სპორტსმენებისთვის დანიშნა.

19.6. შედეგების ბოროტად გამოყენება

ადექვატური ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა არ მოხდეს ანტიდოპინგური გამოკვლევებისას მიღებული შედეგებით ბოროტად სარგებლობა და მათი დოპინგისთვის გამოყენება.

ნაწილი მესამე

როლი და პასუხისმგებლობები

კომენტარი: ხელის მომწერი მხარეების და სპორტსმენების და სხვა პირების პასუხისმგებლობა განიხილება კოდექსის სხვადასხვა მუხლში და ამ ნაწილში აღნიშნული პასუხისმგებლობები ემატება იმ პასუხისმგებლობებს.

ყველა ხელის მომწერი მხარე უნდა მოქმედებდეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, რომ უზრუნველყოს სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება და კოდექსის მიმართ პატივისცემა.

მუხლი 20. ხელის მომწერ მხარეთა დამატებითი როლი და პასუხისმგებლობები

მუხლი 20.1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.1.1. კოდექსის შესაბამისად, ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.1.2. ოლიმპიური მოძრაობის ფარგლებში საერთაშორისო ფედერაციებისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობის პირობად გახადოს კოდექსით მიღებული აღნიშნული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.1.3. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას სუბსიდირებაზე უარი იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.1.4. 23.5 მუხლის გათვალისწინებით მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.1.5. სანქცირებული გახადოს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ სამეთვალყურეო პროგრამებს.

20.1.6. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, მოცემული

წესების სავალდებულო შესრულება, როგორც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აუცილებელი პირობა.

20.1.7. აქტიურად დევნოს მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.1.8. მიიღოს განაცხადები ოლიმპიადის ჩატარებაზე მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, რომელთა მთავრობამაც მიიღო, დაამტკიცა, დაამოწმა ან დაეთანხმა UNESCO-ს კონვენციას და რომელთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარა-ოლიმპიური კომიტეტი და ანტიდოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან კოდექსის შესაბამისობაში.

20.1.9. პროპაგანდა გაუწიოს ანტიდოპინგურ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.1.10. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.2. საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.2.1. კოდექსის შესაბამისად, პარაოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად, გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.2.2. საერთაშორისო ფედერაციებისათვის საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტში წევრობის პირობებად გახადოს აღნიშნული კოდექსით მიღებული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.2.3. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.2.4. 23.5 მუხლის გათვალისწინებით, მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.2.5. სანქცირებული გახადოს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ სამეთვალყურეო პროგრამებს.

20.2.6. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ

თამაშებში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, როგორც პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აუცილებელი პირობა.

20.2.7. აქტიურად დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.2.8. პროპაგანდა გაუწიოს ანტიდოპინგურ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.2.9. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.3. საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა

20.3.1. აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.3.2. მათი ეროვნული ორგანიზაციებისათვის და სხვა წევრებისთვის საერთაშორისო ფედერაციაში წევრობის პირობად გახადოს პოლიტიკის, წესების და პროგრამების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

20.3.3. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ფედერაციის ან სხვა წევრი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, ანტიდოპინგური წესების სავალდებულო შესრულება შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.3.4. მოითხოვოს სპორტსმენისაგან, რომლებიც არ არიან საერთაშორისო ფედერაციის ან მასში შემავალი ეროვნული ორგანიზაციის მუდმივი წევრები, დაიცვან ყველა მოთხოვნა სპორტსმენის ადგილსამყოფლის ზუსტი ინფორმაციის დროულად მონოდების შესახებ, მოცემული საერთაშორისო ფედერაციის ან მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზატორების მოთხოვნების შესაბამისად, მისთვის სინჯების აღების მიზნით.

კომენტარი მუხლისათვის 20.3.4: მაგალითად, პროფესიონალური ლიგის სპორტსმენების ჩათვლით.

20.3.5. მოსთხოვოს მის წევრ ყველა ეროვნულ ფედერაციას, დაადგინოს წესები, რომლებიც აკისრებს ყველა სპორტსმენს და მათ დამხმარე პერსონალს, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნული ფედერაციის ან სხვა მისი წევრი ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, ანტიდოპინგური წესების სავალდებულო შესრულება და ანტიდოპინგური ორგანიზაციის შედეგების მართვის უფლებამოსილების აღიარებას, რათა მიიღონ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

20.3.6. მოეთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს, მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით თავიანთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას და ითანამშრომლონ გამოძიების პროცესში ნებისმიერ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს უფლება, ჩაატაროს გამოძიება.

20.3.7. 23.5 მუხლის გათვალისწინებით, მიიღოს სათანადო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.3.8. საერთაშორისო სპორტული ღონისძიების დროს სანქცირებული გახადოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამა და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

20.3.9. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე ზოგიერთ ან ყველა სპორტულ ორგანიზაციას, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.3.10. ენერგიულად დევნოს მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები, რათა უზრუნველყოს შედეგების სწორი აღსრულება და სპორტსმენის დამხმარე პერსონალზე ჩაატაროს ავტომატური გამოძიება ნებისმიერი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევაში, როდესაც პროცესში ჩართულია მცირეწლოვანი ან სპორტსმენის დამხმარე პირი, რომელიც უზრუნველყოფდა ერთზე მეტი სპორტსმენის მხარდაჭერას, რომლებიც, თავის მხრივ, შემჩნეულნი იქნენ ანტიდოპინგური წესების დარღვევაში.

20.3.11. გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მხოლოდ იმ ქვეყნებს მიანიჭოს უფლება, ჩაატარონ მსოფლიო ჩემპიონატები, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს, მიიღეს, დაამოწმეს, ან აღიარეს UNESCO-ს კონვენცია და რომელთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან შესაბამისობაში კოდექსთან.

20.3.12. ხელი შეუწყოს ანტიდოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის, მოეთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს, ჩაატარონ ანტიდოპინგური საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კოორდინაციაში.

20.3.13. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.3.14. სრულად ითანამშრომლოს ვადასთან, მის მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში მუხლი 20.7.10-ის შესაბამისად.

20.3.15. ადგილზე დისციპლინური წესების არსებობა და მოეთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს, ჰქონდეთ დისციპლინური წესები, რათა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს ან აკრძალულ მეთოდებს საპატიო მიზეზის გარეშე, არ დაუშვან სპორტსმენებთან საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ფედერაციის დაქვემდებარების ფარგლებში.

20.4. ეროვნული ოლიმპიური და ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა

20.4.1. უზრუნველყონ თავიანთი ანტიდოპინგური პოლიტიკის და წესების შესაბამისობა კოდექსთან.

20.4.2. ეროვნული ფედერაციებისათვის, კოდექსში მიღებული ანტიდოპინგური პოლიტიკის და წესების აღიარება გახადოს ნევრობის ან აღიარების პირობად.

20.4.3. პატივი სცეს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის დამოუკიდებლობას (ავტონომიას) ქვეყანაში და არ ჩაერიოს მის გადანყვეტილებებში და საქმიანობაში.

20.4.4. მოეთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს, მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით თავიანთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას და ითანამშრომლოს მათთან.

ნიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას და ითანამშრომლოს გამოძიების პროცესში ნებისმიერ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს უფლება, ჩაატაროს გამოძიება.

20.4.5. ოლიმპიურ თამაშებში და პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პირობად, როგორც მინიმუმი, უნდა მოეთხოვოს სპორტსმენებს, რომლებიც არ არიან ეროვნული ფედერაციის მუდმივი წევრები, იყვნენ ხელმისაწვდომი სინჯების შეგროვებისთვის მათი ადგილსამყოფლის ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფით, როგორც ეს მოთხოვნილია ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტში, როგორც კი სპორტსმენი წარმოდგენილი იქნება გრძელ სიაში ან დამატებით შესულ დოკუმენტში ოლიმპიური თამაშების და პარაოლიმპიურ თამაშებთან კავშირში.

20.4.6. ითანამშრომლოს თავის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან და იმუშაოს მთავრობასთან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის დაარსების მიზნით, თუ ასეთი ჯერ არ არსებობს, იმ პირობით, რომ შუალედურ პერიოდში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ დანიშნული ორგანო შეასრულებს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოვალეობებს.

20.4.6.1. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არიან რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის წევრები, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მთავრობასთან თანამშრომლობით უნდა შეასრულონ აქტიური და მხარდამჭერი როლი შესაბამის რეგიონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.4.7. დაავალოს მის წევრ ყველა ეროვნულ ფედერაციას, მოეთხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფედერაციის, ან მისი წევრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.4.8. სადისკვალიფიკაციო პერიოდში ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, სპორტსმენს ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალს ნაწილობრივ ან მთლიანად უარი ეთქვას სუბ-

სიდირებაზე.

20.4.9. ნაწილობრივ ან მთლიანად უარი ეთქვას სუბსიდირებაზე იმ ეროვნულ ფედერაციას, რომელთა წესები არ შეესაბამება კოდექსს.

20.4.10. ენერგიულად დევნოს მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.4.11. ხელი შეუწყოს ანტიდოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის მოეთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს, ჩაატარონ ანტიდოპინგური საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კოორდინაციაში.

20.4.12. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.4.13. ადგილზე დისციპლინური წესების არსებობა, რათა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს ან აკრძალულ მეთოდებს, საპატიო მიზეზის გარეშე არ დაუშვან სპორტსმენებთან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის დაქვემდებარების ფარგლებში.

20.5. ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობები

20.5.1. იყენენ დამოუკიდებლობის გადამწყვეტილებების მიღებისას და თავიანთ საქმიანობაში.

20.5.2. კოდექსის შესაბამისად მიიღონ და გაატარონ ანტიდოპინგური წესები და პოლიტიკა.

20.5.3. ითანამშრომლონ შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.5.4. ხელი შეუწყონ ეროვნული ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის საპასუხო ტესტირებების ჩატარებას.

20.5.5. ხელი შეუწყონ ანტიდოპინგური კვლევების ჩატარებას.

20.5.6. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, სადისკვალიფიკაციო პერიოდში ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, სპორტსმენს ან სპორტსმენის პერსონალს ნაწილობრივ ან

მთლიანად ეთქვას უარი სუბსიდირებაზე.

20.5.7. დევნოს მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები და უზრუნველყონ შედეგების სათანადო აღსრულება.

20.5.8. ხელი შეუწყოს ანტიდოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.5.9. ჩაატარონ ავტომატური გამოძიება მის იურისდიქციაში მყოფი სპორტსმენის დამხმარე პერსონალზე, მცირეწლოვანის მიერ ნებისმიერი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევაში და ჩაატარონ ავტომატური გამოძიება ყველა სპორტსმენის დამხმარე პერსონალზე, რომელიც მუშაობს ერთზე მეტ სპორტსმენტთან, მის მიერ ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემთხვევაში.

20.5.10. სრულად ითანამშრომლოს ვადასთან, მის მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში მუხლი 20.7.10-ის შესაბამისად.

კომენტარი მუხლისათვის 20.5: ზოგიერთ შედარებით პატარა ქვეყანაში ამ მუხლში აღნიშნული პასუხისმგებლობის ნაწილი შეიძლება მათი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაეცეს რეგიონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

20.6. მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორების როლი და პასუხისმგებლობა

20.6.1. კოდექსის შესაბამისად მიიღონ და გაატარონ ანტიდოპინგური პოლიტიკა და წესები თავიანთი ღონისძიებების გატარების დროს.

20.6.2. 23.5 მუხლის გათვალისწინებით მიიღონ საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.6.3. სანქცირებული გახადონ დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები და ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას.

20.6.4. მოითხოვონ ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრში, როგორც მწვრთნელი, მენეჯერი, გუნდის წევრი, ოფიციალური პირი, მედიკოსი თუ პარამედიკოსი, მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, როგორც შეჯიბრში მონაწილეობის

აუცილებელ პირობა.

20.6.5. ენერგიულად დევნონ მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.6.6. გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაეცეს ღონისძიებების ჩატარების უფლება მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს, მიიღეს, დაამოწმეს, ან აღიარეს UNESCO-ს კონვენცია და რომლის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან შესაბამისობაში კოდექსთან.

20.6.7. ხელი შეუწყონ ანტიდოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.6.8. ითანამშრომლონ შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.7. WADA-ს როლი და პასუხისმგებლობა

20.7.1. კოდექსის შესაბამისად მიიღოს და გაატაროს პოლიტიკა და პროცედურები.

20.7.2. კონტროლი გაუწიოს ხელის მომწერი მხარეების მიერ კოდექსის შესრულებას.

20.7.3. მიიღოს კოდექსის წესების დანერგვისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტები.

20.7.4. მოახდინოს ლაბორატორიების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია ან დაავალოს სხვებს სინჯების ანალიზის ჩატარება.

20.7.5. შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს საუკეთესო პრაქტიკის გაიდლაინები და მოდელები.

20.7.6. ხელი შეუწყოს, განახორციელოს, გააკონტროლოს, დააფინანსოს და კოორდინირება გაუწიოს ანტიდოპინგურ კვლევებს და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.7.7. შექმნას და განახორციელოს ეფექტიანი დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამა და სხვა ტიპის ღონისძიების საკონსულტაციო პროგრამები.

20.7.8. განახორციელოს, გამონაკლის შემთხვევებში და ვადას

გენერალური დირექტორის მითითებით, დოპინგ კონტროლი, თავისი ინიციატივით ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების თხოვნით, და ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან, რომელშიც შედის, მაგრამ არ იზღუდება მოთხოვნების და კვლევების ხელის შეწყობა.

კომენტარი მუხლისათვის 20.7.8: ვადა არ წარმოადგენს ტესტირების ჩამტარებელ სააგენტოს, მაგრამ იგი იტოვებს უფლებას, გამონაკლის შემთხვევებში ჩაატაროს საკუთარი ტესტირება, როდესაც შესაბამისმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ვერ გადამწყობა პრობლემები დამაკმაყოფილებლად.

20.7.9. საერთაშორისო ფედერაციებთან, ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან და მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზატორებთან კონსულტაციის შემდეგ, ტესტირებისა და სინჯების ანალიზის პროგრამის დამტკიცება.

20.7.10. ანტიდოპინგური წესების გამოძიების ან დოპინგთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის თავისი ინიციატივით განხორციელება.

მუხლი 21. სპორტსმენებისა და სხვა პირების დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა

21.1. სპორტსმენის როლი და პასუხისმგებლობა

21.1.1. იცნობდეს და იცავდეს მოცემული კოდექსით გათვალისწინებულ ანტიდოპინგურ პოლიტიკას და წესებს.

21.1.2. იყოს ყოველთვის ხელმისაწვდომი სინჯების აღებისათვის.

კომენტარი მუხლისათვის 21.1.2: სპორტსმენის უფლებების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გათვალისწინებით, ლეგიტიმური ანტიდოპინგური მოსაზრებები ზოგჯერ მოითხოვს სინჯების აღებას გვიან ღამით ან დილით ადრე. მაგალითად, ცნობილია, რომ ზოგიერთი სპორტსმენი იყენებს ერითროპოეტინის დაბალ დოზებს სწორედ ამ საათებში, რადგან დილით უკვე არ არის შესაძლებელი მისი გამომჟღავნება.

21.1.3. პასუხისმგებლობა აიღოს ანტიდოპინგის კონტექსტში,

თუ რას იღებენ ან იყენებენ.

21.1.4. აცნობონ სამედიცინო პერსონალს თავიანთი ვალდებულების შესახებ, რომ არ გამოიყენონ აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები და აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მათ მიერ მიღებული ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება არ ეწინააღმდეგება კოდექსში მოცემულ ანტიდოპინგურ პოლიტიკას და წესებს.

21.1.5. არა ხელის მომწერი მხარის მიერ მათი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების და საერთაშორისო ფედერაციების ნებისმიერი გადაწყვეტილების გამჟღავნება, რომ სპორტსმენმა დაარღვია ანტიდოპინგური წესები წინა ათი წლის განმავლობაში.

21.1.6. ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ანტიდოპინგური წესების დარღვევის კვლევის დროს.

კომენტარი მუხლისათვის 21.1.6: თუ თანამშრომლობა არ შედგა, ეს არ მიიჩნევა კოდექსის მიხედვით ანტიდოპინგური წესების დარღვევად, მაგრამ შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარეების წესებით დისციპლინარული ქმედების საფუძველი.)

21.2. სპორტსმენის პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა

21.2.1. იცნობდეს მოცემული კოდექსით გათვალისწინებულ ანტიდოპინგურ წესებს და იცავდეს მათ.

21.2.2. ხელი შეუწყოს სპორტსმენების ტესტირების პროგრამების ჩატარებას.

21.2.3. გამოიყენოს თავისი გავლენა სპორტსმენებზე, ანტიდოპინგურ ფასეულობათა პროპაგანდის მიზნით.

21.2.4. არა ხელის მომწერი მხარის მიერ მისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის და საერთაშორისო ფედერაციისთვის გადაწყვეტილების გამჟღავნება, რომ მან ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა წინა ათი წლის განმავლობაში.

21.2.5. ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოკვლევასთან დაკავშირებით.

კომენტარი მუხლისათვის 21.2.5: თუ თანამშრომლობა არ შედგა, ეს არ მიიჩნევა ანტიდოპინგური წესების დარღვევად კოდექსის მიხედვით, მაგრამ ამან შეიძლება მისცეს საფუძველი დისციპ-

ლინარული ქმედებისათვის დაინტერესებული მხარეების წესების მიხედვით.

21.2.6. სპორტსმენის დამხმარე პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს ან იქონიოს ნებისმიერი აკრძალული ნივთიერება და აკრძალული მეთოდი საფუძველიანი გამართლების გარეშე.

კომენტარი მუხლისათვის 21.2.6: იმ სიტუაციებში, როდესაც გამოიყენება ან პირადი მფლობელობა აკრძალული ნივთიერებებისა ან მეთოდებისა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ გამართლების გარეშე არ მიიჩნევა ანტიდოპინგური წესების დარღვევად კოდექსის მიხედვით, ეს უნდა იყოს სხვა სპორტული დისციპლინარული წესების კვლევის საგანი. მწვრთნელები და სპორტსმენის სხვა დამხმარე პერსონალი ხშირად ასრულებენ მოდელის როლს. მათი ქცევა არ უნდა იყოს ისეთი, რომ წაახალისოს სპორტსმენი, გამოიყენოს დოპინგი.

21.3. რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა.

21.3.1. უზრუნველყოფილი იყოს, რომ წევრმა ქვეყნებმა მიიღონ და განახორციელონ წესები, პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც იმყოფებიან კოდექსთან შესაბამისობაში.

21.3.2. განვერიანების პირობად უნდა მოთხოვნილი იქნეს, რომ წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერონ ოფიციალურ რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის წევრობის ფორმას, რომელიც ნათლად ასახავს ანტიდოპინგური პასუხისმგებლობის დელეგირებას რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციისადმი.

21.3.3. სხვა შესაბამის ეროვნულ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

21.3.4. რეციპროკული ტესტირების ნახალისება ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებსა და რეგიონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის.

21.3.5. ანტიდოპინგური კვლევებისთვის ხელის შეწყობა.

21.3.6. ანტიდოპინგური განათლების ხელის შეწყობა.

მუხლი 22. მთავრობების ჩართულობა

თითოეული მთავრობა ადასტურებს კოდექსთან თავის დამოკიდებულებას კოპენჰაგენის 2003 წლის 3 მარტის სპორტში დოპინგის გამოყენების საწინააღმდეგო დეკლარაციაზე ხელის მოწერით და UNESCO-ს კონვენციის რატიფიკაციით, აღიარებით ან მასზე მიერთებით. შემდგომი მუხლები ასახავენ მთავრობებისგან მოსალოდნელ ქმედებებს.

22.1. თითოეული მთავრობა განახორციელებს UNESCO-ს კონვენციასთან შესაბამისობაში ყოფნისათვის აუცილებელ ყველა ქმედებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას.

22.2. თითოეული მთავრობა შეიმუშავებს კანონმდებლობას, რეგულაციებს, პოლიტიკას და ადმინისტრაციულ პრაქტიკას ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლისთვის, ასევე ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის მონაცემთა გაცვლისთვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

22.3. თითოეული მთავრობა ნაახალისებს თანამშრომლობას ერთი მხრივ ყველა საჯარო სამსახურსა და სააგენტოს, და მეორე მხრივ, ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის, ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის იმ ინფორმაციის დროული გაზიარებისთვის, რომელიც სასარგებლო იქნება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას.

22.4. თითოეული მთავრობა აღიარებს არბიტრაჟს, როგორც დოპინგთან დაკავშირებული უთანხმოებების გარკვევის უპირატეს საშუალებას, ადამიანის და ფუნდამენტური უფლებების და შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის გათვალისწინებით.

22.5. თითოეული იმ ქვეყნის მთავრობა, სადაც არ არსებობს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, ითანამშრომლებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ამგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის.

22.6. თითოეული მთავრობა პატივს სცემს თავისი ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის დამოუკიდებლობას და არ ერევა მის ოპერაციულ გადანყვეტილებებსა და აქტივობებში.

22.7. 22.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები მთავრობამ უნდა შეასრულოს არა უგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა. ამ მუხლის სხვა პუნქტებით გათვალისწინებული პირობები ამ დროისთვის უკვე დაკმაყოფილებული უნდა იყოს.

22.8. მთავრობის უარს UNESCO-ს კონვენციის რატიფიკაციაზე, აღიარებაზე ან მასთან მიერთებაზე, აგრეთვე შემდგომ ეტაპზე კონვენციის მოთხოვნების შეუსრულებლობას, შეიძლება მოჰყვეს უარი შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადის მიღებაზე, როგორც ეს განსაზღვრულია 20.1.8, 20.3.11 და 20.6.6 მუხლებით, ასევე სხვა დამატებითი შედეგები, მაგ. WADA-ში ოფისებისა და პოზიციების ჩამორთმევა, ქვეყნის კანდიდატურის მიუღებლობა ნებისმიერი საერთაშორისო სპორტული ღონისძიების მასპინძლობაზე, საერთაშორისო ღონისძიებების გაუქმება, სიმბოლური სანქციები და ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

კომენტარი მუხლისათვის 22: მთავრობების უმრავლესობა არ შეიძლება წარმოადგენდეს მხარეს ან იყოს შეზოგადი ისეთი კერძო არასამთავრობო აქტივით, როგორც არის ეს კოდექსი. სწორედ ამ მიზეზით, მთავრობებს მოეთხოვებათ ხელის მოწერა არა კოდექსზე, არამედ კოპენჰაგენის დეკლარაციაზე, ასევე UNESCO-ს კონვენციის რატიფიკაცია, აღიარება ან მასთან მიერთება. მართალია, აღიარების მექანიზმები შეიძლება განსხვავდებოდეს, დოპინგის დამარცხების მცდელობა კოორდინირებული და ჰარმონიზებული პროგრამით, რომელიც ასახულია კოდექსში, მეტწილად წარმოადგენს სპორტული მოძრაობისა და მთავრობების საერთო ძალისხმევას.

ამ მუხლში ნათლად არის გადმოცემული ხელის მომწერ მხარეთა მოლოდინები მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით. თუმცა, ეს მხოლოდ «მოლოდინებია», რადგან მთავრობებს მხოლოდ UNESCO-ს კონვენციის მოთხოვნების შესრულება «ევალებათ».

ნაწილი მეოთხე

კოდექსის მიღება, შესაბამისობა, ცვლილებები და ინტერპრეტაცია

მუხლი 23. მიღება, მოთხოვნების შესრულება და მოდიფიკაცია

23.1. კოდექსის მიღება

23.1.1. კოდექსი უნდა მიიღოს შემდეგმა ხელის მომწერმა მხარეებმა: WADA, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტები, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები. ამ სტრუქტურების მიერ კოდექსის მიღება უნდა მოხდეს მიღების დეკლარაციაზე ხელის მოწერის გზით თითოეული სტრუქტურის მმართველი ორგანოს დასტურის შემდგომ.

კომენტარი მუხლისათვის 23.1.1: თითოეულმა მხარემ ცალ-ცალკე უნდა მოაწეროს ხელი მიღების დეკლარაციის სტანდარტული ფორმის ერთმანეთის იდენტურ ასლებს და გაგზავნოს ისინი WADA-ში. კოდექსის მიღება ორგანიზაციის მიერ მოხდება მისი ორგანული დოკუმენტაციით განსაზღვრული წესის თანახმად, მაგ. საერთაშორისო ფედერაციის შემთხვევაში – მისი კონგრესის მიერ, WADA-ს შემთხვევაში – დამფუძნებელი საბჭოს მიერ.

23.1.2. სხვა სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ იმყოფებიან ხელის მომწერ მხარეთა იურისდიქციის ქვეშ, WADA-ს მონვევით აგრეთვე შეუძლიათ გახდნენ კოდექსზე ხელის მომწერნი მისი მიღების გზით.

კომენტარი მუხლისათვის 23.1.2: იმ პროფესიულ ლიგებს, რომლებიც ამჟამად არც ერთი მთავრობის ან საერთაშორისო ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებიან, ასევე მოუწოდებენ კოდექსის მიღებისკენ.

23.1.3. კოდექსის მიმღები ორგანიზაციების სია გასაჯაროვდება WADA-ს მიერ.

23.2. კოდექსის დანერგვა

23.2.1. კოდექსზე ხელის მომწერმა მხარეებმა კოდექსის დებულებები უნდა განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკის, კანონმდებლობის, წესების ან რეგულაციების გატარების გზით თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად და თავიანთი პასუხისმგებლობის სფეროს ფარგლებში.

23.2.2. ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები, რამდენადაც ისინი შეესაბამება ანტიდოპინგური ორგანიზაციის საქმიანობის არეალს, ხელის მომწერი მხარეების მიერ გადმოღებული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე (ნებადართულია უმნიშვნელო ენობრივი ცვლილებები, რომლებიც შეეხება ორგანიზაციის სახელწოდებას, სპორტის სახეობას, დანომვრას და ა.შ.):

მუხლი 1 (დოპინგის განმარტება)

მუხლი 2 (ანტიდოპინგური წესების დარღვევა)

მუხლი 3 (დოპინგის მტკიცება)

მუხლი 4.2.2 (სპეციფიკური ნივთიერებები)

მუხლი 4.3.3 (WADA-ს მიერ განსაზღვრული აკრძალული სია)

მუხლი 7.11 (სპორტიდან წასვლა)

მუხლი 9 (ინდივიდუალური შედეგების ავტომატური გაუქმება)

მუხლი 10 (სანქციები ცალკეულ პირებზე)

მუხლი 11 (შედეგები გუნდებისთვის)

მუხლი 13 (აპელაციები) 13.2.2, 13.6 და 13.7 მუხლების გამოკლებით

მუხლი 15.1 (გადაწყვეტილებათა ცნობა)

მუხლი 17 (ხანდაზმულობის ვადა)

მუხლი 24 (კოდექსის ინტერპრეტაცია)

დანართი 1 (განმარტებები)

ხელის მომწერი მხარის მიერ წესებში არ უნდა იქნეს შეტანილი არც ერთი ისეთი დამატება, რომელიც ცვლის აღნიშნული მუხლების შინაარსს. ხელის მომწერი მხარის წესებში ასახული უნდა იყოს კოდექსის კომენტარებიც და მათ უნდა მიენიჭოს ისეთივე სტატუსი, როგორც კოდექსის ძირითად ტექსტს.

კომენტარი მუხლისათვის 23.2.2: კოდექსი არ უკრძალავს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, მიიღოს და განახორციელოს საკუთარი სპეციფიკური დისციპლინური წესები სპორტსმენთა დამხმარე

პერსონალის მიმართ, დოპინგთან დაკავშირებულ ქცევასთან მიმართებით, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს კოდექსით გათვალისწინებულ ანტიდოპინგური წესის დარღვევას. მაგალითად, ეროვნულმა ან საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება უარი უთხრას მწვრთნელს ლიცენზიის გაგრძელებაზე, თუ აღმოჩნდა, რომ ამ მწვრთნელის ზედამხედველობის ქვეშ მყოფმა არაერთმა სპორტსმენმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესის დარღვევა.

23.2.3. კოდექსის დანერგვის პროცესში, ხელის მომწერი მხარეები უნდა ისწრაფოდნენ, გამოიყენონ WADA-ს მიერ რეკომენდებული მუშაობის ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშები.

23.3. ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელება

ხელის მომწერმა მხარეებმა საკმარისი რესურსები უნდა გამოიყონ ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელებისთვის ყველა იმ სფეროში, რომელთაც მოიცავს კოდექსი და საერთაშორისო სტანდარტები.

23.4. კოდექსთან შესაბამისობა

მხარეები არ ჩაითვლებიან კოდექსთან შესაბამისობაში მყოფად მანამ, სანამ არ მიიღებენ და დანერგავენ კოდექსს 23.1, 23.2 და 23.3 მუხლების თანახმად. ასევე, ისინი აღარ ჩაითვლებიან კოდექსთან შესაბამისობაში მყოფად კოდექსზე ხელმოწერის გაუქმების შემთხვევაში.

23.5. კოდექსთან და ESCO-ს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი

23.5.1. მონიტორინგი კოდექსთან შესაბამისობაზე ხორციელდება უშუალოდ WADA-ს მიერ ან WADA-სთან შეთანხმების საფუძველზე. ანტიდოპინგური პროგრამების შესაბამისობის მონიტორინგი 2.3.3 მუხლის მოთხოვნებთან ხდება WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. UNESCO-ს კონვენციაში ასახულ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგი ხდება კონვენციაზე ხელის მომწერი მხარეების მიერ შეთანხმებული წესის მიხედვით სახელმწიფოებთან და WADA-სთან კონსულტაციის საფუძველზე.

WADA-მ უნდა ურჩიოს მთავრობებს, ხელი შეუწყონ ხელის მომწერ მხარეებს კოდექსის დანერგვაში და უნდა ურჩიოს ხელის მომწერ მხარეებს, წაახალისონ მთავრობების მიერ UNESCO-ს კონვენციის რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება და მას-

თან მიერთება.

23.5.2. მონიტორინგის პროცესის ხელშეწყობისთვის, თითოეულმა ხელის მომწერმა მხარემ WADA-ს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კოდექსთან შესაბამისობის შესახებ, WADA-ს დამფუძნებელი საბჭოს მოთხოვნების შესაბამისად, ან განმარტოს შეუსაბამობის მიზეზები.

23.5.3. ხელის მომწერი მხარის მიერ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებლობა WADA-სთვის 23.5.2 მუხლით განსაზღვრული წესით, ისევე, როგორც სხვა მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებლობა, შეიძლება ჩაითვალოს კოდექსთან შეუსაბამობად.

23.5.4. WADA-სთვის მიწოდებული ყველა შეტყობინება კოდექსთან შესაბამისობის შესახებ უნდა დამტკიცდეს WADA-ს დამფუძნებელთა საბჭოზე. შეუსაბამობის შესახებ დასკვნის წარმოდგენამდე, WADA უნდა გაესაუბროს ხელის მომწერ მხარეს. ნებისმიერი დასკვნა ხელის მომწერი მხარის კოდექსთან შეუსაბამობის შესახებ უნდა დამოწმდეს WADA-ს დამფუძნებელი სხდომის საბჭოს მიერ მას შემდეგ, რაც მხარეს მიეცემა საშუალება, წერილობითი ფორმით წარმოადგინოს არგუმენტები დამფუძნებელი საბჭოს წინაშე. დამფუძნებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარის კოდექსთან შეუსაბამობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 13.65 მუხლით გათვალისწინებული წესით.

23.5.5. WADA კოდექსთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციას შეატყობინებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო ფედერაციებს და მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორებს. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისთვისაც.

23.5.6. WADA-მ უნდა განიხილოს წარმოდგენილი განმარტებები შეუსაბამობის შესახებ და განსაკუთრებულ შემთხვევებში რეკომენდაცია გაუწიოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო ფედერაციებს და მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორებს, პირობითად აპატიონ შეუსაბამობა.

კომენტარი მუხლისათვის 23.5.6: WADA აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ხელის მომწერ მხარეებს და მთავრობებს აქვთ სხვადასხვა გამოცდილება, რესურსები და საკანონმდებლო გარემო ანტიდოპინგური საქმიანობის საწარმოებლად. შესაბამისობის შესახებ საქმის განხილვისას WADA ითვალისწინებს აღნიშნულ განსხვავებებს.

23.6. დამატებითი შედეგები ხელის მომწერი მხარის მიერ კოდექსთან შეუსაბამობის გამო

ხელის მომწერი მხარის შეუსაბამობამ კოდექსთან, შეჯიბრებების მასპინძლობის უფლების დაკარგვასთან ერთად, რაც განსაზღვრულია მუხლებში 20.1.8 (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი), 20.3.10 (საერთაშორისო ფედერაციები) და 20.6.6 (მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორები), შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი სანქციებიც, მაგალითად, WADA-ში ოფისების და პოზიციების ჩამორთმევა, ქვეყნის კანდიდატურის წარდგენის შეუძლებლობა ნებისმიერი საერთაშორისო სპორტული ღონისძიების ჩატარებაზე, ქვეყნის შიგნით დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების გაუქმება, სიმბოლური სანქციები და ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებული სხვა შედეგები.

ასეთი შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს დაზარალებული ხელის მომწერი მხარის მიერ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში მუხლი 13.6-ის შესაბამისად.

23.7. კოდექსის მოდიფიკაცია

23.7.1. WADA-ს ევალება, ზედამხედველობა გაუწიოს კოდექსის გადახედვისა და სრულყოფის პროცესს. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი უნდა იყვნენ სპორტსმენები და სხვა დაინტერესებული მხარეები და მთავრობები.

23.7.2. WADA-მ უნდა უზრუნველყოს შემოთავაზებული ცვლილებების შეტანა კოდექსში, რისთვისაც ორგანიზება უნდა გაუკეთოს კონსულტაციურ პროცესს რეკომენდაციების მისაღებად და გასაცემად, სპორტსმენების და სხვა დაინტერესებული მხარეების და მთავრობების პოზიციის და უკუკავშირის მოსასმენად რეკომენდებული ცვლილებების თაობაზე.

23.7.3. კოდექსის შესწორებები, შესაბამისი კონსულტაციების

შემდეგ, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს WADA-ს დამფუძნებელთა საბჭოს ორი მესამედი, ხმის უფლების მქონე საზოგადოებრივი სექტორის და ოლიმპიური მოძრაობის უმრავლესობის ჩათვლით. შესწორებები ძალაში შედის მათი მიღებიდან სამი თვის შემდეგ, თუ სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული.

23.7.4. ხელის მომწერმა მხარეებმა თავიანთი წესები 2015 წლის კოდექსთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ 2015 წლის 1 იანვრამდე, და განახლებული წესები ძალაში უნდა შევიდეს 2015 წლის 1 იანვარს. კოდექსში მოგვიანებით შეტანილი ცვლილებები ხელის მომწერმა მხარეებმა უნდა განახორციელონ WADA-ს დამფუძნებელი საბჭოს მიერ დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში.

23.8. კოდექსზე ხელმოწერის გაუქმება

კოდექსზე ხელის მომწერ მხარეებს შეუძლიათ გააუქმონ თავიანთი ხელმოწერა, რისთვისაც WADA-ს ექვსი თვით ადრე უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ამ განზრახვის შესახებ.

მუხლი 24. კოდექსის ინტერპრეტაცია

24.1. კოდექსის ოფიციალური ტექსტი შენარჩუნებული უნდა იყოს WADA-ს მიერ და გამოქვეყნებული ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ინგლისური და ფრანგული ვერსიების შეუსაბამისობის შემთხვევაში უპირატესად ითვლება ინგლისური ვერსია.

24.2. კომენტარები, რომლებიც ერთვის კოდექსის მუხლებს, უნდა იქნეს გამოყენებული კოდექსის ინტერპრეტაციისათვის.

24.3. კოდექსი უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც დამოუკიდებელი და ავტონომიური ტექსტი და არა როგორც მითითება მთავრობებისა და ხელის მომწერი მხარეების მიერ მიღებულ კანონებსა და დებულებებზე.

24.4. კოდექსის სხვადასხვა ნაწილებისა და მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობის პრინციპიდან გამომდინარე და არ უნდა განიხილებოდეს, როგორც კოდექსის არსებითი ნაწილი და ასევე არ უნდა ახდენდეს გავლენას იმ

დებულებების შინაარსზე, რომლებსაც ისინი ეხება.

24.5. მოცემულ კოდექსს არა აქვს უკუძალა. იგი არ შეიძლება იყოს გამოყენებული ხელის მომწერი მხარის მიერ მის მიღებამდე მომხდარი მოვლენების მიმართ. თუმცა, სანქციის შეფარდებისას კოდექსის მიღებამდე მომხდარი ანტიდოპინგური წესების დარღვევა ითვლება „პირველ დარღვევად“ ან „მეორე დარღვევად“, რათა განისაზღვროს სანქციები მე-10 მუხლის შესაბამისად კოდექსის მიღების შემდგომ მომხდარ დარღვევებზე.

24.6. ანტიდოპინგური კოდექსის მიზანი, მოქმედების ფარგლები და ანტიდოპინგური პროგრამის ორგანიზაცია, კოდექსი და დანართი 1, განსაზღვრებები და დანართი 2, მუხლი 10-ში გამოყენებული მაგალითები უნდა ჩაითვალოს კოდექსის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 25. გარდამავალი დებულებები

25.1. 2015 წლის კოდექსის ზოგადად ძალაში შესვლა

2015 წლის კოდექსი სრულად ძალაში შედის 2015 წლის 1 იანვრიდან (ეფექტური თარიღი).

25.2. კოდექსს არ აქვს უკუძალა 10.7.5 და 17 მუხლების გარდა, თუ არ მოქმედებს „ლექს მიტიორის“ პრინციპი.

უკუძალის პერიოდი, რომლის დროსაც წინამორბედი დარღვევა შეიძლება განიხილებოდეს მრავლობითი დარღვევების მიზნისთვის 10.7.5. მუხლის მიხედვით და ხანდაზმულობის პერიოდი, რომელიც დადგენილია მე-17 მუხლში, წარმოადგენს პროცესუალურ ნორმას და უნდა იქნეს გამოყენებული უკანა თარიღით; იმ პირობით, რომ მე-17 მუხლი გამოყენებული უნდა იქნეს უკანა თარიღით, თუ ხანდაზმულობის პერიოდი ჯერ არ არის ამოწურული ძალაში შესვლის თარიღამდე. სხვა მხრივ, ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფება ძალაში შესვლის თარიღის განხილვის სტადიაში და ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემთხვევა, რომლის განხილვაც დაიწყო ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, მაგრამ ეფუძნება ძალაში შესვლის თარიღამდე ანტიდოპინგური წესის დარღვევას, შემთხვე-

ვა უნდა განიხილებოდეს ძირითადი ანტიდოპინგური წესებით, რომლებიც მოქმედია ანტიდოპინგური წესის დარღვევის მომენტში, თუ განმხილველი ორგანო არ ჩათვლის, რომ „ლექს მიტიორის“ პრინციპი სწორად შეესაბამება მოცემული საქმის გარემოებებს.

25.3. 2015 კოდექსის ძალაში შესვლამდე მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენება

იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებული იქნა კოდექსის ძალაში შესვლამდე, მაგრამ სპორტსმენი ან სხვა პირი ჯერ კიდევ იხდის დისკვალიფიკაციას, როგორც ძალაში შესვლის თარიღის, სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია მიმართოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, რათა შეუმცირდეს დისკვალიფიკაციის ვადა, თუ ამას ითვალისწინებს 2015 კოდექსი. ასეთი განცხადება უნდა გაკეთდეს დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამდე. ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 13.2 მუხლის მიხედვით. 2015 კოდექსი არ შეესაბამება ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემთხვევას, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულია და სადისკვალიფიკაციო ვადა უკვე ამოიწურა.

25.4. მრავლობითი დარღვევები, როდესაც პირველი დარღვევა მოხდა 2015 წლის 1 იანვრამდე

10.7.1 მუხლის მიხედვით, მეორეჯერ დარღვევისათვის დისკვალიფიკაციის პერიოდის განსაზღვრის მიზნისთვის, როდესაც სანქცია პირველი დარღვევისთვის განისაზღვრა 2015 წლამდე კოდექსის წესებით, დისკვალიფიკაციის პერიოდი, რომელიც შეფასდებოდა პირველი დარღვევით 2015 წლის კოდექსის წესებით, მისაღებია და უნდა იქნეს გამოყენებული.

25.5. კოდექსის დამატებითი ცვლილებები

კოდექსში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა 23.7 მუხლით გათვალისწინებული წესით.

კომენტარი მუხლისათვის 25.4: გარდა იმ შემთხვევისა, რაც აღწერილია მუხლში 25.4. იმ შემთხვევებში, თუ მოხდა ანტიდო-

პინგური წესების დარღვევაზე საბოლოო გადანაცვებების მიღება კოდექსის ძალაში შესვლამდე ან 2015 წლამდე არსებული კოდექსის მიხედვით და დისკვალიფიკაციის პერიოდი სრულად იქნება მოხდილი, 2015 წლის კოდექსი შესაძლოა, არ იქნეს გამოყენებული წინა დარღვევის ხელახალი განსაზღვრისათვის.

დანართი 1 – განმარტებები

ადმინისტრირება – სპორტსმენისთვის სხვა პირის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მიწოდება, ასევე მომარაგება, ზედამხედველობა, ხელშეწყობა ან სხვაგვარი მონაწილეობა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენებაში, ან გამოყენების მცდელობაში. თუმცა ეს განმარტება არ უნდა შეეხოს კეთილსინდისიერი სამედიცინო პერსონალის ქმედებებს, რომლებიც იყენებენ აკრძალულ ნივთიერებებს ან აკრძალულ მეთოდებს ჭეშმარიტი და კანონიერი თერაპიული მიზნებისთვის, ან სხვა დასაშვები მიზნით და არ უნდა შეეხოს იმ აკრძალული ნივთიერებების გამოყენების ქმედებებს, რომლებიც არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში, სანამ გარემოებათა ერთობლიობით არ დადასტურდება, რომ ეს აკრძალული ნივთიერებები არ გამოიყენებოდა ჭეშმარიტი და კანონიერი თერაპიული მიზნებისთვის, ან განკუთვნილი იყო სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად.

აკრძალული მეთოდი – აკრძალულ სიაში ამგვარად იდენტიფიცირებული ნებისმიერი მეთოდი.

აკრძალული ნივთიერება – აკრძალულ სიაში ამგვარად იდენტიფიცირებული ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კლასი.

აკრძალული სია – სია, რომელიც აღწერს აკრძალულ ნივთიერებებს და აკრძალულ მეთოდებს.

ანალიზის არასასურველი შედეგი – ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტთან და სათანადო ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მყოფი, WADA-ს მიერ აკრედიტებული ლაბორატორიის, ან WADA-ს მიერ დამტკიცებული სხვა ლაბორატორიის ანგარიში, სინჯში აკრძალული ნივთიერების, ან მისი მეტაბოლიტების, ან მარკერების (ენდოგენური სუბსტანციების მომატებული რაოდენობის ჩათვლით) აღმოჩენის შესახებ, ან აკრძალული მეთოდის გამოყენების მონაცემების შესახებ.

ანტიდოპინგური ორგანიზაცია – ანტიდოპინგურ კოდექსზე ხელის მომწერი მხარე, რომელიც პასუხისმგებელია დოპინგ-კონტროლის პროცესის თითოეული ნაწილის წამოწყების, დანერგვის, ან განხორციელებისთვის აუცილებელი წესების მიღებაზე. ასეთია მაგალითად: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, სხვა სპორტული ღონისძიების მთავარი ორგანიზატორები, რომლებიც ატარებენ ტესტირებას თავიანთ ღონისძიებებზე, მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაცია (WADA), საერთაშორისო ფედერაციები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები („შედეგები“) – სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ერთი, ან მეტი შემდეგი შედეგი: ა) გაუქმება, რაც ნიშნავს, სპორტსმენის შედეგების გაუქმებას ცალკეულ შეჯიბრში, ან ღონისძიებაში ყველა თანმდევი შედეგით, მათ შორის, პრიზების, მედლებისა და ქულების ჩამორთმევით; ბ) დისკვალიფიკაცია, რაც ნიშნავს, ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, გარკვეული ვადით სპორტსმენის, ან სხვა პირის ჩამოშორებას ნებისმიერი შეჯიბრებიდან, სხვა საქმიანობიდან, ან დაფინანსებიდან, როგორც ეს დადგენილია 10.12.1 მუხლით; გ) დროებითი დისკვალიფიკაცია, რაც ნიშნავს სპორტსმენის ან სხვა პირის დროებით ჩამოშორებას ნებისმიერ შეჯიბრში მონაწილეობის, ან სხვა საქმიანობისგან, მუხლი 8-ის შესაბამისად ჩატარებულ მოსმენაზე საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე; დ) ფინანსური შედეგები, რაც ნიშნავს ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, ან ანტიდოპინგური წესების დარღვევით გამოწვეული ხარჯების ასანაზღაურებლად დაკისრებულ ფინანსურ სანქციებს; და ე) გამოქვეყნება ან საჯარო გამოცხადება – ინფორმაციის გავრცელება, ან მიწოდება საზოგადოებისთვის, ან პირებისთვის, რომლებიც მუხლი 14-ის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ინფორმაცია სხვა პირებზე ადრე. გუნდები, გუნდურ სპორტში, ასევე შეიძლება გახდნენ სანქციების ობიექტი მუხლი 11-ის შესაბამისად.

არასრულწლოვანი – ფიზიკური პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკისთვის.

ატიპური შედეგი – WADA -ს მიერ აკრედიტებული, ან WADA -ს დამტკიცებული სხვა ლაბორატორიის დასკვნა, რომელიც ანალიზის არასასურველი შედეგის საბოლოოდ დადგენამდე, საჭიროებს შემდგომ გამოძიებას, ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის, ან სათანადო ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად.

ბრალეულობა – ბრალეულობა არის ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მოცემული სიტუაციისთვის შესაბამისი სიფრთხილის დაუცველობა. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: სპორტსმენის ან სხვა პირის გამოცდილება, ხომ არ არის სპორტსმენი ან სხვა პირი არასრულწლოვანი, განსაკუთრებული გარემოებები, როგორცაა მაგ. უნარშეზღუდულობა, სპორტსმენის პერსპექტივიდან აღქმული რისკის ხარისხი და ამ რისკის ხარისხის შესაბამისად სპორტსმენის მიერ მიღებული სიფრთხილის ზომების და განხორციელებული მოკვლევის ხარისხი. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც სპეციფიკურად და შესაბამისად ხსნის სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ქცევის მოსალოდნელი სტანდარტიდან გადახვევას. მაგალითად, ის ფაქტი, რომ სპორტსმენი დაკარგავდა დიდი რაოდენობით თანხის გამომუშავების შესაძლებლობას დისკვალიფიკაციის პერიოდში, ან ის ფაქტი, რომ სპორტსმენს მხოლოდ მცირე დრო აქვს დარჩენილი კარიერის დასრულებამდე, ან კონკრეტული პერიოდი სპორტული შეჯიბრების კალენდარში, არ მიიჩნევიან რელევანტურ ფაქტორებად, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს 10.5.1 ან 10.5.2 მუხლების მიხედვით დისკვალიფიკაციის პერიოდის შესამცირებლად.

კომენტარი: სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის შესაფასებელი კრიტერიუმები ერთი და იგივეა ყველა იმ მუხლისთვის, რომლებიც შეეხება ბრალეულობას. თუმცა, 10.5.2 მუხლის შემთხვევაში, სანქციის შემცირება არ მოხდება, თუ ბრალეულობის ხარისხის შეფასებისას არ დადგინდა, რომ სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო ბრალეულობას ან დაუდევრობას.

ბრალეულობის ან დაუდევრობის არარსებობა – სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ იმ ფაქტის დამტკიცება, რომ მან არ იცოდა, ეჭვი არ გააჩნდა, ასევე მაქსიმალური გონივრული სიფრთხილის ზომების გამოყენებისასაც კი ვერ ეცოდინებოდა და ეჭვს ვერ შეიტანდა, რომ მან გამოიყენა ან მას შეუყვანეს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, ან რომ მან სხვაგვარად დაარღვია ანტიდოპინგური წესი. ამასთან ერთად, თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არ არის, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი წესის დარღვევისას მან უნდა ახსნას, თუ როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

გამიზნული ტესტირება – კონკრეტული სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისთვის, ტესტირების და კვლევის საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

გამოყენება – ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის უტილიზაცია, აპლიკაცია, მიღება, ინექცია ან მოხმარება ნებისმიერი სახით.

გაუქმება – იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

გაყალბება – შეცვლა გაუმართლებელი მიზნით ან გაუმართლებელი ხერხით; გაუმართლებელი ზეგავლენის მოხდენა; გაუმართლებელი გზით ჩარევა; დაბრკოლება, შეცდომაში შეყვანა ან ნებისმიერი სახის თაღლითობა შედეგების შეცვლის ან ნორმალური პროცედურისთვის ხელის შეშლის მიზნით.

განსაზღვრული ნივთიერება – იხ. მუხლი 4.2.2.

დაბინძურებული პროდუქტი – პროდუქტი, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთიერებას, რომელიც არ არის მითითებული ამ პროდუქტის ანოტაციაში, ან ინტერნეტით ხელმისაწვდომ შესაბამის ინფორმაციაში.

დოპინგ კონტროლი – ყველა საფეხური და პროცესი ტესტირების ჩატარების დაგეგმვიდან, ნებისმიერი აპელაციის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ამ ინტერვალში ყველა საფეხურის და პროცესის ჩათვლით, როგორებიცაა: ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მინოდება, სინჯების აღება და დამუშავება, ლაბორატორიული ანალიზი, თერაპიული გამოყენების ნებართვის მოპოვება, შედეგების მართვა და საქმის განხილვა.

დამოუკიდებელი დამკვირვებლების პროგრამა – დამკვირ-

ვებელთა გუნდი, რომელიც WADA-ს ეგიდით აკვირდება და ზედამხედველობს დოპინგ-კონტროლის პროცესს გარკვეულ სპორტულ ღონისძიებებზე და შესაბამის მხარეებს შეატყობინებს ამ დაკვირვების შედეგებს.

დისკვალიფიკაცია – იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები ზემოთ.

ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია – სტრუქტურა(ები), რომელსაც შეარჩევს თითოეული ქვეყანა და მიანიჭებს პირველად უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას ანტიდოპინგური წესების მიღებასა და დანერგვაზე, სინჯების აღებაზე, ტესტირების შედეგების მართვაზე, ეროვნულ დონეზე მოსმენების ჩატარებაზე. თუ შესაბამისი სახელისუფლებო ორგანო(ები) სპეციფიკურად არ შეარჩევს ამგვარ სტრუქტურას, მაშინ ეს ფუნქცია ეკისრება ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ან ამ უკანასკნელის მიერ შერჩეულ სტრუქტურას.

ეროვნული დონის სპორტსმენი – სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს ეროვნულ დონეზე, რასაც განსაზღვრავს თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ეროვნული დონის სპორტული ღონისძიება – სპორტული ღონისძიება ან შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენები და რომელიც არ არის საერთაშორისო დონის სპორტული ღონისძიება.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი – ორგანიზაცია, რომელსაც აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ტერმინი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოიცავს ასევე ეროვნულ სპორტულ კონფედერაციებსაც იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაცია თავის თავზე იღებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩვეულ ფუნქციებს ანტიდოპინგურ სფეროში.

კოდექსი – მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი.

მარკერი – ნაერთი, ნაერთების ჯგუფი ან ბიოლოგიური ცვლად(ებ)ი, რომლის (რომელთა) არსებობაც მიუთითებს აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენებაზე.

მეტაბოლიტი – ნებისმიერი სუბსტანცია, წარმოქმნილი ბი-

ოტრანსფორმაციის პროცესში.

მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მმართველი ორგანიზაციები – ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების კონტინენტური ასოციაციები და სხვა საერთაშორისო მულტისპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ მმართველი ორგანოს ფუნქციას ნებისმიერ კონტინენტურ, რეგიონულ ან სხვა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაზე.

მონაწილე – ნებისმიერი სპორტსმენი ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი.

მცდელობა – განზრახ მონაწილეობა ქმედებაში, მნიშვნელოვანი რგოლი ქმედებათა ჯაჭვში, რომელიც გეგმის შედეგად უნდა დასრულდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევით. მცდელობაზე დაფუძნებულ ანტიდოპინგური წესების დარღვევას ადგილი არ ექნება, თუ პირი უარს იტყვის მცდელობაზე მანამ, სანამ მას აღმოაჩენს მესამე პირი, რომელიც არ არის ჩართული ამ მცდელობაში.

პირი – ფიზიკური პირი, ან ორგანიზაცია ან სხვა იურიდიული პირი.

რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაცია – რეგიონული სტრუქტურა, რომელსაც წევრი ქვეყნების მიერ მინიჭებული აქვს მათი ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამების გარკვეული სფეროების კოორდინაციის და მართვის უფლებამოსილება, რაც შეიძლება მოიცავდეს ანტიდოპინგური წესების მიღებასა და დანერგვას, ტესტირების დაგეგმვას და სინჯების აღებას, შედეგების მართვას, თერაპიული გამოყენების გამონაკლისების განხილვას, მოსმენების ჩატარებას და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას რეგიონულ დონეზე.

საერთაშორისო დონის სპორტსმენი – სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს საერთაშორისო დონეზე, რომელსაც განსაზღვრავს თითოეული საერთაშორისო ფედერაცია ტესტირების და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომენტარი: ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, საერთაშორისო ფედერაციას უფლება აქვს, თავად განსაზღვროს კრიტერიუმები სპორტსმენისთვის საერთაშორისო დონის სპორტსმენის ნოდების მისანიჭებლად, მაგ. რეიტინგი, გარკვეულ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებ-

ში მონაწილეობა, ლიცენზიის ტიპი და ა.შ. თუმცა, მას მოეთხოვება ამ კრიტერიუმების გამოქვეყნება მკაფიო და ზუსტი ფორმით, რათა სპორტსმენს შეეძლოს, სწრაფად და მარტივად შეიტყოს მისთვის საერთაშორისო დონის სპორტსმენის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. მაგ., თუ კრიტერიუმები მოიცავს გარკვეულ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ამ ღონისძიებების სია.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიება – ღონისძიება ან შეჯიბრი, სადაც ღონისძიების მმართველ ორგანოს წარმოადგენს ან ტექნიკურ ოფიციალურ პირებს ნიშნავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაცია, მნიშვნელოვანი ღონისძიების მმართველი ორგანიზაცია ან სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია.

საერთაშორისო სტანდარტი – WADA-ს მიერ კოდექსის გასამყარებლად შემუშავებული სტანდარტი. შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტთან (სხვა ალტერნატიული სტანდარტის, პრაქტიკისა თუ პროცედურის საპირისპიროდ) საკმარის პირობას წარმოადგენს იმაში დასარწმუნებლად, რომ საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული პროცედურები სწორად სრულდება. საერთაშორისო სტანდარტები უნდა მოიცავდეს ყველა ტექნიკურ დოკუმენტს, რომლებიც გამოიცა საერთაშორისო სტანდარტთან კავშირში.

საშეჯიბრო – იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული საერთაშორისო ფედერაციის ან სპორტული ღონისძიების მმართველი ორგანოს წესებში, ტერმინი „საშეჯიბრო“ შეეხება პერიოდს, რომელიც იწყება თორმეტი საათით ადრე იმ შეჯიბრის დაწყებიდან, რომელშიც სპორტსმენმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, და სრულდება ამ შეჯიბრის დასრულებასთან ერთად, აგრეთვე ამ შეჯიბრთან დაკავშირებულ ტესტირების პროცესს.

კომენტარი: საერთაშორისო ფედერაციამ ან სპორტული ღონისძიების მმართველმა ორგანომ შეიძლება დაადგინოს „საშეჯიბრო პერიოდი“, რომელიც განსხვავდება ღონისძიების პერიოდისგან.

საჯარო გამოქვეყნება ან საჯარო გამოცხადება – იხ. ანტი-

დოპინგური წესების დარღვევის შედეგები ზემოთ.

სინჯი – დოპინგ-კონტროლის მიზნით აღებული ნებისმიერი ბიოლოგიური მასალა.

კომენტარი: გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს სისხლის სინჯების აღება არღვევს ზოგიერთი რელიგიური ან კულტურული ჯგუფისთვის მისაღებ ნორმებს, მაგრამ ამჟამად მიჩნეულია, რომ ამ მოსაზრებას საფუძველი არ გააჩნია.

სპორტის გუნდური სახეობა – სპორტის სახეობა, რომელშიც შეჯიბრის მიმდინარეობისას დასაშვებია მოთამაშეთა ჩანაცვლება.

სპორტის ინდივიდუალური სახეობა – სპორტის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ არის გუნდური.

სპორტსმენი – ნებისმიერი პირი, რომელიც ასპარეზობს სპორტში საერთაშორისო დონეზე (როგორც დადგენილია თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ), ან ეროვნულ დონეზე (როგორც დადგენილია თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ). ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს ანტიდოპინგური წესები სპორტსმენზე, რომელიც არ არის არც საერთაშორისო, არც ეროვნული დონის სპორტსმენი და ამით, შემოიყვანოს ის „სპორტსმენის“ განმარტებაში. იმ სპორტსმენებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან არც საერთაშორისო და არც ეროვნული დონის სპორტსმენები, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს: შეზღუდული ტესტირება, ან ტესტირებისგან საერთოდ გათავისუფლება; სინჯების ანალიზი აკრძალული ნივთიერებების არასრული მენიუთი; ადგილსამყოფლის შესახებ შეზღუდული ინფორმაცია, ან ამ ინფორმაციის მოთხოვნისგან გათავისუფლება; ან გათავისუფლება თერაპიული გამოყენების ნებართვის (TUE) წინასწარ მოპოვების მოთხოვნისგან; თუმცა თუ ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილების ქვეშ მყოფმა რომელიმე სპორტსმენმა, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ან ეროვნული დონის შეჯიბრში, ჩაიდინა 2.1, 2.3., ან 2.5 მუხლებით დადგენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოყენებული უნდა იქნეს კოდექსით გათვალისწინებული სანქციები (14.3.2 მუხლის გარდა). 2.8 და 2.9 მუხლების და ანტიდოპინგური ინფორმირების და განათლების მიზნე-

ბისთვის, ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტში ნებისმიერი ხელის მომწერის, მთავრობის, ან სხვა სპორტული ორგანიზაციის ეგიდით, რომლებმაც მიიღეს კოდექსი, არის სპორტსმენი.

კომენტარი: განმარტება ნათელს ხდის, რომ ყველა საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენი არის ამ კოდექსის ანტიდოპინგური წესების მოქმედების სუბიექტი, ხოლო საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტის ზუსტი განმარტება მოცემული უნდა იყოს საერთაშორისო და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების წესებში, შესაბამისად. ეს განმარტება საშუალებას აძლევს თითოეულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, თავისი შეხედულებისამებრ, გაავრცელოს თავისი ანტიდოპინგური პროგრამა საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენების ფარგლებს გარეთ, უფრო დაბალი დონის შეჯიბრების მონაწილეებზე, ან პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ ფიზიკურ აქტივობებში, მაგრამ საერთოდ არ მონაწილეობენ შეჯიბრებში. ამ მიზნით, ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, მაგალითად, ტესტირება ჩაუტაროს მოყვარულებს, მაგრამ არ მოითხოვოს წინასწარი TUE. თუმცა ანტიდოპინგური წესების დარღვევას, რომელიც მოიცავს ანალიზის არასასურველ შედეგს ან ფალსიფიკაციას (გაყალბებას), შედეგად მოჰყვება კოდექსით გათვალისწინებული ყველა სანქცია (გარდა 14.3.2 მუხლისა). გადაწყვეტილება ანტიდოპინგური სანქციების გამოყენებაზე მოყვარული სპორტსმენის მიმართ, რომელიც მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში, მაგრამ არასოდეს მიუღია მონაწილეობა შეჯიბრში, უნდა მიიღოს ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ. ანალოგიურად, სპორტული ღონისძიების მთავარ ორგანიზატორს, რომელიც ატარებს ღონისძიებას მხოლოდ სპორტის ოსტატის დონის მონაწილეებისთვის, შეუძლია შეჯიბრის მონაწილეებს ტესტირება ჩაუტაროს, მაგრამ სინჯების ანალიზი გააკეთოს აკრძალული ნივთიერებების არასრული მენიუთი. შეჯიბრის მონაწილეებს, შეჯიბრის ყველა დონეზე, შეუძლიათ ისარგებლონ ანტიდოპინგური ინფორმაციით და განათლებით.

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი – მონაცემების შეგროვების და შერჩევის პროგრამა და მეთოდები, ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების და ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის არასასურველი შე-

დეგი (არასასურველი საპასპორტო შედეგი) – ანგარიში, რომელიც სათანადო საერთაშორისო სტანდარტებში განისაზღვრება, როგორც სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის არასასურველი შედეგი.

სპორტსმენის დამხმარე პერსონალი – ნებისმიერი მწვრთნელი, ინსტრუქტორი, მენეჯერი, აგენტი, გუნდის შტატი, ოფიციალური პირი, სამედიცინო, პარასამედიცინო პერსონალი, მშობელი, ან სხვა პირი, რომელიც მუშაობს, მკურნალობს, ან ეხმარება სპორტსმენს სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობისას, ან მომზადებაში.

ტესტირება – დოპინგ-კონტროლის პროცესის ნაწილი, რომელიც მოიცავს ტესტირების დაგეგმვას, სინჯების აღებას, სინჯების პირველად დამუშავებას და სინჯების ტრანსპორტირებას ლაბორატორიაში.

ტესტირების რეესტრი – უმაღლესი კატეგორიის პრიორიტეტულ სპორტსმენთა ოფიციალური სია, რომელიც იქმნება როგორც საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ფედერაციების მიერ, ასევე ეროვნულ დონეზე ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ, და მოიცავს სპორტსმენებს, რომლებიც ექვემდებარებიან გამიზნულ საშეჯიბრო და შეჯიბრსგარე ტესტირებას საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ტესტირების გეგმის ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, ევალუბათ ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება 5.6 მუხლის და ტესტირების და კვლევის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ტრეფიკინგი – სპორტსმენის, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი სხვა პირის მიერ ნებისმიერი მესამე მხარისთვის აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მიყიდვა, მიცემა, ტრანსპორტირება, გაგზავნა, მიტანა ან განაწილება (ფიზიკურად ან ელექტრონული ან რაიმე სხვა გზით) (ან ფლობა ნებისმიერი ამ მიზნისთვის); თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს განსაზღვრება არ მოიცავს კეთილსინდისიერი სამედიცინო პერსონალის ქმედებას, რაც გულისხმობს აკრძალული ნივთიერების გამოყენებას დანიშნულებისამებრ ლეგა-

ლური თერაპიული მიზნით, ან სხვა გამართლებული მიზნით, აგრეთვე არ მოიცავს იმ აკრძალულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ქმედებებს, რომლებიც არ არის აკრძალული შეჯიბრსგარე ტესტირებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარემოებები მთლიანობაში მიუთითებს, რომ ასეთი აკრძალული ნივთიერებების გამოყენება არ იყო განზრახული გამართლებული და ლეგალური თერაპიული მიზნით, ან განზრახული იყო მათი გამოყენება სპორტული შედეგის გასაუმჯობესებლად.

უმნიშვნელო ბრალეულობა ან დაუდევრობა – სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ იმ ფაქტის დამტკიცება, რომ გარემოებათა ერთიანობაში განხილვის ფონზე და ბრალეულობის ან დაუდევრობის არარსებობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, მისი ბრალეულობა ან დაუდევრობა არ იყო მნიშვნელოვანი ანტიდოპინგური წესის დარღვევასთან მიმართებით. ამასთან ერთად, თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არ არის, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი წესის დარღვევისას მან უნდა ახსნას, თუ როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

კომენტარი: კანაბინოიდების შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს საკუთარი უმნიშვნელო ბრალეულობა ან დაუდევრობა იმის ნათელი დემონსტრირებით, რომ კანაბინოიდების გამოყენების კონტექსტი არ იყო დაკავშირებული სპორტულ საქმიანობასთან.

უპირობო პასუხისმგებლობა – 2.1 და 2.2 მუხლებით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმადაც, ანტიდოპინგური წესის დარღვევის დაფიქსირებისთვის არ არის აუცილებელი, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ დაამტკიცოს სპორტსმენის მხრიდან განზრახვის, ბრალეულობის, დაუდევრობის ან შეგნებული გამოყენების არსებობა.

ფინანსური შედეგები – იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები ზემოთ.

ფლობა – რეალური, ფიზიკური ფლობა, ან კონსტრუქციული ანუ ნაგულისხმევი ფლობა (რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს ექსკლუზიური კონტროლი ან აპირებს, რომ ჰქონდეს კონტროლი აკრძალულ ნივთიერებაზე ან აკრძალულ მეთოდზე, ან აკრძალული ნივთიერების ან

აკრძალული მეთოდის ადგილსამყოფელზე); თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნეს პირობა, რომ თუ პირს არ გააჩნია ექსკლუზიური კონტროლი აკრძალულ ნივთიერებაზე ან აკრძალულ მეთოდზე, ან აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადგილსამყოფელზე, ნაგულისხმევ ფლობად ჩაითვლება მხოლოდ ის შემთხვევა, როდისაც პირმა იცოდა ამ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის შესახებ და აპირებდა მასზე კონტროლის მოპოვებას. გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე ის პირობა, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ დაფიქსირდება მხოლოდ ფლობაზე დაყრდნობით, თუ ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ რაიმე სახის შეტყობინების მიღებამდე პირი განახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, რომლითაც დაამტკიცებს, რომ მას არასდროს ჰქონია ფლობის განზრახვა და უარს იტყვის ფლობაზე ანტიდოპინგური ორგანიზაციის წინაშე ღიად განცხადების გზით. ამ განსაზღვრებაში მოყვანილი ნებისმიერი პირობის მიუხედავად, აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის შესყიდვა (მათ შორის ნებისმიერი სახის ელექტრონული ან სხვა საშუალებით) ჩაითვლება შემსყიდველი პირის მიერ აღნიშნული აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობად.

კომენტარი: ამ განსაზღვრების თანახმად, სპორტსმენის მანქანაში ნაპოვნი სტეროიდები ჩაითვლება ანტიდოპინგური წესის დარღვევად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ სხვამ ისარგებლა მისი მანქანით; ასეთ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მართალია, სპორტსმენს არ გააჩნდა ექსკლუზიური კონტროლი მანქანაზე, მაგრამ მან იცოდა სტეროიდების შესახებ და განზრახული ჰქონდა მათზე კონტროლის მოპოვება, ანალოგიურად, თუ სტეროიდები ნანახი იქნა საოჯახო აფთიაქში, რომელიც იმყოფება სპორტსმენის და მისი მეუღლის ერთობლივი კონტროლის ქვეშ, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ სპორტსმენმა იცოდა აფთიაქში სტეროიდების არსებობის შესახებ და აპირებდა მათზე კონტროლის განხორციელებას. აკრძალული ნივთიერების შეძენის ფაქტი უკვე ითვლება მის ფლობად, თუნდაც შენაძენი არ ჩამოვიდეს, სხვამ მიიღოს ან სხვა მისამართზე გაიგზავნოს.

ქმედითი დახმარება – 10.6.1 მუხლით გათვალისწინებული ქმედითი დახმარების განვიცხადებ პირმა უნდა შეასრულოს შემდეგ

პირობები: (1) სრულად გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელსაც ფლობს ანტიდოპინგური წესის დარღვევასთან დაკავშირებით, წერილობითი ხელმოწერილი განცხადების სახით; (2) სრულყოფილად ითანამშრომლოს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმის გამოძიების და განაჩენის გამოტანის პროცესში, რაც მოიცავს მაგ. საქმის მოსმენისას ჩვენების მიცემას, თუ ამას მოითხოვს ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან მომსმენი ორგანო. გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო, და წარმოადგენდეს აღძრული საქმის მნიშვნელოვან ნაწილს, ან იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ აღძრულა – უნდა წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს საქმის აღსადრავად.

ლონისძიება – ცალკეული შეჯიბრებების სერია, რომელიც ერთდროულად ტარდება, ერთი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ (მაგ: ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის საწყლო სახეობებში, ან პანამერიკული თამაშები).

ლონისძიების ჩატარების ადგილი – ის ადგილი, რომელიც ლონისძიების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულია ამ ლონისძიების ჩატარების ადგილად.

ლონისძიების პერიოდი – დროის შუალედი ლონისძიების დაწყებიდან მის დასრულებამდე, რომელიც დადგენილია ამ ლონისძიების ხელმძღვანელის მიერ.

შეჯიბრება – ერთეული რეისი (გარბენი, გაცურვა), მატჩი, თამაში, ან ცალკეული სპორტული ასპარეზობა. მაგალითად, საკალათბურთო მატჩი, ან მძლეოსნობაში 100 მეტრზე ოლიმპიური სპრინტის ფინალი. მრავალეტაპიანი რბოლებისთვის და სხვა სპორტული ასპარეზობებისთვის, სადაც ჯილდოების მინიჭება ხდება ყოველდღიურად, ან სხვა ინტერვალით, განსხვავება სპორტულ შეჯიბრებას და ლონისძიებას შორის დგინდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესებით.

შეჯიბრსგარე – ნებისმიერი პერიოდი საშეჯიბრო პერიოდის გარდა.

წინასწარი მოსმენა – 7.9 მუხლით გათვალისწინებული დაჩქარებული შემოკლებული მოსმენა მუხლი 8-ით გათვალისწინებული მოსმენის წინ, რომელიც წერილობითი ან ზეპირი ფორმით სთავაზობს სპორტსმენს შეტყობინებას და უფლებას, იყოს მოსმენილი.

დანართი 2.

მე-10 მუხლის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები

მაგალითი 1.

ფაქტები: საშეჯიბრო ტესტირებისას დადგინდა ანალიზის არასასურველი შედეგი, დაკავშირებული ანაბოლური სტეროიდის გამოვლენასთან სინჯში (მუხლი 2.1.); სპორტსმენმა დაუყოვნებლივ აღიარა ანტიდოპინგური წესის დარღვევა; სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ მისი ბრალეულობა ან დაუდევრობა უმნიშვნელოა; სპორტსმენმა ქმედითი დახმარება გაუწია ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

სანქცია:

1. სანჯისი ამოსავალი წერტილია მუხლი 10.2. ვინაიდან ჩაითვალა, რომ სპორტსმენის ბრალეულობა უმნიშვნელოა, რაც საკმარისი დამატებითი მტკიცებულებაა იმისა, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ იყო წინასწარგანზრახული (მუხლები 10.2.1.1 და 10.2.3), დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვრება ორი და არა ოთხი წლით (მუხლი 10.2.2).

2. მეორე საფეხურზე გაანალიზდება, შეეხება თუ არა სპორტსმენს სანქციების შემსუბუქება ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (მუხლები 10.4 და 10.5). სპორტსმენის უმნიშვნელო ბრალეულობასა ან დაუდევრობაზე დაყრდნობით (მუხლი 10.5.2), ვინაიდან ანაბოლური სტეროიდი არ მიეკუთვნება განსაზღვრულ ნივთიერებებს, სანქციების დიაპაზონი შემცირდება დიაპაზონამდე ორწლიან და ერთწლიან დისკვალიფიკაციას შორის (სანჯისი ორწლიანი სანქციის მინიმუმ ნახევარი). შემდეგ საქმის განმხილველთა პანელი განსაზღვრავს დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობას ამ დიაპაზონის ფარგლებში, სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (ამ მაგალითის კონტექსტში, საილუსტრაციო მიზნებისთვის, ჩავთვალოთ, რომ პანელი დისკვალიფიკაციის პერიოდს განსაზღვრავს 16 თვით).

3. მესამე საფეხურზე პანელი შეაფასებს სანქციის შეჩერების ან შემცირების შესაძლებლობას 10.6 მუხლის თანახმად (ბრალეულობის ხარისხთან დაუკავშირებელი შემსუბუქება). ამ

კომენტარი: წინასწარი მოსმენა არის მხოლოდ წინასწარი პროცედურა, რომელიც შეიძლება არ მოიცავდეს შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტების სრულ მიმოხილვას. წინასწარი მოსმენის შემდეგ სპორტსმენს რჩება შემდგომი სრული მოსმენის უფლება შემთხვევასთან დაკავშირებული არგუმენტების წარმოდგენით. მისგან საპირისპიროდ, ტერმინი “დაჩქარებული მოსმენა”, რა მნიშვნელობითაც იგი გამოიყენება 7.9 მუხლში, არის შემთხვევასთან დაკავშირებული არგუმენტების სრული მოსმენა.

წინასწარი დისკვალიფიკაცია – იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები ზემოთ.

ხელის მომწერი მხარეები – ყველა ის მხარე, რომელიც ხელს აწერს კოდექსს და თანხმდება მისი პირობების შესრულებას, 23-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

ADAMADAMS – ანტიდოპინგური ადმინისტრირების და მართვის სისტემა, რომელიც არის ინტერნეტზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზის მართვის ინსტრუმენტი, მონაცემთა შეტანის, შენახვის, გაცვლის და ანგარიშგებისთვის, რომელიც ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს და **WADA ADA**-ს მათ ანტიდოპინგურ საქმიანობაში, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან ერთად.

CAS – სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო.

TUE – აკრძალული ნივთიერების თერაპიული მიზნით გამოყენებისთვის დაშვებული გამონაკლისი, რაც აღწერილია 4.4 მუხლში.

UNESCO-ს კონვენცია – საერთაშორისო კონვენცია სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ, მიღებული **UNESCO**-ს გენერალური კონფერენციის 33-ე სხდომაზე 2005 წლის 19 ოქტომბერს, აღიარებული სახელმწიფო მხარეების მიერ, მასში შეტანილი ყველა და თითოეული ცვლილების ჩათვლით.

WADA – მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო.

შემთხვევას მიესადაგება მხოლოდ მუხლი 10.6.1 (ქმედითი დახმარება). (მუხლი 10.6.3, დაუყოვნებელი აღიარება, არ მიესადაგება, რადგან დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა უკვე ნაკლებია 10.6.3 მუხლით განსაზღვრულ ორწლიან მინიმუმზე). ქმედით დახმარებაზე დაყრდნობით, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შეჩერდეს 16 თვის მაქსიმუმ სამი მეოთხედით, რა შემთხვევაშიც დისკვალიფიკაციის მინიმალური პერიოდი იქნებოდა ოთხი თვე (ამ მაგალითის ფარგლებში, საილუსტრაციო მიზნებისთვის, ჩავთვალოთ, რომ პანელი შეაჩერებს ათ თვეს და დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა იქნება ექვსი თვე).

4. 10.11 მუხლის თანახმად, დისკვალიფიკაციის პერიოდი, წესით, იწყება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან. თუმცა, ვინაიდან სპორტსმენმა მაშინვე აღიარა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება დაიწყოს უკვე სინჯის აღების მომენტიდან, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის პერიოდის მინიმუმ ნახევარი (ანუ სამი თვე) სპორტსმენმა უნდა მოიხადოს გადაწყვეტილების მიღების თარიღის შემდგომ პერიოდში (მუხლი 10.11.2).

5. ვინაიდან ანალიზის არასასურველი შედეგი გამოვლინდა საშეჯიბრო პერიოდში, ამ შეჯიბრში მიღწეული შედეგი ავტომატურად უქმდება (მუხლი 9).

6. 10.8 მუხლის თანახმად, ასევე უქმდება სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის აღების დღიდან დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწყების დღემდე, თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს.

7. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

8. დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში სპორტსმენს არ აქვს უფლება, რაიმე სახით მიიღოს მონაწილეობა კოდექსზე ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ ჩატარებულ შეჯიბრში ან სხვა სპორტულ აქტივობაში (მუხლი 10.12.1). თუმცა, სპორტსმენს აქვს უფლება, განაახლოს წვრთნა გუნდთან ერთად ან

ისარგებლოს ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის წევრი კლუბის საწვრთნელი ბაზით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში: (ა) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვე, ან (ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი (მუხლი 10.12.2). ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს წვრთნის პროცესს დისკვალიფიკაციის პერიოდის დასრულებამდე თვე-ნახევრით ადრე.

მაგალითი 2.

ფაქტები: საშეჯიბრო ტესტირებისას დადგინდა ანალიზის არასასურველი შედეგი, დაკავშირებული სინჯში სტიმულანტის გამოვლენასთან, რომელიც განსაზღვრული ნივთიერებების კატეგორიას მიეკუთვნება; ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესი განზრახ დაარღვია; სპორტსმენმა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ აკრძალული ნივთიერება არასაშეჯიბრო პერიოდში გამოიყენა სპორტულ საქმიანობასთან დაუკავშირებელ კონტექსტში; სპორტსმენს ბრალდების წარდგენისას დაუყოვნებლივ არ უღიარებია ანტიდოპინგური წესის დარღვევა; სპორტსმენმა გასწია ქმედითი დახმარება.

სანქცია:

1. საწყისი ამოსავალი ნერტილია მუხლი 10.2. ვინაიდან ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ დაადგინა, რომ სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესი განზრახ დაარღვია და მან ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ აკრძალული ნივთიერება არასაშეჯიბრო პერიოდში გამოიყენა სპორტულ საქმიანობასთან დაუკავშირებელ კონტექსტში (მუხლი 10.2.3), დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვრება ოთხი წლით (მუხლი 10.2.1.2).

2. ვინაიდან დარღვევა იყო წინასწარგანზრახული, სპორტსმენს არ შეეხება სანქციის შემსუბუქება ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (არ გამოიყენება 10.4 და 10.5 მუხლები). ქმედითი დახმარების გამო, შესაძლებელია სანქციის შეჩერება ოთხი წლის მაქსიმუმ სამი მეოთხედით.* აქედან გამომდინარე, დისკვალიფიკაციის მინიმალური პერიოდი იქნება ერთი წელი.

3. 10.11 მუხლის თანახმად, დისკვალიფიკაციის პერიოდი დაიწყება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

4. ვინაიდან ანალიზის არასასურველი შედეგი გამოვლინდა საშეჯიბრო პერიოდში, ავტომატურად მოხდება ამ შეჯიბროში მიღწეული შედეგების გაუქმება.

5. 10.8 მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის ალების მომენტიდან დისკვალიფიკაციის დაწყების მომენტამდე ასევე გაუქმდება, თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს.

6. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

7. დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში სპორტსმენს არ აქვს უფლება, რაიმე სახით მიიღოს მონაწილეობა კოდექსზე ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ ჩატარებულ შეჯიბრში ან სხვა სპორტულ აქტივობაში (მუხლი 10.12.1). თუმცა, სპორტსმენს აქვს უფლება, განაახლოს წვრთნა გუნდთან ერთად ან ისარგებლოს ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის წევრი კლუბის სანვრთნელი ბაზით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში: (ა) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვე ან (ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი (მუხლი 10.12.2). ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს წვრთნის პროცესს დისკვალიფიკაციის პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

მაგალითი 3.

ფაქტები: ანალიზის არასასურველი შედეგი დაკავშირებულია არასაშეჯიბრო ტესტირებისას სინჯში ანაბოლური სტეროიდის გამოვლენასთან (მუხლი 2.1); სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ მისი ბრალეულობა ან დაუდევრობა უმნიშვნელოა; სპორტსმენმა ასევე დაამტკიცა, რომ ანალიზის არასასურველი შედეგი გამოიწვია დაბინძურებულმა პროდუქტმა.

სანქცია:

1. სანჯისი ამოსავალი წერტილია მუხლი 10.2. ვინაიდან სპორტსმენმა დამატებითი მტკიცებულებით დაამტკიცა, რომ

მას განზრახ არ დაურღვევია ანტიდოპინგური წესი, ე.ი. მას დაუდგინდა უმნიშვნელო ბრალეულობა დაბინძურებული პროდუქტის გამოყენების გამო (მუხლები 10.2.1.1 და 10.2.3), დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვრება ორი წლით (მუხლი 10.2.2).

2. მეორე საფეხურზე განაალიზდება, შეეხება თუ არა სპორტსმენს სანქციების შემსუბუქება ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (მუხლები 10.4 და 10.5). ვინაიდან სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა გამოიწვია დაბინძურებული პროდუქტის გამოყენებამ და 10.5.1.2 მუხლის თანახმად, მას უდგინდება უმნიშვნელო ბრალეულობა ან დაუდევრობა, სანქციების დიაპაზონი შემცირდება დიაპაზონამდე ორწლიან დისკვალიფიკაციასა და საყვედურის გამოცხადებას შორის ორ წელს და ერთ წელს შორის დიაპაზონამდე (სანჯისი ორწლიანი სანქციის მინიმუმ ნახევარი). საქმის განმხილველთა პანელი განსაზღვრავს დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობას ამ დიაპაზონის ფარგლებში, სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (ამ მაგალითის კონტექსტში, საილუსტრაციო მიზნებისთვის ჩავთვალოთ, რომ პანელი დისკვალიფიკაციის პერიოდს განსაზღვრავს ოთხი თვით).

3. 10.8 მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის ალების მომენტიდან დისკვალიფიკაციის დაწყების მომენტამდე გაუქმდება, თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს.

4. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

5. დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში სპორტსმენს არ აქვს უფლება, რაიმე სახით მიიღოს მონაწილეობა კოდექსზე ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ ჩატარებულ შეჯიბრში ან სხვა სპორტულ აქტივობაში (მუხლი 10.12.1). თუმცა, სპორტსმენს აქვს უფლება, განაახლოს წვრთნა გუნდთან ერთად ან ისარგებლოს ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის წევრი კლუბის სანვრთნელი ბაზით, ქვემოთ

ჩამოთვლილთაგან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში: (ა) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვე ან (ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი (მუხლი 10.12.2). ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს წვრთნის პროცესს დისკვალიფიკაციის პერიოდის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

მაგალითი 4.

ფაქტები: სპორტსმენმა, რომელსაც არასდროს გამოვლენია ანალიზის არასასურველი შედეგი და არასდროს წაყენებია ბრალი ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, ნებაყოფლობით აღიარა, რომ იყენებდა ანაბოლურ სტეროიდებს სპორტული შედეგის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან ერთად, სპორტსმენმა ქმედითი დახმარება გაუწია ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

სანქცია:

1. ვინაიდან დარღვევა წინასწარგანზრახული იყო, მოქმედებს მუხლი 10.2.1 და დისკვალიფიკაციის საბაზისო პერიოდი შეადგენს ოთხ წელიწადს.

2. სპორტსმენს არ შეეხება სანქციის შემსუბუქება ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე (არ მოქმედებს 10.4 და 10.5 მუხლები).

3. მხოლოდ ნებაყოფლობითი აღიარებიდან გამომდინარე (მუხლი 10.6.2), დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ოთხი წლის მაქსიმუმ ნახევარი ვადით. მხოლოდ ქმედითი დახმარებიდან გამომდინარე (მუხლი 10.6.1), დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შეჩერდეს ოთხი წლის მაქსიმუმ სამი მეოთხედით.* 10.6.4 მუხლის თანახმად, ნებაყოფლობითი აღიარების და ქმედითი დახმარების ერთობლივი გათვალისწინებით, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ან შეჩერდეს ოთხწლიანი პერიოდის მაქსიმუმ სამი მეოთხედით. ამ შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის მინიმალური ხანგრძლივობა იქნება ერთი წელი.

4. დისკვალიფიკაციის პერიოდი, წესით, იწყება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან (მუხლი 10.11). თუ ნებაყოფლობითი აღიარების ფაქტორი უკვე გათვალისწინებულია

დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობის შემცირებაში, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდის ადრეული დაწყება 10.11.2 მუხლის თანახმად აღარ იმოქმედებს, იმ თვალსაზრისით, რომ სპორტსმენმა ორმაგად არ ისარგებლოს ერთი და იმავე გარემოებით. მაგრამ, თუ დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერება მოხდა მხოლოდ ქმედითი დახმარების საფუძველზე, მაშინ შეიძლება ამოქმედდეს მუხლი 10.11.2 და დისკვალიფიკაციის პერიოდი დაიწყოს უფრო ადრე, სპორტსმენის მიერ ანაბოლური სტეროიდის უკანასკნელი გამოყენების მომენტიდან.

5. 10.8 მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის აღების მომენტიდან დისკვალიფიკაციის დაწყების მომენტამდე გაუქმდება, თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს.

6. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

7. დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში სპორტსმენს არ აქვს უფლება, რაიმე სახით მიიღოს მონაწილეობა კოდექსზე ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ ჩატარებულ შეჯიბრში ან სხვა სპორტულ აქტივობაში (მუხლი 10.12.1). თუმცა, სპორტსმენს აქვს უფლება, განაახლოს წვრთნა გუნდთან ერთად ან ისარგებლოს ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის წევრი კლუბის სანვრთნელი ბაზით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში: (ა) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვე ან (ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი (მუხლი 10.12.2). ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს წვრთნის პროცესს დისკვალიფიკაციის პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

მაგალითი 5.

ფაქტები: სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ხელი შეუწყო სპორტსმენს დისკვალიფიკაციის გვერდის ავლაში, მიაღებინა რა მონაწილეობა შეჯიბრე-

ბაში შეცვლილი სახელით და გვართ. მანვე ნებაყოფლობით ალიარა ანტიდოპინგური წესის დარღვევა (გათვალისწინებული 2.9 მუხლით) მანამ, სანამ ანტიდოპინგური ორგანიზაცია წაუყენებდა ბრალს ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამო.

სანქცია:

1. 10.3.4 მუხლის თანახმად, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორიდან ოთხ წლამდე, დარღვევის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე (ამ მაგალითის ფარგლებში, საილუსტრაციო მიზნით ჩავთვალოთ, რომ დისკვალიფიკაციის პერიოდმა შეადგინა სამი წელი).

2. ამ პირს არ შეეხება სანქციის შემსუბუქება ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, რადგან 2.9 მუხლით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემადგენელი ელემენტია წინასწარი განზრახვა (იხ. კომენტარი მუხლისათვის 10.5.2).

3. 10.6.2 მუხლის თანახმად, ვინაიდან ერთადერთ სარწმუნო მტკიცებულებას წარმოადგენს ალიარებითი ჩვენება, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მაქსიმუმ მთლიანი ვადის ნახევრით (ამ მაგალითის ფარგლებში, საილუსტრაციო მიზნით ჩავთვალოთ, რომ გადაწყდა დისკვალიფიკაციის შემცირება 18 თვემდე).

4. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

მაგალითი 6.

ფაქტები: სპორტსმენს დაკისრებული ჰქონდა სანქცია ანტიდოპინგური წესის პირველი დარღვევის გამო, 14-თვიანი დისკვალიფიკაციის სახით, რომელთაგან ოთხი თვე პირობითად შეჩერებული იყო სპორტსმენის მიერ განეული ქმედითი დახმარების გამო. ამჟამად, სპორტსმენმა მეორედ დაარღვია ანტიდოპინგური წესი, აღმოაჩნდა რა საშეჯიბრო ტესტირებისას აღებულ სინჯში სტიმულანტი, რომელიც არ მიეკუთვნება განსაზღვრული ნივთიერებების კატეგორიას (მუხლი 2.1); სპორტსმენმა დაამტკიცა საკუთარი უმნიშვნელო ბრალეულობა ან დაუდევრობა; სპორტსმენმა გასწია ქმედითი დახმარება. ეს რომ პირველი დარღვევა ყოფილიყო, საქმის გამხილველთა პა-

ნელი სპორტსმენს დააკისრებდა 16-თვიან დისკვალიფიკაციას და აქედან ექვს თვეს შეაჩერებდა ქმედითი დახმარების გამო.

სანქცია:

1. ანტიდოპინგური წესის განმეორებით დარღვევას შეეხება მუხლი 10.7, ვინაიდან მოქმედებს 10.7.4.1 და 10.7.5 მუხლები.

2. 10.7.1 მუხლის თანახმად, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეადგენს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უფრო ხანგრძლივ პერიოდს:

ა. ექვსი თვე;

ბ. ანტიდოპინგური წესის პირველი დარღვევისთვის დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდის ნახევარი (იგულისხმება დისკვალიფიკაციის მთლიანი პერიოდი, 10.6 მუხლის თანახმად მიღწეული შემცირების გაუთვალისწინებლად; ამ მაგალითის შემთხვევაში, ეს იქნება 14 თვის ნახევარი, ანუ შვიდი თვე);

გ. იმ დისკვალიფიკაციის პერიოდის გაორმაგებული ხანგრძლივობა, რომელიც დაეკისრებოდა სპორტსმენს მეორე დარღვევის შემთხვევაში, ეს რომ პირველი დარღვევა ყოფილიყო, 10.6 მუხლის თანახმად მიღწეული შემცირების გაუთვალისწინებლად (ამ მაგალითის შემთხვევაში, ეს იქნება გაორმაგებული 16 თვე, ანუ 32 თვე).

ამრიგად, მეორე დარღვევისთვის სპორტსმენს უნდა დაეკისროს (ა), (ბ) და (გ) პერიოდებს შორის მაქსიმალური ხანგრძლივობის დისკვალიფიკაცია, ამ შემთხვევაში 32 თვე.

3. შემდეგ საფეხურზე განიხილება სანქციის შეჩერების ან შემცირების შესაძლებლობა 10.6 მუხლის თანახმად (ბრალეულობის ხარისხთან დაუკავშირებელი შემსუბუქება). მეორე დარღვევის შემთხვევაში, მოქმედებს მხოლოდ მუხლი 10.6.1 (ქმედითი დახმარება). ქმედით დახმარებაზე დაყრდნობით, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შეჩერდეს 32 თვის მაქსიმუმ სამი მეოთხედით, რა შემთხვევაშიც დისკვალიფიკაციის მინიმალური პერიოდი იქნებოდა რვა თვე (ამ მაგალითის ფარგლებში, საილუსტრაციო მიზნებისთვის, ჩავთვალოთ, რომ საქმის განმხილველთა პანელი ქმედითი დახმარების გამო შეაჩერებს რვა თვეს დისკვალიფიკაციის პერიოდიდან და დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა იქნება ორი წელი).

4. ვინაიდან ანალიზის არასასურველი შედეგი გამოვლინდა საშეჯიბრო პერიოდში, ავტომატურად გაუქმდება ამ შეჯიბრში მიღწეული შედეგები.

5. 10.8 მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის აღების მომენტიდან დისკვალიფიკაციის დაწყების მომენტამდე გაუქმდება, თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს.

6. თუ სპორტსმენი არასრულწლოვანი არაა, 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია საჯაროდ უნდა გაცხადდეს, ვინაიდან ეს თითოეული სანქციის სავალდებულო ნაწილია (მუხლი 10.13).

7. დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში სპორტსმენს არ აქვს უფლება, რაიმე სახით მიიღოს მონაწილეობა კოდექსზე ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ ჩატარებულ შეჯიბრში ან სხვა სპორტულ აქტივობაში (მუხლი 10.12.1). თუმცა, სპორტსმენს აქვს უფლება, განაახლოს წვრთნა გუნდთან ერთად ან ისარგებლოს ხელის მომწერი მხარის ან მასთან აფილირებული ორგანიზაციის წევრი კლუბის საწვრთნელი ბაზით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში: (ა) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ორი თვე, ან (ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ბოლო ერთი მეოთხედი (მუხლი 10.12.2). ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს წვრთნის პროცესს დისკვალიფიკაციის პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, WADA-ს ნებართვით, ქმედითი დახმარების განწვევის გამო დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შეჩერდეს საწყისი პერიოდის სამ მეოთხედზე მეტი ვადით, ხოლო საქმის საჯარო განცხადება და გამოქვეყნება გადაიდოს.